http://www.tsu.ge/newspaper

ალმა მატერ

27 ნოემბერი
ორშაბათი
N4 (2049)
2006 წელი

გაზეთი გამოდის
თვეში ორჯერ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი | გამოდის 1927 წლიდან | ფასი 30 თეთრი

23 ნოემბერს „ვარდების რევოლუციის“ მესამე წლისთავი აღინიშნა

23 ნოემბერს ,,ვარდების რევოლუციის" მესამე წლისთავის აღსანიშნავად თავისუფლების მოედანზე საზეიმოდ გაიხსნა წმინდა გიორგის მონუმენტი — ქვეყნის დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებისათვის ბრძოლის სიმბოლო.

,,ვარდების რევოლუცია" საქართველოში ბოლო რევოლუცია უნდა იყოს — ასეთია ქართული საზოგადოების მოლოდინიც და დასავლეთის სურვილიც. დემოკრატიული პროცესები არასტაბილურობას ვერ იტანს. „რევოლუციებით" და ვადადაუსრულებელი პრეზიდენტებით ცნობილი საქართველოსთვის კეთილ რეკომენდაციად შეიძლება ჩავთვალოთ გამონათქვამი: ,,ერი არ მოკვდება, თუ თავს არ მოიკლავს".

სასიცოცხლო მნიშვნელობის რეფორმების განხორციელებისას, ხშირად ქვეყნის განვითარებას მოქმედი სტრატეგიების ურთიერთშეუთანხმებლობა აფერხებს. ეს არგუმენტი ქვეყნის გუნდური პრინციპით მართვას ამართლებს. ექსპერტები შეგვახსენებენ, რომ რევოლუციები ხდება მაშინ, როდესაც პოლიტიკა ცენტრალიზებულია და ოპოზიციას ქვეყნის მართვაში მონაწილეობის მიღების საშუალება არ აქვს. ეს, ჩვენი პოლიტიკური წარსულიდან გამომდინარე, თავადაც კარგად მოგვეხსენება, მაგრამ ისიც ცხადია, რომ კონსტრუქციული პოლიტიკური ძალების ჩამოყალიბების კულტურა ქვეყანაში მოისუსტებს.

,,თუ ყველამ იმღერა ერთი სიმღერა, ავაშენებთ სახლს" — ეს სულისკვეთება, სამწუხაროდ, მხოლოდ რევოლუციის პირველ წლისთავამდე გაგვყვა. გასაგებია, რომ დემოკრატია ვერ ითავსებს იდეალისტურ მიდგომებს, მაგრამ სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ურთიერთდაპირისპირებულ პოზიციაზე დგომა საზიანოა. „ვარდების რევოლუციის" ყოველი წლისთავის აღნიშვნა სწორედ ამას შეგვახსენებს.

ანონსი

გარეთ აჭლასი, შიგნით – ათასი

ფიზიკოსები „ნაწილაკების რევოლუციას" ამზადებენ

ÌÄ-8 ÂÅ.

ახალგაზრდა იურისტები რექტორს გაზეთის კონცეფციას წარუდგენენ

„ჩვენი წარმატების საწინდარი სიმართლის თქმაა"

ÌÄ-4 ÂÅ.

როდის მოვლენ რიგითი ჯარისკაცები დიდ პოლიტიკაში

უნივერსიტეტში გია ნოდიას წიგნის – „საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი" პრეზენტაცია გაიმართა

ÌÄ-5 ÂÅ.

რეფორმის ძირი მწარე არის – მკაცრი გამოცდები და შეუწყნარებელი სტუდენტები

შეხვედრა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებთან

ნინო კაკულია

ხართ თუ არა წაკითხული ლექციებით კმაყოფილნი? — ამ შეკითხვაზე 16 ნოემბერს რექტორთან შეხვედრისას უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტების მიერ ერთხმად გაცემული პასუხი **,,დიახ!"** შეხვედრის დასასრულს ასევე საყოველთაო პასუხით **,,არა!** — თი" შეიცვალა. მას შემდეგ, რაც რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ხუბუამ სტუდენტებს წინ მომლოდინე მკაცრი გამოცდები შეახსენა, მათ დარცხვენისა და თავშეკავების ბარიერს გადააბიჯეს და არაერთი პრობლემა წამოჭრეს.

მე-3 გვერდზე

დამატებითი არგუმენტაცია დიალოგის განახლებისათვის

საჯარო დისკუსია თემაზე – სამხრეთ ოსეთი: რა იცვლება?

შურთხია გეროშვილი

„არაფრის არაფერში გაარაფრება" — ამგვარი პათოსით წარიმართა ჰაინრიხ ბიოლის ფონდის ოფისში გამართული საჯარო დისკუსია თემაზე: „სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რესპუბლიკა: რა იცვლება?". შეხვედრას უძღვებოდა თსუ პოლიტიკურ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის დეპარტამენტის დირექტორი დავით პაიჭაძე.

ქართველი პოლიტიკოსები, ჟურნალისტები და ანალიტიკოსები ელოდებოდნენ ცხინვალის სამოქალაქო კლუბის წარმომადგენელ ალან ჯუსოევს, რომელიც დაუდგენელი მიზეზის გამო თბილისში ვერ ჩამოვიდა და, შესაბამისად, ვერ ჩაერთო იმ საინტერესო პოლემიკაში, სადაც რამდენიმე მნიშვნელოვანი და ყურადსაღები დასკვნები გაკეთდა.

მე-5 გვერდზე

ჩინეთის ამბიციური გეგმა – დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკას...

made in china

ანი კირვალიძე

დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკას — ამ ტრივიალური ფრაზის ავტორად დღეს უკვე ჩინეთი გვევლინება, ნაციონალური სახალხო კონგრესის განმარტებით 2050 წლამდე ჩინეთს სურს გაუსწროს ამერიკის შეერთებულ შტატებს — რას ეფუძნება მისი ესოდენ ამბიციური გეგმა?

დღემდე ჩინეთი მსოფლიო ეკონომიკას ამარაგებდა იაფი წარმოების მასობრივი საქონელით. ამჟამად კი, ქვეყანა ფლობს საერთაშორისო სტანდარტს ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებშიც.

— აცალეთ ჩინეთს, ეძინოს — უნდა ეთქვა ნაპოლეონს მეცხრამეტე საუკუნის ჩინეთზე. თუ ეს ქვეყანა გაიღვიძებს, მსოფლიო შეინძრევა. ეს იყო მე-19 საუკუნის დასაწყისი, როდესაც იმპერიას საკუთარი თავისთვისვე მისჯილი მძინარე მზეთუნახავის ძილით ეძინა, უცხო ქვეყნების კოლონიური ძალებისაგან დამატებით ნარკოზირებულს.

მე-9-10 გვერდებზე

როგორ გააძევეს ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტიდან

საქართველოს ისტორიის სამარცხვინო ფურცლები წიგნში – ,,ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე"

ნინო კაკულია

ბევრი საუბრობს იმაზე, რომ ისტორია შეთხზული ,,რეალობაა", რომ ისტორიას ხშირად ,,ჟამთააღმწერელი" უდებს იმ სარჩულს, რასაც კონკრეტული პერიოდი კარნახობს მას.

ივანე ჯავახიშვილმა მხოლოდ უტყუარ ფაქტებზე დაყრდნობით შექმნა საქართველოს ისტორია. მან ეს მოახერხა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობისა და საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის საქართველოში შემოსვლის ნიადაგზე აღზევებული ბოლშევიკების პირისპირ. ,,ის არაფრით არ დაწერდა იმას, რაზეც ფაქტები არ მეტყველებდნენ", — აღნიშნავენ თანამედროვე ისტორიკოსები.

მე-11 გვერდზე

გალაკტიონის საარქივო მასალა 25 წიგნად გამოვა

პრეზენტაცია
გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში

შურთხია გეროშვილი

საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმმა გამოსაცემად მოამზადა გალაკტიონ ტაბიძის არქივი, რომელიც მუზეუმს 1960 წელს გადაეცა. საარქივო მასალა 25 წიგნად გამოიცემა, 26-ე წიგნად კი უკვე დაბეჭდილია მისი ლექსების რჩეული.

მე-11 გვერდზე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, პროფესორ გიორგი ხუბუას ბრძანება №279

,,სახელმწიფო შესყიდვების ინსპექტირების ჯგუფის შექმნის შესახებ" ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 7 ივლისის №136 ბრძანებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლისა და ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების განსაზღვრისა და საქართველოს პრეზიდენტის ზოგიერთი ბრძანებულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის №473 ბრძანებულების მე-2 პუნქტის „შ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები „სახელმწიფო შესყიდვების ინსპექტირების ჯგუფის შექმნის შესახებ" ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 7 ივლისის №136 ბრძანების პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. უნივერსიტეტში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შედეგად დადებული ხელშეკრულებების პირობების შესრულების კონტროლისა და ზედამხედველობის გაწევის მიზნით შეიქმნას სახელმწიფო შესყიდვების ინსპექტირების ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) გია თოფურია – საფინანსო სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების კონსულტანტი, ჯგუფის ხელმძღვანელი;

ბ) თემურ კობახიძე – იურიდიული სამსახურის იურისტი;

გ) მაია კაპანაძე – საფინანსო სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

დ) ეთერ ხვისტანი – საფინანსო სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ე) ტარიელ მურუსიძე – მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ვ) ლადო სიმონია – მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ზ) მარინა ხიზანიშვილი – საინფორმაციო ცენტრის უფროსის მოადგილე;

თ) თემურ გოგნაძე – საინფორმაციო ცენტრის უფროსი სპეციალისტი;

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საფინანსო სამსახურს (მ. ცარციძე);

3. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში ,,თბილისის უნივერსიტეტი" და განთავსდეს ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ხუბუა,
რექტორის მოვალეობის
შემსრულებელი, პროფესორი

15.11.06

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ადმინისტრაციის ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

22 ნოემბერს წარმომადგენლობითმა საბჭომ ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული კანდიდატურა **გულნაზი გალდავა** აირჩია.

გულნაზი გალდავა დაიბადა 1957 წელს.

1982 წელს დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი, ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით.

2006 წელს დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკულტეტი, სამართალმცოდნეობის სპეციალობით;

სამუშაო გამოცდილება:

2005 წლიდან დღემდე – შ.პ.ს. „კავკასიის უნივერსიტეტი" (კავკასიის ბიზნესის სკოლა და კავკასიის სამართლის სკოლა), საორგანიზაციო დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

2001-2005 წლებში – გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის ერთობლივი პროექტის მენეჯერი;

1998-2001 წლებში ს.ს. საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის დირექტორი;

1995-1998 წლებში – ს.ს. საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

1993-1995 წლებში – საინფორმაციო-სამაუწყებლო კორპორაცია „სისტემა ფორტე", განყოფილების გამგე;

1990-1992 წლებში – სავაჭრო სახლი – „კოლხეთი", განყოფილების გამგე.

მოკლედ

რუდოლფ ჰოჰენფელნერი – თსუ-ს საპატიო დოქტორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, თანამედროვეობის გამოჩენილ უროლოგს, გერმანელ პროფესორს, **რუდოლფ ჰოჰენფელნერს** თსუ-ს საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა.

22 ნოემბერს თსუ-ში გამართულ სახეიმო ცერემონიალზე უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემს-

რულებელმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ გერმანელ საპატიო დოქტორს ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალიც გადასცა.

პროფესორ რუდოლფ ჰოჰენფელნერს საქართველოსთან, ქართველ უროლოგებთან ოცწლიანი ურთიერთობა აკავშირებს. მრავალმხრივი ბიოგრაფიის მქონე პროფესორს ასეთივე მჭიდრო ურთიერთობა აქვს ბევრ მოწინავე ქვეყანასთან.

იწყება სასწავლო პროგრამების სერიოზული მონიტორინგი

ინტერვიუ თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან ირინე დარჩიასთან

მაია ტორაძე

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უნივერსიტეტის სტრუქტურის მნიშვნელოვანი სეგმენტია. ის უზრუნველყოფს სტუდენტის უმაღლესი განათლების მიწოდების ხარისხს შესაბამისი სტანდარტის დიპლომის აღებამდე.

აკადემიურმა საბჭომ განხილვის შედეგად ამ სამსახურის უფროსის თანამდებობაზე შეარჩია **ირინე დარჩია**. მას რეკომენდაცია გაუწია რექტორის მრჩეველთა საბჭომაც. 22 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დამტკიცა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსად.

– ქალბატონო ირინე, სწავლების ახალ მეთოდებზე გადასვლამ პირველ სემესტრში უკვე წარმოაჩინა პრობლემები, რომელიც, ცხადია, შემდგომ ეტაპზე უნდა გასწორდეს. რა სიახლეებს გეგმავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სწავლების მეთოდების დახვეწისა და პრობლემების გადაჭრისათვის?

– ახალ სასწავლო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით, სტუდენტებს დახვდათ ახალი საბაკალავრო პროგრამები. ჩვენი სამსახური ჯერ არ ფლობს ინფორმაციას, თუ რამდენად გაამართლა ამ პროგრამებმა. მონაცემები გვექნება სემესტრის ბოლოს, რის შემდეგაც ვგეგმავთ ამ პროგრამების ძალიან სერიოზულ მონიტორინგს, გავარკვევთ, თუ რამდენად კმაყოფილები არიან სტუდენტები და პროფესორები სასწავლი პროცესით, რა შენიშვნები აქვთ სწავლების როგორც შინაარსობრივი, ასევე საორგანიზაციო კუთხით, რის შეცვლას ისურვებდნენ, რამდენად გაამართლა მათი მოლოდინი ამ სიახლეებმა.

– თუ იმას გავითვალისწინებთ, რა სირთულეები მოჰყვა სტუდენტთა რეგისტრაციას და რა პრეტენზიებს გამოთქვამდნენ პროფესორები სწავლების პროცესთან მიმართებაში, წინასწარ ცხადია, რა შედეგებს გვიჩვენებს თქვენს მიერ ჩატარებული მონიტორინგი...

– მათი შენიშვნების ნაწილი ჩვენთვის უკვე ცნობილია და ხარისხის სამსახური იწყებს რეკომენდაციების შემუშავებას. ჩვენ მიერ წარდგენილ რეკომენდაციათა პაკეტს სემესტრის ბოლოს განიხილავს აკადემიური საბჭო და რომელსაც მოიწონებს, შინაარსობრივი და მენეჯმენტის თვალსაზრისით, მის შესრულებას მოსთხოვს ფაკულტეტებს.

– ფაკულტეტების დეკანატებში უკვე საუბრობენ ერთ მცირე უხერხულობაზე – გაჩნდა ე.წ. პრივილეგირებული მიმართულებები, რომლთა შესავალი კურსების მოსმენის მსურველებს ველარ აუდიან. მაგალითად, კომპიუტერული მეცნიერებები, საერთაშორისო ურთიერთობები, ანგლისტიკა და ა. შ. როგორ აპირებთ ამ პროცესის დარეგულირებას? ხომ არ შეეზღუდებათ სტუდენტებს არჩევანის თავისუფლება?

– რეფორმის პირველ ეტაპზე მოსალოდნელი იყო ინტერესთა ერთი მიმართულებით გადაჯგუფება, მაგრამ ასეთ სიტუაციას მაინც არ ველოდით. შეუძლებელია, რომ ამდენმა სტუდენტმა ერთ სპეციალობაზე ისწავლოს.

ჩემი აზრით, უნდა არსებობდეს ერთგვარი შიდა მექანიზმი, რომელიც ამ საკითხს დაარეგულირებს – რამდენი სტუდენტი შემიძლია მოვამზადო იმ აკადემიური პერსონალით, რომელიც მყავს (ან რამდენის მოწვევა შემიძლია ჩემი რესურსებიდან გამომდინარე). ჩვენი სამსახური აპირებს, რომ წარადგინოს რეკომენდაცია ამასთან დაკავშირებით და თუ აკადემიური საბჭო მოიწონებს, აუცილებლად შემუშავდება გარკვეული შიდა რეგულირების მექანიზმი.

– სტუდენტებს ძალიან აწუხებთ სპეციალობათა გაუქმების საკითხი. მათ გაუჭირდათ იმ აზრთან შეგუება, რომ სხვა სპეციალობას უნდა დაეფლონ...

– სტუდენტების ნაწილი თავისი სურვილით გადადის სხვა სპეციალობაზე, რაც მისი არჩევანია, მაგრამ თუ არიან სტუდენტები, რომლებიც უკმაყოფილონი არიან სხვა სპეციალობებზე გადაადგილებით და სურთ თავიანთი ძველი სპეციალობებით სწავლის გაგრძელება, ასეთი სტუდენტების საკითხი უნდა გადაწყდეს ინდივიდუალურად.

რამდენიმე სტუდენტმა უკვე მოგვმართა ამის თაობაზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეაგირებას მოახდენს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე, ანუ კონკრეტულ სტუდენტზე ჩვენ მივიღებთ კონკრეტულ გადაწყვეტილებას.

– რა სიახლეებს გეგმავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მეორე სემესტრიდან?

– სიახლე იქნება სამაგისტრო პროგრამების დამტკიცება და მათი ამუშავება. სამწუხაროდ, ეს პროცესი დროებით შეჩერებული იყო. ჩვენ ამ სემესტრში სტუდენტთა ნაწილი დავკარგეთ და ახლა ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ მეორე სემესტრიდან დავახვედროთ ძალიან მაღალი დონის სამაგისტრო პროგრამები და მაქსიმალურად მოვიზიდოთ ისინი უნივერსიტეტში.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოების ინფორმირება სამაგისტრო პროგრამებთან დაკავშირებით, მით უმეტეს, რომ პრინციპული სიახლეც არის – ეს არის ერთობლივი პროგრამები. მაგალითად, ფიზიკის ინსტიტუტთან გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი და სამაგისტრო პროგრამები ამ ინსტიტუტის ბაზაზე განხორციელდება.

გვაქვს ერთობლივი საერთაშორისო პროგრამებიც: ფრანკფურტის, ბერლინისა და ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტებთან და მასაჩუსეტსის შტატის ბიჩვოთერის სახელმწიფო კოლეჯთან. ეს პრინციპული სიახლეა. მანამდე ასეთი რამ არ გვქონია.

ასევე იგეგმება უმაღლესი პროფესიული სკოლის ამუშავება. დღე-დღეზე გამოცხადდება კონკურსი ამ პროგრამების წარმოსადგენად.

სიახლეა ისიც, რომ სამხატვრო აკადემიასთან გაფორმდა მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. ამ მემორანდუმის საფუძველზე დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც მოხდება სტუდენტთა მობილობის უზრუნველყოფა. მათ მიეცემათ თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა, შეეძლებათ ლექციების ნაწილი მოისმინონ სამხატვრო აკადემიაში და მიიღონ კრედიტები, რომელსაც უნივერსიტეტი აღიარებს და პირიქით...

ჩვენგან დაახლოებით 20 სტუდენტი სამხატვრო აკადემიაში უკვე ესწრება ლექციებს. მეორე სემესტრიდან მათი სტუდენტები ისწავლიან უნივერსიტეტში.

– თქვენი აზრით, რამდენ ხანს გაგრძელდება გარდამავალი პერიოდი უნივერსიტეტში?

– ვფიქრობ, რომ არსებული პრობლემების შესასწავლად, დასაფიქრებლად, მონიტორინგის ჩასატარებლად და გზების მოსაძებნად ჩვენ ეს სემესტრი უნდა ვიკმაროთ. რაც მთავარია, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ცდილობს პრობლემების მიზეზების შესწავლასა და გამოსწორებას, მაგრამ თითოეულმა ადამიანმა, ვინც უნივერსიტეტში მუშაობს, პასუხისმგებლობა ერთნაირად უნდა იგრძნოს, რომ მეორე სემესტრში პრეტენზიები აღარავის გაუჩნდეს. ჩვენ დროის კარგვის ფუფუნება არ გვაქვს.

ურთიერთთანამშრომლობის პირველი ნაბიჯი

14 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიამ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს. თსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ და სამხატვრო აკადემიის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა გია ბუღაძემ დოკუმენტს ხელი ივანე ჯავახიშვილის სახელობის აუდიტორიაში მოაწერეს.

მემორანდუმის თანახმად, უნივერსიტეტის სტუდენტები თავისუფლად შეძლებენ ჩაერთონ სამხატვრო აკადემიის სასწავლო პროცესში და პირიქით – სამხატვრო აკადემიის სტუდენტებს საშუალება ექნებათ, პარალელურად თსუ-შიც ისწავლონ. უმაღლესი სასწავლებლები გაცვლიან კრედიტებს და შედეგებსაც აღიარებენ, როგორც საგნის, ასევე სასწავლო პროგრამის დონეზე. ამ მიზნების განსახორციელებლად შეიქმნება ურთიერთთანამშრომლობის საბჭო, რომელსაც როტაციის წესით რექტორები უხელმძღვანელებენ. საბჭო სათანადო რეკომენდაციებს შეიმუშავებს ადმინისტრირების, ხარისხის უზრუნველყოფისა და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

მემორანდუმის გაფორმების შემდეგ უნივერსიტეტისა და სამხატვრო აკადემიის ხელმძღვანელებმა თსუ-ს პირველ კორპუსში მიმდინარე სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაათვალიერეს. რეკონსტრუქციის შედეგად მეორე და მესამე სართულები უნდა გაერთიანდეს შენობის იმ ნაწილში, სადაც გასული საუკუნის 30-იან წლებში კომკავშირისა და კომპარტიის უჯრედებისთვის ოთახები ამოშენდა. ამ დროისათვის სართულების გამყოფი იატაკი უკვე დანგრეულია და მეორე სართულიდან კარგად მოჩანს უნივერსიტეტის გუმბათის შიდა სივრცე, რომელიც რამდენიმე წლის წინ გია ბუღაძემ მოხატა.

თსუ-ს საზოგადოებასთან
ურთიერთობის სამსახური

რეფორმის ძირი მწარე არის – მკაცრი გამოცდები და შეუწყნარებელი სტუდენტები

შეხვედრა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებთან

პირველი გვერდიდან

„ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“ – სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების ურთიერთდამოკიდებულების პროცესში თქმასა და ართქმას შორის არჩევანის გაკეთებას, ალბათ, მიეჩვევა სტუდენტი, მაგრამ პროტესტი იქნება თუ არა სამართლიანი და ყველა რეალურ შენიშვნაზე მოხდება თუ არა რეაგირება, ამას ახლო მომავლის გამოცდილება გვიჩვენებს.

მაღლივ კორპუსში კომპიუტერების მოხმარებისთვის გამოყოფილი ოთახის სათამაშო კლუბად ქცევის საშიშროებაზე სტუდენტების მინიშნებამ რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ცოტა არ იყოს, გააოგნა. ახალი კომპიუტერებით მაღლივი კორპუსის მომარაგება კიდევ იგეგმება, თუმცა გამხელილი ცოდვის შემდეგ კომპიუტერების მოხმარების წესზე კონტროლი გაძაცრდება. „ცოდნის მიღებით დაინტერესებულ სტუდენტებს ფაკულტეტმა მუშაობის ყველანაირი პირობა უნდა შეუქმნას“, – აღნიშნა რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა. ასე რომ, სწავლის წინააღმდეგ მიმართული ყველა „აქცია“ გასაჩივრებას ექვემდებარება.



მაღლივი კორპუსიდან მოწოდებულ პრობლემათა „ნუსხაში“ ქსეროქსსა და ბუფეტზე მოთხოვნილება აისახა. გიორგი ხუბუას თქმით, უახლოეს ხანებში უნივერსიტეტში ტენდერის გზით შემოვა სწრაფი კვების ობიექტი, რომელიც როგორც პირველი კორპუსის, ასევე, მაღლივი კორპუსის სასადილოს აითვისებს. „მე ბოდიშს გიხდით ამ უხერხულობისთვის, მაგრამ ეს იყო წმინდა იურიდიული ხასიათის პრობლემა. სასადილო ჩვენ დღემდე არ გვეკუთვნოდა, შებოჭილი ვიყავით იმ ხელშეკრულებით, რომელიც უკვე დაირღვა. ამიერიდან უნივერსიტეტი მოაბერხებს ამ ობიექტების ამუშავებას, შემოვა ამ სფეროში სათანადო გამოცდილების მქონე დაწესებულება.“ – აღნიშნა მან. გარდა ამისა, რექტორის მოვალეობის შემსრულებელ სტუდენტებს მაღლივ კორპუსში მაღალი ხარისხის ორი ქსეროქსის დადგმასაც უახლოეს პერიოდში შეპირდა.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებთან შეხვედრაზე რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა მათ გულწრფელობისკენ და სითამამისკენ მოუწოდა.

გიორგი ხუბუა:

– მე მაქვს ინფორმაცია, რომ, სამწუხაროდ, ლექციები ცდება სტუდენტების მხრიდან, რაც გაუგებარი და მოულოდნელიც არის. მითუმეტეს ეკონომისტებთან არ უნდა იყოს იმაზე საუბარი, რომ დრო არის ყველაზე დიდი კაპიტალი, რომელსაც ვერ აანაზღაურებ, თუკი მას დაკარგავ.

ჩემი თაობისათვის დიპლომი ერთ-ერთი საშვი იყო წარმატებული პროფესიული კარიერისათვის. დღეს სიტუაცია რადიკალურად იცვლება. ერთადერთი საშვი წარმატებული კარიერის თვალსაზრისით შეიძლება იყოს, მხოლოდ და მხოლოდ, თქვენი ცოდნა. მე იქით მიმყავს ჩემი საუბრის ძირითადი აქცენტი, რომ თქვენი მხრიდან უნდა იგრძნობოდეს შეუვალი და აბსოლუტურად უშეღავათო დამოკიდებულება, როგორც სწავლის პროცესში დისციპლინის თვალსაზრისით, ასევე ლექციების ხარისხის თვალსაზრისითაც. როდესაც დღეს აშკარად გვჯობნის ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებელი, არაფერი არ ჭირს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ისეთი, რომ კონკურენტუნარიან გარემოში თავი ვერ დაიმკვიდროს. ჩვენ მით უფრო უშეღავათონი ვიქნებით სწორედ იმის გათვალისწინებით, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, განსაკუთრებით წელს, ყველაზე უფრო მაღალი მოსწრების ახალგაზრდობამ აირჩია. არც ერთ შემთხვევაში მათ არ უნდა გავუცრუოთ იმედი. მე არ მინდა, რომ თქვენი მოლოდინი უნივერსიტეტში ილუზიის სფეროში დარჩეს. ამიტომ აკადემიურ პერსონალთან ურთიერთობაში მინდა გთხოვოთ თქვენი პოზიციების წარმოჩენა.

იგეგმება სტუდენტური გამოკითხვა, სადაც შეგიძლიათ შეაფასოთ როგორც სწავლის პროცესის მიმდინარეობა, ასევე თითოეული მასწავლებლის კვალიფიკაციის დონე. თქვენივე მონაწილეობით უნდა მოხდეს ამ პროცესის მაქსიმალურად მაღალ დონეზე წარმართვა. ნუ იფიქრებთ იმას, რომ უკეთეს პედაგოგს ვერ მოვიყვანთ. ჩვენ მოვიყვანთ უკეთესს, ოღონდ თქვენ უნდა დაგვეხმაროთ, გავარჩიოთ – ვინ არის ღირსეული. შეხვიდე ახალგაზრდებთან და ლექცია წაიკითხო, ამ ქვეყნად ამაზე უფრო კეთილშობილური საქმე არ არსებობს. ამ მხრივ არსებული პრობლემების დამალვა არ იქნება მისაღები.

ვწუხვარ, რომ ჩვენ ცოტა გვიან მივედით იმ დასკვნამდე, რომ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა მაქსიმალურად ყოფილიყო ინტეგრირებული ეკონომიკის ფაკულტეტთან - ეს უკვე გადაწყვეტილია და თქვენ იცით ამის შესახებ. იგეგმება ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის აქ განთავსება, რაც ეკონომისტებს სამომავლოდ კარგ პერსპექტივას ჰპირდება. ეს არის სკოლა, სადაც ასწავლის მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესორა, ძირითადად ამერიკის შეერთებული შტატებიდან. ამიტომ თითოეულ თქვენთაგანს აქვს კარგი პერსპექტივა იმ თვალსაზრისით, რომ შესაბამისი სამაგისტრო განათლება და ხარისხი მიიღოს. ვისურვებდი, რომ ის ენერგია, რაც ასე მოჭარბებულად გაქვთ, აუცილებლად სწორი გზით წარმართოთ.

სტუდენტების თამამი შეკითხვები და რექტორის პასუხები

სტუდენტი:

– ჩვენი ფაკულტეტის სხვადასხვა ჯგუფები ვსწავლობთ სხვადასხვა პროგრამებით და სილაბუსებით. საინტერესოა, გამოცდა ყველამ ერთი პროგრამის მიხედვით როგორ უნდა ჩავაბაროთ?

გიორგი ხუბუა:

– ეს პრობლემა მოგვარდება იმ მხრივ, რომ არც ერთი სასწავლო პროგრამა ხარისხის მართვის უზრუნველყოფის სამსახურის ნებართვის გარეშე არ წაიკითხება არც ერთ ფაკულტეტზე. ფაკულტეტმა ზუსტად უნდა იცოდეს – რას ითხოვს და როდის რას კითხულობს. ჩვენ კონტრაქტში პირდაპირ გვიწერია, რომ სილაბუსის შინაარსის არსებითი გადახვევა ითვლება კონტრაქტის ცალმხრივად მოშლის პირობად. ამაში თქვენ უნდა დაგვეხმაროთ. სტუდენტი უნდა იყოს ინდიკატორი იმისა, რა როგორ ისწავლება. თქვენ წინასწარ უნდა იცოდეთ, რა თემაზე ჩატარდება ლექცია. გამოცდის ჩაბარება მოგიწევთ პროგრამიდან გამომდინარე დადგენილი წესით.

სტუდენტი:

– ზოგიერთი ლექტორი, ჯერ კიდევ, კონსპექტით კითხულობს ლექციებს და გვაწერინებს – ეს არის ჩვენი პროგრამა? მათ სახელს და გვარს ვერ ჩაგაწერინებთ, რადგან არ მინდა ჩემს გამო ვინმემ დატოვოს სამსახური. თქვენ ბრძანეთ, რომ გამოცდები ძალიან მკაცრად ჩატარდება, ეს ძალიან კარგია, მაგრამ ჯერ არ გაქვთ განსაზღვრული, ჩვენ როგორ ვისწავლოთ. იქნებ, პირიქით მოხდეს: როცა დაარეგულირებთ სწავლის პროცესს, შემდეგ ჩატარდეს მკაცრი გამოცდები. ხომ არ ფიქრობთ, რომ გაფრთხილება ძალიან გვიანია. ჩვენ ძალიან ცოტა დრო გვრჩება იმისათვის, რომ მოვემზადოთ გამოცდებისთვის, რომელიც ძალიან სერიოზული იქნება.

აპაკი ცომაია, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი:

– გამოცდებზე შეკითხვებს დასვამენ იმის მიხედვით, რაც ისწავლეთ, ოღონდ ლექტორს თქვენი სახელი და გვარი არ ეცოდინება. ზეწოლა, პროტექცია გამორიცხული იქნება. თუ გექნებათ რაიმე პრობლემა, შესაბამისად პრეტენზიები, ჩვენ ამ პრეტენზიებს აუცილებლად განვიხილავთ. ჩვენთან შემოვიდა არაერთი განცხადება, რაც გავითვალისწინეთ და მეტნაკლებად დავაკმაყოფილეთ.

სტუდენტი:

– შეეხება თუ არა ეს იმ პროფესორ-მასწავლებლებს, ვინც კონკურსი გაირა?

გიორგი ხუბუა:

– კონკურსის წესით ლექტორის დანიშვნა არ ნიშნავს მის მუდმივად ყოფნას უნივერსიტეტში. მთავარია, რომ მან წაიკითხოს ლექცია სათანადო დონეზე. თუ ამის გაკეთება არ შეუძლია, კონკურსის ვერანაირი შედეგი მას ვერ იხსნის. კონტროლი არავის არ აწყენს. ყველაზე კარგი მექანიზმია სტუდენტური გამოკითხვა, ხარისხის შემოწმების სხვა მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტებზეც რეალურად ამოქმედდება. ძალიან მნიშვნელოვანია აუდიტორიის გაწყობა. აუდიტორიაში შესვლა და ლექციის წაკითხვა უნდა იყოს ნებისმიერი ლექტორისათვის გამოცდა.

სტუდენტი:

– გაუწევენ თუ არა იმ სტუდენტს შეღავათს, რომელიც მუშაობს და ფიზიკურად ვერ ახერხებს ლექციაზე დასწრებას?

გიორგი ხუბუა:

სტუდენტს არ ექნება არანაირი შეღავათი. არ აქვს მნიშვნელობა, ის მუშაობს თუ არა. ეს თქვენი არჩევანია. არც პროფესორ-მასწავლებელს ექნება შეღავათი სტუდენტების ხარჯზე. ყველას მიმართ მოთხოვნა თანაბარი იქნება.

თქვენი გადასაწყვეტია: თუ არ მოდიხართ, ლექციას და სემინარს არ ესწრებით, სწავლა თქვენთვის არავის მოუსჯია. თქვენ, როგორც სტუდენტს, გაქვთ თქვენი ვალდებულებები. მუშაობა არ არის გასამართლებელი საბუთი. თუ თქვენ არ გინდათ უნივერსიტეტში სწავლა, ეს სხვა საკითხია, მაგრამ თუ ხართ უნივერსიტეტის სტუდენტი, თქვენ თქვენი ვალდებულებები, ხელშეკრულების პირობები უნდა შეასრულოთ.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებთან შეხვედრით კმაყოფილება გამოთქვა. მას განსაკუთრებით შეხვედრის ბოლო ნაწილში სტუდენტების გააქტიურება და გულწრფელობა მოეწონა, რაც უნივერსიტეტის წიაღში არსებული პრობლემების უკეთ დანახვის შესაძლებლობას ქმნის. მსგავსი ფორმატით რექტორის შეხვედრები სხვა ფაკულტეტების სტუდენტებთანაც გაგრძელდება. გიორგი ხუბუას იმ ახალგაზრდების იმედი აქვს, ვინც თვლის, რომ პრობლემას მალვა არ უყვარს.

შეკითხვა რექტორატს

სტუდენტი:

– რატომ გაუქმდა რუსული განყოფილება?

ჯემალ სოლოლაშვილი, სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახურის უფროსის მოადგილე:

– ბოლო ხანს რუსულ განყოფილებაზე შემსვლელთა რაოდენობამ მნიშვნელოვნად იკლო. უნივერსიტეტს მცირე რაოდენობის სტუდენტებით დაკომპლექტებულ აკადემიურ ჯგუფში თითოეული სტუდენტის სწავლება გაცილებით ძვირი უჯდება, მრავალრიცხოვანთან შედარებით. სამწუხაროდ, სადღეისოდ უნივერსიტეტის ბიუჯეტი არ იძლევა მცირერიცხოვანი აკადემიური ჯგუფების შენახვის საშუალებას.

სტუდენტი:

– მაქვს სამუშაო სტაჟი, დამემატება თუ არა 21 კრედიტი ჩემი სამუშაო სტაჟის ხარჯზე, იმის მიუხედავად, შემომთავაზებს თუ არა უნივერსიტეტი პრაქტიკულ კომპონენტს?

ჯემალ სოლოლაშვილი:

– საუნივერსიტეტო შინაგანაწესი არასოდეს ითვალისწინებდა სამუშაო სტაჟის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტად ასახვას, თუმცა, დაუსწრებელი და საღამოს სწავლების სტუდენტებისათვის ერთხანს სავალდებულო მოთხოვნად ითვლებოდა მუშაობა სპეციალობის მიხედვით. ამ ეტაპზე კი თუ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს პროფესიულ პრაქტიკას, ფაკულტეტის საბჭოს ან დარგობრივი კომისიის გადაწყვეტილებით სამუშაო სტაჟი შეიძლება განიხილებოდეს პროფესიული პრაქტიკის ექვივალენტურ პარამეტრად.

სტუდენტი:

– ვსწავლობ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე. მინდა შევიცვალო ფაკულტეტი. რა არის ამისთვის საჭირო?

თინათინ კაკუშაძე, სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახურის უფროსის მოადგილე:

– უნივერსიტეტის ნებისმიერ სტუდენტს ფაკულტეტის ან სპეციალობის შეცვლა შეუძლია პირველი სემესტრის დასრულების (მომავალში კი ყოველი სემესტრის დასრულების და მომდევნო სემესტრის დაწყებამდე) შემდეგ. ამისათვის სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს რექტორს. განცხადებას თან უნდა ახლდეს ამონაწერი სტუდენტის სასწავლო ბარათიდან შესწავლილი დისციპლინების, მათი მოცულობისა და შეფასებების მითითებით. მიმღები ფაკულტეტის დეკანატის თანხმობის შემთხვევაში ფორმდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და, აღიარებული კრედიტების შესაბამისად, სტუდენტს განესაზღვრება სასურველ ფაკულტეტსა თუ სპეციალობაზე სწავლის გაგრძელების ეტაპი (სემესტრი). საბიუჯეტო სექტორის ან სახელმწიფო გრანტით დაფინანსებული სტუდენტი ფაკულტეტის თუ სპეციალობის შეცვლისას სწავლას აგრძელებს იმავე სექტორზე, მაგრამ საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისათვის დამატებითი ვადის საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო პერიოდს გაივლის თვითდაფინანსებით.

თსუ-ს თანამშრომელი:

– ვარ აკაკის კაბინეტის თანამშრომელი. კადრების განყოფილებაში სტიპენდიატებს გვეძახიან, შრომის წიგნაკი უნივერსიტეტში მაქვს. თუ თანამშრომლად ვითვლები, რატომ არ მიხდიან ხელფასს? იანვრიდან დღემდე ჯამაგირი არ მიმიღია. გთხოვთ გამარკვიოთ, როდის მომცემენ ხელფასს, ან საერთოდ მომცემენ თუ არა?

იაგორ კალანდაძე, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი:

– საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის 2005 წლის 13 ივლისს დადებული №02/1360 და №02/1361 ხელშეკრულებების საფუძველზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის რუსუდან ლორთქიფანიძის 2005 წლის 18 ივლისის №121 ბრძანებით უნივერსიტეტსა და მეცნიერ-თანამშრომელს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის დარეგულირებისათვის გაფორმდა ხელშეკრულება, რის საფუძველზეც, სამეცნიერო სექტორის საბაზო დაფინანსების შეწყვეტის გამო, მეცნიერ-მკვლევარებთან გაფორმდა ხელშეკრულებები აკადემიური სტიპენდიების გაცემის თაობაზე. აღნიშნულ სტიპენდიებს მეცნიერ-მკვლევარები ღებულობდნენ 2006 წლის 1 იანვრამდე. 2006 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა საქართველოს კანონი – „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ“, რომელმაც განსაზღვრა სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების წესი და კონტინგენტი. 2006 წლის 1 ნოემბერს შეწყდა ფორმალური კავშირი უნივერსიტეტსა და იმ მეცნიერ-მკვლევარებს შორის, რომლებიც ღებულობდნენ აკადემიურ სტიპენდიას 2006 წლის 1 იანვრამდე, თუმცა, მათ 2007 წლის 1 იანვრამდე საშუალება აქვთ – მიმართონ სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს და დაინიშნონ სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია. ანაზღაურება განხორციელდება 2006 წლის 1 იანვრიდან (გადმოანგარიშებით).

შორენა ჯანხოთელი და ნანა გოჩიაშვილი, ჰუმანიტარული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტები:

– გაუქმდა დიპლომატიის სპეციალობა, დაირღვა ხელშეკრულება, ისტორიკოსებისაგან განსხვავებით ისევ 200 დოლარით მეტს ვიხდით. ამით ჩვენი უფლებები ირღვევა.

დარეჯან თვალთვაძე, ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანი:

– ამ ინფორმაციის გავრცელებას თავისი საფუძველი აქვს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტები ითხოვდნენ არჩეული სპეციალობით სწავლის გაგრძელებას, გადავწყვიტეთ, რომ მესამე და მეოთხე კურსელებისთვის მიგვეცა საშუალება მეორე სემესტრიდან ძველი პროგრამით გააგრძელონ სწავლა. არჩევითი საგნების ხარჯზე სტუდენტი შეძლებს თვითონ დაგეგმოს თავისი სასწავლო პროგრამა. ამასთან, ის მიიღებს დიპლომს, რომლის დანართში აუცილებლად იქნება აღნიშნული სპეციალობა – დიპლომატიის ისტორიის სპეციალისტი.

რამდენიმე სტუდენტმა უკვე დაწერა განცხადება, რის საფუძველზეც დიპლომატიის ისტორიის სპეციალობიდან ისტორიის სპეციალობაზე გადასვლის ნებართვა მიიღო, სადაც გადასახადი 500 დოლარია. რაც შეეხება იმ სტუდენტებს, ვისაც გადახდილი აქვთ ზედმეტად 200 დოლარი, ეს თანხა გადაუნაწილდებათ შემდეგ სემესტრებზე.

სტუდენტები:

– დაუსწრებელი ფაკულტეტის გაუქმების შემდეგ სწავლა გავაგრძელე დასწრებულ განყოფილებაზე, რამაც გარკვეული სირთულეები შემიქმნა. მესამე კურსის ნაცვლად, აღმოვჩნდი მეორე კურსზე, რაც გულისხმობს იმას, რომ გადასახადი ორმაგად უნდა გადავიხადო. რატომ დაირღვა კონტრაქტი და რა შეღავათები გვექნება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან?

დარეჯან თვალთვაძე:

– დაუსწრებელი განყოფილებების სტუდენტები მართლაც აღმოჩდნენ სხვადასხვა კურსზე, იმის მიხედვით, თუ რა საგნები ჰქონდათ გავლილი და როგორი იყო მათ მიერ დაგროვილი კრედიტები. მოხდა ისე, რომ ზოგიერთი სტუდენტი, რომელიც მესამე კურსზე სწავლობდა, კრედიტების დათვლის შედეგად მეორე კურსზე აღმოჩნდა. თუმცა, ორმაგი გადასახადის გადახდა მაინც არ უწევთ, რადგან ხუთწლიან პროგრამას ახლა ოთხ წელიწადში დაასრულებენ. დადებული კონტრაქტის თანახმად, მათ გადასახადებთან დაკავშირებით არანაირი პირობა არ შეცვლიათ, ისინი, სხვებისგან განსხვავებით, კვლავ 300 ლარს იხდიან, მაგრამ, სამწუხაროდ, ვეღარ შეძლებენ პარალელურად მუშაობას, რადგან თუ ისინი ლექციებს, კოლოკვიუმებს, სემინარებს არ დაესწრებიან, ვეღარ შეძლებენ საჭირო რაოდენობის კრედიტების დაგროვებას და ამით ისევ თვითონ დაზარალდებიან.

დიპლომატია რბილი იარაღის კონვეიერი უნდა იყოს

ამერიკის ელჩის ჯონ ტეფტის შეხვედრა სტუდენტებთან

მარიამ გეთლემიძე

გიორგობის მეორე დღეს უნივერსიტეტს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ჯონ ტეფტი ეწვია. სტუდენტებთან საუბარს მან საათნახევარზე მეტი დაუთმო და ძირითადად საქართველოს პოლიტიკურ და საერთაშორისო უთერთიერთობების საკითხებს განიხილავდა, ვინაიდან საუბრის ოფიციალურ თემას „დიპლომატია XXI საუკუნეში“ წარმოადგენდა.

„დიპლომატი“ ეს ის სიტყვაა, რომლის ხმარებასაც გვერდს ვერ უვლიან საერთაშორისო მედიის წამყვანი წარმომადგენლები “CNN”, “Euro News”, “Fox News”, “Washington Times”, “News York Times” თუ სხვა და თითოეული მათგანი დიპლომატიას ინფორმაციის მიმწოდებლად იხსენიებს. თუმცა, ჩემი აზრით, ის გაცილებით მეტია, ვიდრე ადგილობრივი ხელისუფლებისთვის ინფორმაციის მიმწოდებელი. სწორედ დიპლომატიის არსზე და მის მნიშვნელობაზე მსურს ვისაუბრო დღეს“, — განაცხადა შეხვედრის დასაწყისში ჯონ ტეფტმა.

მისი თქმით, დიპლომატია არა ინფორმატორული, არამედ ტრანსფორმატორული და დემოკრატიის განვითარებისა და ზოგადად, მსოფლიოში მდგომარეობის გამოსწორების ხელშემწყობი უნდა იყოს.

სწორედ ასეთ დიპლომატიას უჭერენ მხარს აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში და გენერალური მდივანი კონდოლიზა რაისი. იმის დასამტკიცებლად, რომ ბატონი ტეფტის საქმიანობა მხოლოდ დავალების შესრულებასა და პროტოკოლურ მუშაობას არ ითვალისწინებს, მან ცხინვალის რეგიონში მაშინდელი თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის ვერტმფრენისთვის სროლის შემთხვევა გაიხსენა, რომლის მეორე დღესვე იგი ცხინვალში გაემგზავრა.

„მაშინ მე არავითარი მითითება არ მიმიღია ჩემი ვაშინგტონელი ხელმძღვანელობისგან, რომ ცხინვალში გავმგზავრებულიყავი. თუმცა, მაშინ ეს ყველაზე მნიშვნელოვნად ჩავთვალე და გადავწყვიტე, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებს პირადად გავსაუბრებოდი“, — ამბობს ბატონი ელჩი და აქვე ხსნის მისი ამ

შემთხვევით დაინტერესების მიზეზს. „ისეთ კონფლიქტურ რეგიონში, როგორიც ცხინვალია, საქართველოს თავდაცვის მინისტრის ვერტმფრენის დაზიანების მცდელობა ნამდვილი პროვოკაციაა, რაც კონფლიქტური მდგომარეობის კიდევ უფრო მეტად დაძაბვისა და გაუარესების საშიშროებას ქმნის“.

ელჩის სიტყვის შემდეგ, ირაკლი ოქრუაშვილი სტუდენტების შეკითხვებშიც არა ერთხელ იყო ნახსენები. თუმცა, შემდეგ უკვე, ძირითადად, რუსეთ-საქართველოს ურთერთობების კონტექსტში.

დიპლომატიის არსზე საუბრისას ჯონ ტეფტმა, მისი რამდენიმე განმარტება წაიკითხა. ერთ-ერთის მიხედვით ეს პროფესია რთულ საკითხებზე რბილად საუბრის ხელოვნებად მოიხსენია, სხვა შემთხვევაში კი ის იარაღად დაასახელა, რომელიც აიძულებს სხვას, ისე მოიქცეს, როგორც ეს დიპლომატიის ავტორს სურს. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ყველა ქვეყანას მისთვის დამახასიათებელი დიპლომატიის სტილი და მიზნები აქვს.

აქ ელჩს იმ ქვეყნების მაგალითი მოჰყავს, რომელთა სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების დაფინანსებას, აშშ მხოლოდ მათი მოთხოვნის შესრულების შემდეგ ახორციელებს. „მე არ ვიცი, ეს ამერიკული იდეალიზმის თუ სხვა თვისების ბრალია, მაგრამ ჩვენ ისე გავცემთ თანხებს, რომ სანაცვლოდ არაფერს ვითხოვთ“, — აღნიშნა ბატონმა ტეფტმა.

მისი თქმით, მსოფლიო გადატვირთულია სხვადასხვა სახის ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური პრობლემებით, სწორედ ამიტომ XXI სუკუნეში „დიპლომატია რბილი იარაღის

კონვეიერი უნდა იყოს, რათა ხელი შეუწყოს ყველა არსებული პრობლემის უმტკივნეულო მოგვარებას“. ამ თემაზე საუბრისას ელჩმა ქვეყნის ადგილობრივი მედიის მნიშვნელოვნებაც აღნიშნა.

შეხვედრის განმავლობაში ჯონ ტეფტმა არა ერთხელ გაამახვილა ყურადღება ამერიკის შეერთებული შტატების მიერ აღიარებულ იმ ღირებულებებზე, რომლებსაც საქართველოც იზიარებს. მისი თქმით, სწორედ ამ ღირებულებების გაზიარება მოუტანს ქვეყანას წარმატებასა და განვითარებას.

ამერიკის ელჩმა აშშ-ის ღირებულებების გაზიარება, „ვარდების რევოლუციის“ მთავარ მასტიმულირებელ ფაქტორადაც დაასახელა და აღნიშნა, რომ დემოკრატიის თვალსაზრისით ქართველებსა და ამერიკელებს ძალიან მსგავსი წარმოდგენები აქვთ. „სწორედ ამის შედეგია, რომ პროგრესი სახეზეა და დღეს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა ბევრად უკეთესია, ვიდრე, სამი წლის წინ, „ვარდების რევოლუციამდე“, — მიაჩნია მას.

შეხვედრის დროს სტუდენტთა შეკითხვების გამო, რუსეთთან საქართველოს ურთიერთობა საკმაოდ აქტუალურ თემად იქცა. აშშ-ის ელჩმაც არაერთხელ გამოთქვა საკუთარი აზრი რუსეთის ოფიციალური პოლიტიკის წინააღმდეგ. მან დაწვრილებით მოიხსენია რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ გატარებული სანქციები და დაგმო იგი.

საქართველოს ენერგეტიკის შესახებ კითხვის ავტორს, ელჩმა უპასუხა, რომ არსებული რთული ენერგეტიკული მდგომარეობა, მისი უარყოფითი ასპექტის გარდა, დადებით მხარეებსაც შეიცავს, რადგან მომავალში ამ სფეროს განვითარების დიდ სტიმულატორად იქცევა. რაც გაზის მიმწოდებლებზე საქართველოს დამოკიდებულებას ბევრად შეამცირებს. „ამჟამად მეცნიერები მუშაობენ იმ ნივთირებების შემუშავებაზე, რომლის დამატებით გაზის წვა უფრო ეფექტიანი და ეკონომიური გახდება“, — განაცხადა ბატონმა ტეფტმა.

სტუდენტის თვალით

ახალგაზრდა იურისტები რექტორს გაზეთის კონცეფციას წარუდგენენ

„ჩვენი წარმატების საწინდარი სიმართლის თქმაა“

შურთხია გეროშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური ცხოვრება მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ თავისუფალი სიტყვა ამ კედლებში განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს და ხშირად გავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე. სტუდენტური გაზეთების საშუალებით ახალგაზრდებს შეუძლიათ თავიანთი დამოკიდებულება გამოხატონ ქვეყანაში და აგრეთვე, უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებზე. ამ მხრივ მრავალწლიანი გამოცდილება აქვს იურიდიულ ფაკულტეტს.. სტუდენტური გაზეთი „ახალგაზრდა იურისტი“ დაარსების დღიდან ცდილობს, არ უღალატოს თავისუფალი პრესის პრინციპებს და აქტიურად იყოს ჩაბმული სასწავლო-შემოქმედებით პროცესებში.

გაზეთის არსებობის პერიოდში იურიდიულ ფაკულტეტზე უკვე მესამე დეკანი შეიცვალა, თუმცა, გაზეთის არსებობას დღემდე პრობლემა არ შექმნია და როგორც რედკოლეგიის წევრები აცხადებენ, არც რაიმე სახის ზეწოლას ჰქონია ადგილი. „ახალგაზრდა იურისტის“ რედკოლეგიის თავმჯდომარის, იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტის არჩილ კაიკაციშვილის განცხადებით, თავდაპირველად იურიდიული ფაკულტეტის ამჟამინდელი დეკანი მათ კეთილგანწყობით შეხვდა და აღნიშნა, რომ მისთვის სასიამოვნო სიურპრიზი იყო გაზეთის არსებობა. „თანამშრომლობა დაუბრკოლებლად გრძელდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტებმა დადებითად აღვიქვით იურიდიულ ფაკულტეტზე დაწყებული განათლების რეფორმა, ზოგიერთი გადაწყვეტილება ჩვენთვის მაინც მიუღებელი აღმოჩნდა. შესაბამისად, გაზეთის ფურცლებზე არაერთი მწვავე შინაარსის სტატია დაიბეჭდა და მწვავე დისკუსიაც გაიმართა. მოულოდნელად, სამი ნომრის გამოსვლის შემდეგ, დეკანატმა დაფინანსება შეგვიწყვიტა“, — აღნიშნა რედკოლეგიის თავმჯდომარემ.

,,ახალგაზრდა იურისტის” ბოლო ნომერი 2006 წლის მარტში გამოვიდა. არჩილ კაიკაციშვილმა განაცხადა, რომ იურიდიული ფაკულტეტის დეკანატმა გაზეთს დაფინანსება იმ მიზეზით შეუწყვიტა, რომ ფაკულტეტზე უნდა გამოცხადებულიყო კონკურსი ახალი გაზეთის შექმნისათვის. სტუდენტების მიერ წარმოდგენილი პროექტების საუკეთესო ვარიანტს დეკანატი დააფინანსებდა. ,,ახალგაზრდა იურისტის“ რედკოლეგიის წევრების განცხადებით, მათთვის კონკურსის იდეა მისაღებია, მაგრამ რატომ არ ცხადდება დაპირებული კონკურსი — გაურკვეველია. მიუხედავად იმისა, რომ გაზეთის ბეჭდვური ვერსია არ გამოიცემოდა, გაზეთის რედაქცია თავის საქმიანობას უნივერსიტეტის ვებგვერდიდან ახორციელებდა. გაზეთის ელექტრონულმა ვერსიამაც სტუდენტებში დიდი მოწონება დაიმსახურა. დაიწყო თანამშრომლობისა და ურთიერთობის ახალი ეტაპი. ამის ერთგვარ მაგალითს წარმოადგენდა გაზეთის სარედაქციო კოლეგიის შეხვედრა უნივერსიტეტის რექტორთან, ბატონ გიორგი ხუბუასთან.

შეხვედრა გაიმართა ფორმატით: — ,,ოცი შეკითხვა რექტორს”.

არჩილ კაიკაციშვილის თქმით „ჩვენ გვსურდა, უშუალოდ პირველი პირისგან მოგვესმინა პასუხები იმ საუნივერსიტეტო პრობლემებზე, რომელიც ამ ხნის მანძილზე დაგვიგროვდა. რექტორთან კითხვა-პასუხი არამარტო გაზეთის გამოცემის პრობლემას შეეხო, არამედ სხვა საჭირბოროტო სახითხებსაც, როგორიცაა: რეფორმა, სტიპენდიები, სტუდენტთა დასაქმება, სოციალური დაცვის მექანიზმები...“

იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების თქმით, შეხვედრა ძალიან გულთბილი იყო. ისინი გააოცა რექტორის უშუალობამ, აგრეთვე იმ ფაქტმა, რომ ბატონი გიორგი კარგად იცნობდა ამ გაზეთს, იცოდა მისი დაარსების ისტორია და კონცეფცია. ,,მას თვითონაც აინტერესებდა, რას ვფიქრობდით ამა თუ იმ მოვლენაზე, გვთხოვა, გაგვეზიარებინა ჩვენი მოსაზრება საუნივერსიტეტო რეფორმების შესახებ, საუბრის დროს აღგვითქვა, რომ ასეთი შეხვედრები კვლავაც გაგრძელდება და იგი სტუდენტთა ინტერესთა გათვალისწინებით შექმნის ახალ, აკადემიურ საუნივერსიტეტო გარემოს”, — თქვა არჩილ კაიკაციშვილმა.

შეხვედრაზე გადაწყდა, რომ გაზეთის რედკოლეგიის წევრები რექტორს წარუდგენენ თავიანთ კონცეფციას, სადაც დასაბუთებული იქნება, რატომ უნდა განაგრძოს გაზეთმა არსებობა. გიორგი ხუბუას აზრით, სასურველია, რომ უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტზე ჩაეყაროს თემატურ ჟურნალისტიკას საფუძველი და ყოველ საინტერესო პროექტს მისი მხრიდან ყოველთვის ექნება სრული მხარდაჭერა.

გაზეთ „ახალგაზრდა იურისტის“ მთავარი რედაქტორის მარიკა არევაძის განცხადებით, ახალ სარედაქციო კოლეგიას, რომელიც ახლახან შეიცვალა, სერიოზული მუშაობა მართებს, რათა იგი სერიოზულ გამოცემად იქცეს. ,,ჩვენი წარმატების საწინდარი სიმართლის თქმაა”, — ასე თვლიან ახალგაზრდა იურისტები.

გაზეთს აქვს რამოდენიმე ჩანართი, რომელიც მომზადებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქუთაისის, გორის, ახალციხის, სოხუმის ფილიალებისა და თბილისის ეკონომიკური უნივერსიტეტების მიერ. ყოველთვიური გაზეთის ხუთასამდე ეგზემპლარს ეცნობოდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა, იგზავნებოდა პარლამენტში, სახალხო დამცველთან, სასამართლოებში და რა თქმა უნდა, ვრცელდებოდა სტუდენტებს შორის.

პირველი რედკოლეგია, პირველი საგაზეთო წერილები, პირველი გაბედული სიტყვა — ,,სამართალი უნდა აღსრულდეს“... ეს ყველაფერი 1997 წელს დაიწყო, — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საუნივერსიტეტო გაზეთი ,,ახალგაზრდა იურისტი“ სტუდენტების ძალისხმევით და მაშინდელი დეკანის გივი ინწკირველის ხელშეწყობით დაარსდა და თავისი არსებობის მანძილზე არაერთი მნიშვნელოვანი საუნივერსიტეტო პრობლემა გაშუქდა.

2007 წლისთვის გაზეთი ათწლიანი იუბილეს აღნიშვნას გეგმავს. მთავარი რედაქტორის მარიკა არევაძის განცხადებით, გაზეთი გააგრძელებს თავის ტრადიციებს და ბოლომდე უერთგულებს თავისუფალი პრესის პრინციპებს. „ახალგაზრდა იურისტი“ ერთ კვირაში საკუთარი ოფიციალური ელექტრონული ვერსიის პრეზენტაციას შემოგვთავაზებს.

მოკლედ

ლაშა ბულაძის „ოქროს ხანა“

თეონა ჭალიძე

21 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავით სარაჯიშვილის სახელობის აუდიტორიაში სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით ლაშა ბულაძის ახალი რომანის პრეზენტაცია გაიმართა. რომანი „ოქროს ხანა” საქართველოდან ნებით თუ იძულებით გადახვწილი და თბილისში დარჩენილი თანამედროვე ქართველი ახალგაზრდების შესახებ მოგვითხრობს: რატომ გაიქცა რომანის მთავარი

პერსონაჟი, კოტიკო, თბილისიდან და რატომ დაბრუნდა უკან; როგორ ხდებიან ძველი ბიჭები პოლიტიკოსები; როგორ აშენებენ თბილისში ნარკომანები ეკლესიებს და როგორ ქმნიან ერთობლივ ოჯახს შორეულ ბრიტანეთში თბილისელი შოთიკო და დათუნა... მოკლედ, როგორ ატარებენ თავიანთი ცხოვრების ოქროს ხანას რომანის გმირები.

პარალელურად თსუ კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ფოიეში ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ სტუდენტური გამოფენა-გაყიდვა მოაწყო, სადაც სტუდენტებს შეეძლოთ სპეციალური ფასდაკლებით სარგებლობა და ბლიც-ლატარიის გათამაშებაში მონაწილეობის მიღება. პრეზენტაციაზე აღნიშნული გამომცემლობის წარმომადგენელმა თინა სულაკაურმა განაცხადა, რომ ანალოგიური გამოფენა-გაყიდვა გაიმართება რეგიონებში არსებულ უნივერსიტეტებშიც. ბოლოს კი ავტორმა ავტოგრაფები დაარიგა და სტუდენტებს კეთილი სურვილებით დაემშვიდობა.

დამატებითი არგუმენტაცია დიალოგის განახლებისათვის

საჯარო დისკუსია თემაზე – სამხრეთ ოსეთი: რა იცვლება?

პირველი გვერდიდან

სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებულ რეს-პუბლიკაში გამართული არჩევნების აბსურ-დულობა, მიზეზ-შედეგების ახსნა, პროგნო-ზირება და მოსალოდნელი შედეგები — ეს იყო ის მთავარი საკითხები, რომლებზეც მოწვეული სტუმრები პასუხის გაცემას ცდი-ლობდნენ.

საქართველოს სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ფონდის წამყვანი ექსპერტი არჩილ გეგეშიძე შეეცადა დისკუ-სიის მონაწილეთა კითხვაზე: — რას უნდა ველოდოთ მომავალში ამ რეგიონში? — ვრცე-ლი და ამომწურავი პასუხი გაეცა.

არჩილ გეგეშიძე:

— რაც მოხდა, ყველასათვის კარგად არის ცნობილი. თუმცა, ამის ბოლომდე გაგზრებას დრო სჭირდება. ერთი რამ ცხა-დია, შესაძლო პოლარიზაციის ტენდენციე-ბის განსაზღვრისთვის საინტერესოა, მო-სახლეობის რა რაოდენობამ მიიღო პარა-ლელურ არჩევნებში მონაწილეობა. მიმაჩ-ნია, ამ ფაქტს, პოზიციების განსაზღვრის დროს, გადამწყვეტი თუ არა, არსებითი მნიშვნელობა ნამდვილად აქვს. საინფორმა-ციო საშუალებებით გახმოვანებული ციფ-რები, ვფიქრობ, რეალობას არ შეესაბამე-ბა. მიუხედავად ამისა, შეგვიძლია, შევაფა-სოთ, რა მოვლენებთან გვაქვს საქმე და, შესაბამისად, განვსაზღვროთ, როგორ შე-იძლება განვითარდეს მოვლენები საერთა-შორისო სამართლებრივი თვალსაზრისით. არჩევნებთან დაკავშირებით გამოიკვეთა ორი პოზიცია. ერთი — რომ ეს იყო ნონსენსი და ყოველგვარ ლეგიტიმურობას მოკლებუ-ლი არჩევნები, რასაც საქართველოს გარ-და, საერთაშორისო თანამეგობრობის გარ-კვეული ნაწილიც იზიარებს და მეორე — თავად რუსეთის პოზიცია, რომელიც მომ-ხდარში ხედავს შესაძლო საფუძველს — მო-მავალში ე.წ. ,,კოსოვოს მოდელი'' განხორ-ციელდეს. რუსეთის ოფიციალურ განცხა-დებაში, მართალია, სიტყვა — ,,აღიარება'' პირდაპირ არ არის ნათქვამი, მაგრამ რუსე-თის ფედერაციამ აღიარა კოკოითის გაპრე-ზიდენტება და რეფერენდუმის შედეგები. ამა-ვე დროს, რუსეთმა იგნორირება გაუკეთა მეორე არჩევნებს, რომელიც თავისი მასშტა-ბურობით ხასიათდებოდა.

— რას ნიშნავს ეს პოლიტიკური თვალ-საზრისით?

— თუ ამ რეგიონში არჩევნებში მოსახლე-ობის აქტიურობა თანაზომიერია, შეგვიძლია ვიმსჯელოთ შიდა საზოგადოების პოლარიზა-ციის ხარისხზე, რაც საერთო სტაბილურო-ბას ხელს არ შეუწყობს და შესაძლოა, ეს პირობები ერთგვარად ინსპირირებული იქნეს არაჯანსაღი ძალების მიერ. ანუ, პოლარიზა-ცია შეიძლება გამოყენებული იყოს ვითარე-ბის დესტაბილიზაციის მიზნით.

რაც სამხრეთ ოსეთში მოხდა, სასია-მოვნო მოვლენა ნამდვილად არ არის, მაგ-რამ ორი პარალელური პროცესის წარ-მართვა, გარკვეულწილად, ჩვენს წისქ-ვილზე ასხამს წყალს იმ თვალსაზრისით, რომ გაჩნდა დამატებითი არგუმენტაცია მეორე მხარის ლეგიტიმურობასთან და-კავშირებით. ასევე შემცირდა კოსოვოს პრე-ზიდენტის განხორციელების შანსებიც.

— როგორ წარიმართება სამშვიდობო პროცესი?

— მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული შეფასებები კეთდება იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს როგორც ერთ, ისე მეორე პრეზიდენტს შეუძლია თანაბარი უფლებით სამშვიდობო პროცესში მონაწილეობა, იბრ-ძოლოს თავის ადგილსა და როლზე, ვფიქ-რობ, ეს მაინც პრობლემურია. კოკოითის მხარე ამ კონფლიქტში აღიარებულია ერთერთ და არა ერთადერთ მხარედ, და თუ საკითხი დადგება არსებული ფორმატის აღდგენაზე, ჯერ ისევ ძველი ფორმატის შეცვლაზე უნდა ვიფიქროთ.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა, ევროპარლამენტი და თვით ნატოც კი, ასევე ცალკეული წამყვანი სა-ხელმწიფოები, ცალსახად აცხადებენ, რომ ეს არჩევნები არალეგიტიმური იყო. აქე-დან გამომდინარე, მათ პრაქტიკულად უკვე ხაზი გაუსვეს კოსოვოს პრეცენდენტის განხორციელების უპერსპექტივობას. თუმცა რუსეთი, ალბათ, ეცდება გააგრძელოს თავისი მცდელობა, გამოიყენოს ის ფაქ-ტი, რომ თითქოს მოსახლეობის 98-მა პროცენტმა გამოთქვა სურვილი სამხრეთ ოსეთის საქართველოდან გამოყოფის თა-ობაზე, რუსეთს გაუჭირდება ამის მტკი-ცება, რადგან ეს არჩევნები სურიალის-ტური იყო. რეფერენდუმში დასმული შე-კითხვა: ,,გსურთ თუ არა დამოუკიდებ-ლობა და შემდგომ რუსეთის ფედერაცი-აში შესვლა?'' _ აბსურდულია. კოკოითს არა ერთხელ აქვს გაცხადებული, რომ მათ სურთ რუსეთთან შეერთება, მაგრამ დამოუკიდებლობას საერთოდ არ ახსე-ნებს. ამავე დროს, რუსეთი თვითონ აცხა-დებს, რომ არავის შეიერთებს. ამდენად, ბევრი წინააღმდეგობრივი მომენტი ჩანს თავად ოსური მხარის პოზიციაში. თუ გავითვალისწინებთ საერთაშორისო თა-ნამეგობრობის პოზიციას ამასთან დაკავ-შირებით, პრაქტიკულად გამოირიცხება კოსოვოს პრეცედენტის გამოყენება, რომ-ლითაც დრო და დრო გვაშინებენ. თუმცა ეს არც იმას გამორიცხავს, რომ რუსეთს სათადარიგოდ რჩება სხვა ბერკეტები და შეუძლია ძალიან ხმამაღლა გაიჯახუნოს კარი, თუკი იგი შეურიგდება იმას, რომ ველარ მოახერხებს საქართველოს შეაცვ-ლევინოს თავისი განვითარების კურსი და რადგან ხვდება, რომ ეს ასეა, ეცდება, დასაჯოს მაინც.

ხშირად რუსეთი იმდენად ირაციონა-ლურია, რომ შესაძლოა, ეს გაკეთოს არჩევ-ნების შედეგების მოშველიებით. მისი ვარაუ-დით, დღეს რუსეთის სასარგებლოდ საერ-თაშორისო პოლიტიკაში იმდენად შეცვლი-ლია ბალანსი გავლენის თვალსაზრისით და იმდენად საჭიროა იგი დასავლეთისთვის, რომ ეს კრიტიკა დიდხანს არ გასტანს და ბოლოს შერჩება ის, რასაც მოიმოქმედებს.

— რა პოზიციას დაიკავებს საქართვე-ლოს ხელისუფლება ამ არჩევნებთან მიმარ-თებაში და როგორ გამოიყენებს იგი ევრო-პარლამენტის კეთილგანწყობას სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობის მოგვარებაში?

— ჯერ კიდევ მჯერა, რომ ორ მხარეს შორის ნდობა ისევ აღდგება, რადგან ეს ხალხი ერთ გეოპოლიტიკურ და გეოეკო-ლოგიურ სივრცეში თანაცხოვრობს. მარ-თალია, საერთო შიშის ქვეშ და ურთიერთ-კონფლიქტურ სიტუაციებში, მაგრამ მაინც ერთი ბედის გამზიარებლები ვართ. ეს კი კარგი სასტარტო პირობაა იმისათვის, რომ მომავალში უფრო მობილური პოლიტიკა განხორციელდეს. დიალოგი ნდობის აღდ-გენას შეუწყობს ხელს. პრინციპული მნიშვ-ნელობა აქვს დასავლური კომპონენტის გაზ-რდას. დასავლეთი უფრო მეტი მოტივაცი-ით უნდა ჩაერთოს ამ პროცესებში. თუ ძალიან ოპტიმისტები ვიქნებით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ევროპარლამენტის ასეთი გულისხმიერი დამოკიდებულება, ჩვენი პრე-ზიდენტის გულმხურვალედ დახვედრა, იქ გამოთქმული კომენტარები და რეპლიკები მომავალში რეალურ პოლიტიკად გადაიქცე-ვა. ევროკავშირიც უფრო აქტიურად ჩაერ-თვება ამ პროცესებში. უნდა გაგრძელდეს მუშაობა რუსეთთან, რაც ამ ეტაპზე რთულ ამოცანად რჩება, თუმცა გარკვეული დინა-მიზმი შეიძლება ამ პროცესმა შეიძინოს.

იმისათვის, რომ დასავლეთმა რეალურ პოლიტიკად აქციოს ის, რაც დღეს ზოგი-ერთ კულუარულ განცხადებებში ისმის, ამი-სათვის საჭიროა, მან დაინახოს საქართვე-ლოს მხრიდან ჭეშმარიტი მზაობა კონფ-ლიქტის მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობი-ანი მოგვარებისთვის. აქ არანაირ სამხედ-რო რიტორიკაზე საუბარი აღარ უნდა იყოს, თუნდაც თავდაცვის მიზნითაც კი. ეს გზავ-ნილი უკვე მიეცა საქართველოს ხელისუფ-ლებას. შემთხვევითი არ იყო თავდაცვის მინისტრის შეცვლის ფაქტიც. საერთაშო-რისო თანამეგობრობა თუ დაინახავს და დაიჯერებს, რომ საქართველოს მართლა მშვიდობიანი გზით უნდა პრობლემის მოგ-ვარება, მაშინ იგი მართლაც აქტიურ როლს ითამაშებს ამ პროცესების სწორად წარ-მართვაში, მაგრამ თუ დასავლეთი ჩვენს გულწრფელობაში ვერ დავაჯერეთ, მაშინ იგი ამას არ გაკეთებს...

დისკუსიის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს ხელისუფლებას მარ-თებს დაფიქრება და რომ სწორი გადაწყ-ვეტილებების მიღების დროს სიჩქარე არ შეიძლება. კრიზისების საერთაშორი-სო ჯგუფის ანალიტიკოსმა გიორგი გო-გიამ აღნიშნა, რომ ამ პროცესებში ბევრი რამ ჯერ კიდევ კარგად გასაანალიზებე-ლია, თუნდაც ის ფაქტი, რომ რუსეთს ამ რეგიონში მილსადენი გაჰყავს, მია-ნიშნებს მის შორს გამიზნულ პოლიტი-კაზე და იმაზეც, რომ პოზიციებს ადვი-ლად არ დათმობს.

დისკუსიაზე მოსაზრებები გამოთქ-ვეს ჟურნალისტებმა, მოწვეულმა სტუმ-რებმა. დამსწრე საზოგადოება შეთანხმ-და, რომ ამ მოვლენების გააზრებას და სწორი დასკვნების გამოტანას დრო სჭირ-დება, დრო კი საქართველოს სასარგებ-ლოდ იმუშავებს, რა თქმა უნდა, თუ სწორი პოლიტიკა გატარდება.

წიგნის თარო

როდის მოვლენ რიგითი ჯარისკაცები დიდ პოლიტიკაში

უნივერსიტეტში გია ნოდიას წიგნის – „საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი“ პრეზენტაცია გაიმართა

ნინო კაკულია

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ოპო-ზიციური პარტიები ველარ ახერხებენ მოძ-ლიერებას. სახელისუფლო პოლიტიკური გუნ-დის აქტიურობის გამო ოპოზიცია დაიბნა — მისი შემოქმედებითობა საზოგადოების-თვის ალტერნატიული პოზიციების შეთავა-ზების კუთხით ძალიან დაბალია. კრიტიკა-სა და ლანძღვას კი პოპულარობა მისთვის აღარ მოაქვს — საზოგადოების დაკვეთა შეიცვალა. ძლიერი ოპოზიციის ჩამოყალი-ბების პრობლემას თავად საქართველოს პრე-ზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც არაერთხელ შეეხო და აღნიშნა, რომ ხელისუფლების ინტერესებშია ქვეყანაში კონსტრუქციული ოპოზიციის შექმნა. ხელისუფლება, ბუნებ-რივია, ამაზე არ ოცნებობს, მაგრამ საინ-ტერესო იდეების მქონე ოპოზიციის საჭი-როებასაც აღნიშნავს.

რა მდგომარეობაშია დღეს პარტიული სისტემა და როგორ შეიძლება ის გამოს-წორდეს იმგვარად, რომ დემოკრატიის მდგრადობას შეუწყოს ხელი? — ამ კითხვა-ზე საპასუხოდ ნიდერლანდების მრავალ-პარტიული დემოკრატიის ინსტიტუტის (ნიმ-დი), მშვიდობის, დემოკრატიისა და განვი-თარების კავკასიური ინსტიტუტის, აგრეთვე, ევროპის უსაფრთხოების და თანამშრომ-ლობის ორგანიზაციის დემოკრატიული ინ-სტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (დიაუო) თანამშრომლობის შედე-გად ჩატარდა ინტერაქტიული კვლევა, რის საფუძველზეც მომზადდა წიგნი ,,საქართვე-ლოს პოლიტიკური ლანდშაფტი".

ინფორმაციის მთავარ წყაროდ შეირჩა ის პარტიები, რომლებსაც პარლამენტსა და თბილისის საკრებულოში ერთზე მეტი წარმომადგენელი ჰყავთ. ეს კრიტერიუმი ექვსმა პარტიამ დააკმაყოფილა. ესენია: სა-ქართველოს კონსერვატიული პარტია, მრეწ-ველობა გადაარჩენს საქართველოს, საქარ-თველოს ლეიბორისტული პარტია, ახალი მემარჯვენეები, რესპუბლიკური პარტია და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა.

ეუთომ ამ პროექტის განხორციელება პირველად საქართველოში სცადა და ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ,,ვარდების რევო-ლუციამ" სერიოზული ცვლილებები შეიტა-ნა პოლიტიკურ ლანდშაფტში. ამ ცვლილე-ბებმა განაპირობა ის, რომ ეუთოს ნიდერ-ლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტმა და დემოკრატიული ინსტი-ტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა დაიწყეს ნოვატორული მეთოდოლოგიის გა-მოყენებით — ინტერაქტიული კვლევით — პო-ლიტიკური პარტიების განვითარებაზე მიმარ-თული საქმიანობა. წიგნის — ,,საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი" პრეზენტაცია უნი-ვერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სხდომათა დარბაზში 20 ნოემბერს შედგა. წიგნის ავტორები არიან მშვიდობის, დემოკ-რატიის და განვითარების კავკასიური ინს-ტიტუტიდან გია ნოდია და ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუ-ტიდან ალვარო პინტო სქოლტბახი. მასში მოცემულია საქართველოს პოლიტიკური პარ-ტიების შესახებ კლასიკური, აკადემიური გა-მოკვლევა, რომელიც პოლიტიკური პარტიე-ბის წარმომადგენლებთან საუბრების, დისკუ-სიების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დაიწერა. არსებობს ამ წიგნის ინგლისური ვარიანტიც, რომელიც ჰოლანდი-აში დაიბეჭდა. წიგნის ქართული და ინგლი-სური ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდო-მია ყველა დაინტერესებული პირისთვის ვებ-გვერდზე www.partiebi.ge.

,,2005 წელს, როდესაც ხორციელდებო-და პროექტი, რომლის შედეგსაც ეს წიგნი წარმოადგენს, ქვეყანას ამერიკის შეერთებუ-ლი შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ეწ-ვია და დედაქალაქის ცენტრალურ მოედანზე თავმოყრილ ზღვა ხალხს ღიად განუცხადა, რომ მსოფლიო დაინტერესებულია საქართვე-ლოს დემოკრატიის წარმატებით" — აღნიშნუ-ლია წიგნის შესავალ წერილში.

,,მთავარი გამოწვევა, რაც საქართ-ველოს დემოკრატიის წინაშე დგას, ის არის, რომ 2003 წლის ნოემბერი საქართ-ველოს ისტორიაში შევიდეს როგორც რე-ვოლუცია, რომელმაც ყველა რევოლუცია დასრულა — ეს გულისხმობს, რომ უნდა მოხდეს დემოკრატიული ინსტიტუტების კონ-სოლიდაცია და ძალაუფლების კონსტიტუციო-ური ცვლაც რუტინულ პროცედურად არ იქცეს. ამისათვის მთავრობამ უნდა ისწავ-ლოს, სათანადოდ, როგორ მოემსახუროს სა-ზოგადოებას და, ამავე დროს, აწარმოოს კონსტრუქციული დიალოგი ოპოზიციასთან, რომელიც ალტერნატიულ პოლიტიკურ სტრა-ტეგიას შესთავაზებს", — ამ პათოსით არის დაწერილი ეს წიგნი, რომელიც პარტიების წარმომადგენლებისთვის ერთგვარ რეკომენ-დაციებსაც შეიცავს, თუნდაც, თუ რატომ არის ქვეყნის დემოკრატიულობის ხარისხის არც თუ კარგი მაჩვენებელი პარტიის ლი-დერზე ორიენტირებულობა. ,,აუცილებელია პარტიების რიგითი წევრების თუ საშუალო დონის ლიდერების უნარების განვითა-რება, ვინაიდან ძირითად გეზს აყალი-ბებს რამდენიმე ლიდერი, ხოლო დანარ-ჩენი წევრები რიგითი ჯარისკაცები არი-ან, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ლიდერებისადმი საზოგადოების მობი-ლიზებას ემსახურებიან" — აღნიშნა გია ნოდიამ წიგნის პრეზენტაციაზე. მისი თქმით, საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რას შესთავაზებს თითოეული პარტია მას ხე-ლისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში. ამ მიმართულებით პარტიების წარმომადგე-ნელთა გამოკითხვა და მათთან მუშაობა კვლავ გრძელდება უკვე პროექტის მეორე ეტაპის ფარგლებში, რაც 2006 წლის 1 ივნისს დაიწყო.

წიგნის პრეზენტაციას უძღვებოდა პო-ლიტიკურ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის დეპარტა-მენტის დირექტორი **დავით პაიჭაძე.** მისი თქმით, როდესაც ეს წიგნი გარკვეული რაოდენობით ფაკულტეტს გადაეცემა, ის ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდება. ,,გარწმუნებთ, არც ერთი მისი წამკითხა-ვი არ ინანებს, რომ მას გაეცნო" — განაცხადა დავით პაიჭაძემ.

ინტერვიუ წიგნის ავტორთან გია ნოდიასთან

— საზოგადოებრივ წრეებში ხში-რად საუბრობენ იმაზე, რომ პოლიტი-კამ მოიცვა ყველა სფერო, რომ პოლი-ტიკა არის ყველგან — შინ თუ გარეთ. თქვენი აზრით, რამდენად გამაღლიანე-ბელია ეს?

— ჩემი აზრით, ჩვენს საზოგადოებას იმის პრობლემა არ აქვს, რომ ზედმეტად ბევრია პოლიტიკა. მე ასე ვიტყოდი: სა-ქართველოში ზედმეტად ცოტაა პოლიტი-კა, უბრალოდ, ბევრმა სპორტად აქცია იგი. ჩვენს სინამდვილეში პოლიტიკა ნიშ-ნავს პიროვნებებს შორის დაპირისპირე-ბას და სეირის ყურებას, თუ ვინ ვის აგინებს, ვინ ვის უკან დგას, ვის მიღმა რა ჩანაფიქრი იმალება და ა.შ. ეს არის ფსევდო პოლიტიკა. ნამდვილი პოლიტი-კა — ეს არის პრინციპების შერკინება, რასაც ვიღაცამ შეიძლება იდეოლოგია დაარქვას, ვიღაცამ კი ღირებულებები უწო-დოს, მაგრამ, პრინციპში, პოლიტიკა ქვეყ-ნის წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭ-რის გზების ძიებაა.

უმუშევრობის პრობლემის გადაჭრა ერთ პარტიას შეიძლება სხვა გზით ესა-ხებოდეს, მეორეს კი ამ საკითხზე თავისი ხედვა ჰქონდეს. ყველა თანხმდება იმაზე, რომ სასამართლო სისტემა არ არის დამო-უკიდებელი, მაგრამ მთავარია ჭიდილი იმზე, თუ როგორი მეთოდებით შეიძლება გახდეს სასამართლო უკეთესი.

პოლიტიკოსებმა ილაპარაკონ პოლიტი-კაზე, განსხვავებული აზრი ჰქონდეთ, მაგ-რამ ერთმანეთი არ დახოცონ — საბოლოო ჯამში ეს არის მთავარი ამოცანა.

— შევარდნაძის პრეზიდენტობის ბო-ლო პერიოდში საკმაოდ ძლიერი იყო ოპო-ზიცია და მაშინ პოლიტიკაც უფრო საინ-ტერესო გახდა. დღევანდელი ხელისუფ-ლების პირობებში ოპოზიცია ვერ ახერ-ხებს მოძლიერებას. რაზე მიუთითებს ეს?

— მაშინ პოლიტიკა საინტერესო იყო იმით, რომ არსებობდა უფრო მეტი პოლი-ტიკური კონკურენცია. დღეს, სამწუხაროდ, პოლიტიკური კონკურენცია ნაკლებია. რო-ცა ხელისუფლება რაღაც წარმატებას აღ-წევს, ოპოზიცია აღარ ჩანს და ჩრდილშია. ოპოზიცია ძლიერდება მაშინ, როდესაც ხე-ლისუფლება სუსტდება. ეს ტენდენცია თა-ვისთავად ცუდია. ოპოზიცია ძლიერი უნდა იყოს არა იმის ხარჯზე, რომ ,,ხელისუფ-ლება არაფერს აკეთებს", არამედ ის პარა-ლელურ რეჟიმში უნდა მუშაობდეს და ალ-ტერნატიული და უკეთესი იდეები უნდა ჰქონდეს.

— ოპოზიცია ხშირად აკრიტიკებს ხე-ლისუფლებას იმის გამო, რომ მას შეც-დომებზე მითითება არ უყვარს. პოლიტი-კურ პარტიებთან თქვენი მუშაობის მან-ძილზე რა გამოიკვეთა — ოპოზიცია ის-მენს და იღებს კრიტიკას?

— შეცდომების დათვლა, მაინც და მა-ინც, არც ოპოზიციას უყვარს. ის თვლის, რომ კრიტიკის ობიექტი ხელისუფლება უნდა იყოს. ამბობს, რაღა ოპოზიციას აკრიტი-კებ, აგერ, ბატონო, ხელისუფლების შეც-დომებზე ილაპარაკეო. მიმაჩნია, რომ ქვეყა-ნაში ოპოზიცია უნდა იყოს პოტენციური ხელისუფლება, ამიტომ ყველა საკითხზე ალ-ტერნატიული ხედვა უნდა ჩამოაყალიბოს და ამაზე ესაუბროს საზოგადოებას.

როდესაც ახალ ქართულ მთავრობას აკრიტიკებენ, კრიტიკის ყველაზე ხშირი სა-მიზნე დემოკრატიაა. ეს შეიძლება პარადოქ-სადაც ჩავთვალოთ, რადგან ვარდების რე-ვოლუციის განწყობა აშკარად დემოკრატიულ-ი იყო და ახალ მთავრობაში ბევრია ისე-თი ადამიანი, ვინც საზოგდოებამ თავდა-პირველად დემოკრატიისა და ადამიანის უფ-ლებების დამცველად გაიცნო. ხანდახან ხუმ-რობენ, რომ თუ შევარდნაძის დროს სა-ქართველოს ჰქონდა ,,დემოკრატია დემოკ-რატების გარეშე", ახლა გვყავს ,,დემოკრა-ტები დემოკრატიის გარეშე". თუმცა, ამ პარადოქსში ლოგიკაც შეიძლება ვიპოვოთ. რაკი დღის წესრიგში რეფორმების სწრა-ფად გატარება დგას, მთავრობას არ სურს ტემპი დაკარგოს და გადაწყვეტილების მი-ღების მექანიზმებს ერთი სულისკვეთების მქონე ადამიანთა ვიწრო წრეებში აქცევს. ასეთი მიდგომა ხელს არ უწყობს გადაწყვე-ტილების მიღების მონაწილეობითი და ფარ-თო განხილვაზე დამყარებული პროცესის განვითარებას, რითაც მიიღწეოდა წონას-წორობა განსხვავებული სოციალური ჯგუ-ფების მოსაზრებებსა და ინტერესებს შო-რის.

როგორ გააძევეს ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტიდან

საქართველოს ისტორიის სამარცხვინო ფურცლები წიგნში – „ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე"

პირველი გვერდიდან

ასეთივე ცივი სიმართლით არის დაწერილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწე ისტორიკოსების, პროფესორების ვახტანგ გურულისა და მერაბ ვაჩნაძის წიგნი „ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე". მასში ასახულია 1930 წელს უნივერსიტეტის გაუქმების შემდეგ, მის ბაზაზე შექმნილ ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში – საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში 1930 წლის დეკემბერში და 1934 წელს კვლავ აღდგენილ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1936 წლის მარტ-აპრილში გამართული დისკუსიის სტენოგრამა.

ფაქტები ყველაფრის მეტყველია. რას ისახავდა მიზნად უდიდესი ისტორიკოსის, ქართული სახელმწიფოს იდეოლოგის წინააღმდეგ ქართველ „მეცნიერთა" ბრძოლა – კომუნისტური პარტიის წინაშე ვალის მოხდას, თუ ვინმეს სწამდა, რომ ივანე ჯავახიშვილი თავის მრწამსსა და გზას შეიცვლიდა?

მხატვარს და ისტორიკოსს გაუჭირდებოდა იმ დროს უნივერსიტეტში მოღვაწეთა პორტრეტებისა და იმ ორგანული, დანგრეული ღირებულებების ისე წარმოჩენა, როგორც დოკუმენტურ მასალებშია ასახული.

როგორ მახინჯდებიან ადამიანები, ვინ როგორ იქცევა გმირად და ანტიგმირად, საბოლოოდ ვინ არის განწირული და შერისხული შთამომავლობისგან? – ამ კითხვებზე პასუხს, როგორც მკითხველს, უნივერსიტეტის კედლებს შიგნით გამართული სამარცხვინო დისკუსიის თანამონაწილეობა მოგაძებნინებთ.

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ წიგნს ბევრი მკითხველი არ ჰყავს, ისე როგორც არ ჰყავს ბევრი გმგები – ივანე ჯავახიშვილის შემოქმედებას. ამიტომ, მისი სახელი, დღესაც, შედარებით ჩრდილშია. ეს მისი ცხოვრების გზის ბუნებრივი გაგრძელებაა, მაგრამ ამით მხოლოდ მას აკლდება, ვინც ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობის პერიოდისდროინდელ საქართველოს ისტორიას ჯავახიშვილთან და მის თანამოაზრეებთან ბრძოლის ჭრილში არ განიხილავს.

თვითგამორკვევის გზა

ვინ დგას მუშათა კლასთან და ვინ – მის მტერთან

ინტერვიუ წიგნის ავტორთან, ისტორიკოს ვახტანგ გურულთან

– თანამედროვე ისტორიკოსი ქართული ისტორიოგრაფიის პატრიარქზე წერთ. თქვენს წიგნში „ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე" 1930-1936 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ივანე ჯავახიშვილის, მისი სკოლისა და სხვა ცნობილი მეცნიერების წინააღმდეგ წამოწყებული სამარცხვინო კამპანიის ამსახველი ფაქტობრივი მასალაა. პირველ რიგში, საინტერესოა ამ წიგნის გამოცემის თქვენი მოტივაცია და მიზანი, რაც, ალბათ, დღევანდელი საზოგადოებისთვის იმ პერიოდის დაპირისპირების მხოლოდ გაცნობას არ შეიცავს?

– წიგნი „ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე", რომელშიც წარმოდგენილია იმ პერიოდის დოკუმენტები და მასალები, წიგნის ავტორთა შესავალი წერილი და კომენტარები, მზადდებოდა დიდი ხნის მანძილზე, როგორც იდეური, ისე ორგანიზაციული თვალსაზრისით. საერთოდ, თუ არ შევისწავლიდით, რა ვითარება იყო უნივერსიტეტში 20-ან, 30-ან წლებში, ისე საქართველოს ისტორია ვერ დაიწერებოდა. უნივერსიტეტი მაშინ ყველაფრის ცენტრად ითვლებოდა. პრაქტიკულად, ის იყო განმსაზღვრელი ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრებისა. 1930 წლის დეკემბერში და 1936 წლის მარტ-აპრილში გამართული დისკუსიის მასალები გასაიდუმლოებული ნამდვილად არ იყო. ის, ათწლეულების მანძილზე, საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ინახებოდა, თუმცა, მთლიანად გამოქვეყნებული არ ყოფილა. გამოქვეყნდა მხოლოდ ნაწილ-ნაწილ, დოკუმენტური მასალიდან ამონარიდების სახით, დაახლოებით მთელი მოცულობის 5-10 %. როცა ჩვენ ამ მასალებს გავეცანით, მაშინვე იმ დასკვნამდე მივედით, რომ მეცნიერული თვალსაზრისით ამ პირველი წყაროს გამოქვეყნება ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის აუცილებელი იყო, მაგრამ მე და ჩემი თანაავტორი, პროფესორი მერაბ ვაჩნაძე მთელი ორი წელი ვფიქრობდით იმაზეც, რა რეზონანსს გამოიწვევდა ის საზოგადოებაში? ვიცოდით ისიც, რომ ივანე ჯავახიშვილისა და მისი თანამოაზრე პროფესორების წინააღმდეგ ვინც თავი ცუდად წარმოაჩინა, მათი შვილები და შვილიშვილები ცოცხლები არიან. ეს, რა თქმა უნდა, მათ შთამომავლებს არ ესიამოვნებათ. თუმცა, ნორმალურ დემოკრატიულ საზოგადოებაში მოქმედებს პრინციპი – შვილი და შვილიშვილი მამის და ბაბუის საქციელზე პასუხს არ აგებს. საბოლოოდ, მივედით იმ დასკვნამდე, რომ ეს წიგნი მაინც გამოგვქვეყნებინა. ამას ძალიან დიდი ძალისხმევა დასჭირდა. სტენოგრამის გაშიფვრასა და მის გამოსაცემად მომზადებას, დაახლოებით, 2 წელი მოვუნდით. როგორც იქნა, ეს საქმე ბოლომდე მივიყვანეთ. წიგნი 2003 წელს გამოიცა. ჩვენს წიგნში 1930 წლის დისკუსიიდან გამოვაქვეყნეთ სხდომების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ივანე ჯავახიშვილს ეხებოდა. ხოლო 1936 წლის მარტ-აპრილის დისკუსიის სტენოგრამა მთლიანად გამოქვეყნდა. წიგნის დანართში დავბეჭდეთ მე-20 საუკუნის 20-30-იანი წლების ეპოქის ჩაწვდომისათვის აუცილებელი დოკუმენტური, ეპისტოლარული, მემუარული და სხვა მასალა. ეს მასალა გარეგნულად პირდაპირ კავშირში არ არის ხსენებულ ორ დისკუსიასთან, თუმცა მკითხველს უადვილებს დისკუსიის არსში გარკვევას.

– წიგნის შესავალ ნაწილში თქვენ აღნიშნავთ, რომ „თბილისის უნივერსიტეტი ბოლშევიკური ტირანიის ბატონობის ხანაში დაკარგული სახელმწიფოებრიობისა და დარბეული ეკლესიის სანაცვლოც იყო, გარდა უმაღლესი სასწავლებლისა." ამ უნივერსიტეტში პროკომუნისტურმა ქართულმა პროფესურამ ჯავახიშვილის იდეურ დევნას შეუწყო ხელი. ანუ, უნივერსიტეტში აღმოცენდა ტირანია? რა „ჩადეთ" ამ სიტყვაში – ტირანია?

– ტირანიას ჩვენ ვუწოდებთ იმ პოლიტიკურ სისტემას, რომელიც რუსეთში 1917 წლის ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალებისა და საქართველოში 1921 წლის თებერვალ-მარტის შემდეგ ჩამოყალიბდა. ტირანია არის საბჭოთა სისტემა, ბოლშევიზმი, ზოგადად, საბჭოთა წყობილება. უნივერსიტეტი საბჭოთა წყობილებისათვის და არა პროფესორ-მასწავლებლებისათვის იყო აუტანელი. ნორმალურ დემოკრატიულ სახელმწიფოში ის პროფესორ-მასწავლებლები ისე არ გადაგვარდებოდნენ, რომ უნივერსიტეტის დამაარსებლის ივანე ჯავახიშვილისა და მისი თანამოაზრეების გაძევების გადაწყვეტილების აღსრულებისათვის შეეწყოთ ხელი. ადამიანი სულიერად მახინჯი არ იბადება. მის გაჩენაში ღმერთი ურევია და ის არ შეიძლება, მახინჯი იყოს. მას ამახინჯებს ხელისუფლება, სახელმწიფო წყობილება, ცხოვრების მანძილზე გასავლელი რთული გამოცდები. ეს ადამიანები სახელმწიფო წყობილებამ დაამახინჯა და ივანე ჯავახიშვილს შეუსია. თავისთავად, ისინი არსებული სისტემის მსხვერპლნი იყვნენ. პროკომუნისტური პროფესურა პაიკის როლს თამაშობდა იმ ჭადრაკის დაფაზე, რომელიც, შეიძლება, იმდროინდელი სახელმწიფოს სახით წარმოვიდგინოთ. ასე რომ, დავაზუსტებ – ტირანია იყო ის პოლიტიკური სისტემა, რომელიც მაშინ არსებობდა საბჭოთა კავშირში და, მათ შორის, საქართველოშიც.

– სხდომებზე გამომსვლელთა მთავარი მოტივაცია, როგორც თავად აღნიშნავდნენ, ანტიმარქსისტი ქართველი პროფესორებისა და მათთან ერთად საკუთარი ფიზიონომიის გამოაშკარავებაც იყო. თვითგამორკვევის პრობლემა წამოჭრა შალვა ნუცუბიძემ, რომელმაც სხდომაზე აღნიშნა: – „თითოეულმა უნდა სთქვას – ვისთან არის: – მუშათა კლასთან თუ მის მტერთან – აი, ეს არის ჩვენი მთავარი მიზანი". თქვენ როგორ შეაფასებდით უნივერსიტეტის ინტელიგენციის თვითგამათრახების გზას და ამ ფონზე ჯავახიშვილის მეცნიერულ მსჯავრს?

– 1930 წლის დეკემბრისა და 1936 წლის მარტ-აპრილის სხდომებზე ეს არ მოხდებოდა, უნივერსიტეტის შიგნით დიდი ცვლილებები რომ არ განხორციელებულიყო. 1926 წელს ივანე ჯავახიშვილს უნივერსიტეტის რექტორის პოსტი პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის სოციალური „გადახალისების" მიზნით დაატოვებინეს. უმაღლეს სასწავლებელში უნდა მოსულიყო ე.წ. მუშურ-გლეხური ინტელიგენცია. ხალხი, რომელსაც ზოგს 2 კლასის განათლება ჰქონდა, ზოგს – 4 კლასის, წავიდოდა მოსკოვში, ისწავლიდა ე.წ. წითელი პროფესურის ინსტიტუტში, აიღებდა პროფესორის მოწმობას, ჩამოდიოდა თბილისის უნივერსიტეტში და აქ აგრძელებდა მოღვაწეობას. 1930 წლის დეკემბრის დისკუსია იმიტომ შედგა, რომ უნივერსიტეტში საბჭოთა წყობილებას კომუნისტური პარტიის წევრების, კომკავშირლების სახით უკვე ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა. ეს ხალხი 1926 წლიდან (რომელიც უნივერსიტეტის ცხოვრებაში გარდატეხის წელია) ნელ-ნელა შემორეკეს და ამას წინ ვერავინ აღუდგებოდა. 1928 წელს, როდესაც უნივერსიტეტის დაარსების 10 წლისთავი აღინიშნა, მაშინდელმა რექტორმა თედო ღლონტმა წერილი გამოაქვეყნა, სადაც აღნიშნა, რომ ივანე ჯავახიშვილმა



და მისმა თანამოაზრეებმა უნივერსიტეტი დააქციესო; ჩვენ ვცდილობთ, ივანე ჯავახიშვილის გაფუჭებული საქმე როგორმე გამოვასწოროთო. უფრო უარესიც მოხდა: – 10 წლის იუბილეზე უნივერსიტეტში მთავრობის წარმომადგენლები მოვიდნენ, მათ შორის, ფილიპე მახარაძე და იმ პერიოდისთვის ჯერ არც თუ ისე დიდი თანამდებობის პირი – ლავრენტი ბერიაც. საზეიმო სხდომაზე ვიღაც ადგა და თქვა: ჯავახიშვილი ავირჩიოთ საპატიო პრეზიდიუმში. დარბაზი ტაშით დაინგრა. ხოლო როდესაც საპატიო პრეზიდიუმის კანდიდატად ფილიპე მახარაძე დაასახელეს, (შეიძლება პრეზიდიუმში აერჩიათ კაცი, რომელიც საერთოდ არ იყო თბილისში ან იმ სხდომაზე) ტაში ძალიან ცოტამ დაუკრა. ბერიამ ამ ფაქტს მაშინვე რეაქცია მისცა, მოხსენებითი ბარათი დაწერა, სადაც აღნიშნა: უნივერსიტეტის სტუდენტების ნახევარზე მეტი ჩვენს წინააღმდეგ არის, რაიმე რომ გართულდეს (საერთაშორისო მდგომარეობას გულისხმობდა), ახლავე უნდა ვიმოქმედოთ, თორემ კაცმა არ იცის, უნივერსიტეტში რა ამბები დატრიალდებაო. ეს იყო სიგნალი იმისა, რომ უნივერსიტეტის დარბევა უკვე სწრაფი ტემპებით უნდა დაწყებულიყო. ამ გეგმის განხორციელებას მხოლოდ ჯავახიშვილის რექტორობიდან გათავისუფლება და თედო ღლონტის მოყვანა არ ჰყოფნიდა. ჯავახიშვილის გადაყენებიდან 2 წელი გავიდა, მაგრამ არსებითად არაფერი შეცვლილა. 1928 წლიდან დაიწყო დიდი დარბევა და მისი კულმინაცია 1930 წლის დეკემბრის დისკუსია იყო. დარბევა სხვადასხვა მეთოდით მიმდინარეობდა. პრაქტიკულად უნივერსიტეტი გაუქმდა. ეს გადაწყვეტილება მოსკოვში მიიღეს: – ალარ გვინდა საუნივერსიტეტო განათლებაო. ამის მთავარი მოტივი იყო ის, რომ მთელ საბჭოთა კავშირში ძველი პროფესურა დიდ ოპოზიციას წარმოადგენდა. მოსკოვის, ლენინგრადის (პეტერბურგის), კიევის, ოდესისა და სხვა უნივერსიტეტები ოპოზიციის კერას წარმოადგენდა და ამიტომ, ინსტიტუტებად დაშალეს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაიყო 4 ინსტიტუტად. ის დისკუსია, რომელზეც ჩვენ გვაქვს საუბარი, 1930 წლის დეკემბერში, პრაქტიკულად, უნივერსიტეტში კი არ ჩატარდა, არამედ პედაგოგიურ ინსტიტუტში. შემოიყვანეს ლექტორების სრულიად ახალი შემადგენლობა და ჩათვალეს, რომ ამით უმაღლეს სასწავლებელში ივანე ჯავახიშვილი და მისი თანამოაზრეები საერთოდ ამოძირკვეს. მაშინ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი პედაგოგიური ინსტიტუტი იყო, რომელიც მასწავლებლებს ამზადებდა. ამ „უმტერმის" მიუხედავად უნდა ითქვას, რომ 1930 წლის დეკემბრის დისკუსია ხელისუფლებამ მაინც წააგო. ამ დასკვნის გაკეთების საშუალებას მაძლევს სხდომაზე აკაკი შანიძისა და სიმონ ყაუხჩიშვილის გამოსვლა, რომელთაც დაიცვეს ივანე ჯავახიშვილი.

ვინ იყო ივანე ჯავახიშვილის უღალატო თანამოაზრე?

– თქვენს წიგნში გადმოცემული ფაქტების თანახმად, აკაკი შანიძემ სხდომათა დარბაზში დამსწრეთა უხეში შეძახილების ფონზე ივანე ჯავახიშვილი დაიცვა: – „მე არ ვეკუთვნი იმ პირებს, რომლებსაც სურთ ჯავახიშვილის ჩაწიხვლით გაიკეთონ თავიანთი კარიერა". ასეთი განცხადებების გაკეთების სითამამე ბევრს არ ჰყოფნიდა. ზოგს ნამდვილად ჰქონდა ჯავახიშვილის დაცვის სურვილი, მაგრამ ამას მხოლოდ იმ რეჟიმისადმი მსახურების პირობებში თუ მოახერხებდა. იყო თუ არა ეს თვითგადარჩენის ერთგვარი ტაქტიკა? თუ, ეს იყო მაინც ტირანიის წინაშე პიროვნული სისუსტის გამოვლენა?

– ამას სისუსტეს ვერ დავარქმევთ. აკაკი ბაქრაძეს უყვარდა ასეთი მაგალითის მოყვანა: კაცს სახლში ცოლ-შვილის გამოსაკვებად პური მიაქვს და მისდევს ძაღლების ხროვა. ამ კაცს შეუძლია, ძაღლების მოსაშორებლად მათ პური გადაუგდოს, მაგრამ ამით ცოლ-შვილი შიმშილით მოუკვდება. ჭკვიანი კაცი ძაღლებს პატარ-პატარა ნატეხებს უყრის, რომ სახლამდე მიაღწიოს და პურის დიდი ნაწილი შეინარჩუნოს. აი, ეს პრინციპი მუშაობდა მაშინ. თავი უნდა გადაირჩინო იმიტომ, რომ როცა ივანე ჯავახიშვილს გააგდებენ, მისი საქმე გააგრძელო. აკაკი შანიძის ერთერთ გამოსვლაში ის კი არ იყო მთავარი, 5-წლიან გეგმას შევასრულებო, არამედ ის, რომ მან გაბედა და თქვა: მე ივანე ჯავახიშვილს არ დავწიხლავ და ამით კარიერას არ გავიკეთებო. 10 გარეწრის მიერ უნივერსიტეტის დამაარსებლის დაწიხვლას იმხელა მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენადაც ერთი დიდი მეცნიერის სიტყვას ჯავახიშვილის დასაცავად. ხელისუფლებამ წააგო დისკუსია იმ გაგებით, რომ იმ წლებში უნივერსიტეტში ჯერ კიდევ ძლიერი იყო ძველი პროფესურა. რაც შეეხება 1936 წლის მარტ-აპრილის დისკუსიას, მაშინ ეს პოლიტიკური კამპანია ხელისუფლებამ მოიგო, რადგან უნივერსიტეტი, პრაქტიკულად, განადგურებული იყო. ვინც დარჩა ძველი პროფესურიდან, ველარაფერს აკეთებდა. ჩაკვდა ის იდეაც, რაც ივანე ჯავახიშვილმა და მისმა თანამოაზრეებმა მოიტანეს, მიუხედავად იმისა, რომ, 1934 წელს უნივერსიტეტი უკვე აღდგენილი იყო.

– მაინც, ვინ იყო ივანე ჯავახიშვილის უღალატო თანამოაზრე?

– ძნელი სათქმელია. ყველა გმირად ვერ იბადება. ჯორდანო ბრუნოს ადგილზე 100-დან 99 გატყდებოდა. 1930 წლის დისკუსიიდან, მე ვთვლი, რომ აკაკი შანიძის და სიმონ ყაუხჩიშვილის გამოსვლები გმირობის ტოლფასია. წყობილებისათვის რაღაც რომ არ დაეთმოთ, არ შეიძლებოდა. მათ ივანე ჯავახიშვილის შეფასებისას არ დათმეს. სიმონ ყაუხჩიშვილი სხდომაზე ძალიან მოკლედ გამოვიდა, მაგრამ თქვა, რომ ივანე ჯავახიშვილი არის ძალიან დიდი... წარმოუდგენელი იყო, ვინმეს ეთქვა: ჯავახიშვილი ყველაფერში მართალია, საბჭოთა წყობილება კი ყველაფერში მტყუანი. მას ხომ მაშინვე დაიჭერდნენ და ველარც დაიცავდა ჯავახიშვილს და მის იდეას. 1936 წელს აკაკი შანიძისა და სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ დაწყებული საქმე სიმონ ჯანაშიამ და ნიკო ბერძენიშვილმა გააგრძელეს. მათაც უფროსი მეგობარი ნაწილობრივ დაიცვეს, ნაწილობრივ კი ხელისუფლებას მოუხადეს ხარკი, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან, მათ გადაარჩინეს ივანე ჯავახიშვილის სკოლა. ისინი რომ წყობილებას დაპირისპირებოდნენ, დაიჭერდნენ, გადაასახლებდნენ ან დახვრეტდნენ. ვინ გააგრძელებდა ივანე ჯავახიშვილის საქმეს? ვინ გაზრდიდა ამდენ მოწაფეს?

– ამ დისკუსიების ფონზე ჯავახიშვილი კიდევ უფრო დიდ გმირად აქციეს... ეს რამდენად შედიოდა კომუნისტური ხელისუფლების ინტერესში?

– იოსებ სტალინის ნიჭი იმაში იყო, რომ თავის მოწინააღმდეგეს გმირად არ აქცევდა. როგორც ჩანს, სტალინთან ყველა მოქმედება და ტაქტიკა შეთანხმებული არ იყო. მხოლოდ უნიჭო პოლიტიკურ მოღვაწეებს არ შეეძლოთ იმის გათვლა, როგორ აქცევდნენ მოწინააღმდეგეებს გმირებად და როგორ იქცეოდნენ თავად ანტიგმირებად. სტალინს ჯავახიშვილის გაწირვა არ უნდოდა – ეს მთავარი ფაქტორია სხვათა შეცდომებისა ჯავახიშვილის სასარგებლოდ.

უნივერსიტეტიდან წასული ივანე ჯავახიშვილი რექტორის სატელეფონო ზარს არ პასუხობდა

– თუ არის ცნობილი სხდომების მსვლელობის პერიოდში, რას აკეთებდა ივანე ჯავახიშვილი და როგორი იყო მისი რეაქცია?

– ივანე ჯავახიშვილის რეაქცია ის იყო, რომ დისკუსიებზე უნივერსიტეტში არ მოვიდა. ივანე ჯავახიშვილი მარტო დიდი მეცნიერი კი არა, დიდი ადამიანი, დიდი მოქალაქე იყო. ის მთელ ამ პროცესებს, ადამიანურ მანიერებებს, მოღალატეობრივ პოზიციას და პატარა კაცობას ზემოდან დაჰყურებდა. მას ასეთ მდგომარეობამდე მისული უნივერსიტეტი ეცოდებოდა, თორემ, ის იმდენად დიდი ადამიანი იყო, რომ არ შეიძლება, მისი მოწინააღმდეგეების მიმართ ბოღმა და ზიზღი ჰქონოდა. მას ესმოდა, რომ ეს ადამიანები წყობილებამ დაამახინჯა. ივანე ჯავახიშვილს, რა თქმა უნდა, არ სიამოვნებდა, განიცდიდა მისი „კოლეგების" ბოლშევიკურ გავლენას, მაგრამ მას პროტესტი არ გამოუხატავს და ამის გამო მათ წინააღმდეგ არავინ დაურაზმავს. მან იცოდა, რომ იმდროინდელი ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას არანაირი აზრი არ ჰქონდა.

– ივანე ჯავახიშვილმა 1936 წლის 10 აპრილს მის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას საქართველოს სსრ განათლების

მე-7 გვერდზე

კომისრისადმი გაგზავნილი განცხადებით უპასუხა, რომელშიც ის გაუთავებელი დავის ფონზე უნივერსიტეტიდან საკუთარი ნებით წასვლაზე მიუთითებს. თავისი გადაწყვეტილებით დიდმა მეცნიერმა მტრის მიზანი აღასრულა. ამდენად, თქვენი აზრით, რამდენად გამართლებული იყო მისი ნაბიჯი?

— გამოცდებს ჩავიბარებ და მერე, ვინც გინდათ, ის მოიყვანეთო. მე კი, ამა და ამ წლიდან სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტში ვმუშაობდი და პენსია დამინიშნეთო. ეს, რა თქმა უნდა, გარკვეული პროტესტი იყო. ის დაემორჩილა უხეშ ძალას. უფრო დიდ პროტესტად შეიძლება ჩავთვალოთ მისი რეაქცია კარლო ორაგველიძის სატელეფონო ზარზე, როდესაც მას ორაგველიძემ სახლში დაურეკა. ივანე ჯავახიშვილი ტელეფონთან არ მივიდა: - რატომ მირეკავს, აღარ ვარ უნივერსიტეტის თანამშრომელიო. რექტორის ზარებს ის საერთოდ აღარ პასუხობდა.

ჯავახიშვილს ლექციაზე მთვრალი სტუდენტები შეუგზავნეს და ის უნივერსიტეტიდან წავიდა

— ვის დააკლდა ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტიდან წასვლით?

— ამით, რა თქმა უნდა, დააკლდა უნივერსიტეტს, სტუდენტობას. თავად კი არაფერი დაკლებია. მისი უნივერსიტეტში მისვლა აღარც შეიძლებოდა. ბოლოს რატომ წავიდა, იცით? მთვრალი სტუდენტები შეუყარეს ლექციაზე და სტვენა დაუწყეს. ჯავახიშვილმა მიატოვა ლექცია და წავიდა. კვლავ რომ გაეგრძელებინა მოღვაწეობა, უარესს გაუკეთებდნენ, დებოშსა და პროვოკაციას მოუწყობდნენ. ამდენად, უნივერსიტეტში მის მოღვაწეობას აზრი აღარ ჰქონდა. თანაც, თბილისის უნივერსიტეტი ისეთი კონტინგენტით შეივსო, რომ იმ ხალხთან თანამშრომლობა არ სურდა. ეს იყო ის კომკავშირული თაობა, რომელიც უნივერსიტეტში, ასე ვთქვათ, დიპლომის მისაღებად მოვიდა. თანდათან ამცირებდნენ თავადაზნაურთა, სამღვდელოების, ვაჭრების წრიდან აბიტურიენტთა მიღებას, რომლებიც, აქ, მართლაც სასწავლებლად და არა დიპლომისთვის მოდიოდნენ.

ჯავახიშვილმა არ იცოდა, რა იყო პროლეტარიატი, მან იცოდა — ნიჭიერი და უნიჭო

— ივანე ჯავახიშვილისნაირი პიროვნება რეალურად დაშორდა თუ არა იმ პერიოდის საზოგადოებას? სხდომებზე მინიშნებაც გაკეთდა, რომ წარმოშობით თავადისათვის მუშათა კლასი გახდა მიუღებელიო. ახერხებდა თუ არა ივანე ჯავახიშვილი ურთიერთობას პოსტრევოლუციურ საზოგადოებასთან?

— ჯავახიშვილისათვის მიუღებელი იყო ის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური სისტემა და იდეოლოგია, რომელიც საბჭოთა წყობილებამ მოიტანა. მან არ იცოდა, რა იყო პროლეტარიატი. ასეთი ცნებები მისთვის მიუღებელი იყო. ბატონი ივანესათვის არ არსებობდა თავადი, აზნაური, მღვდელი, გლეხი და მუშა. ჯავახიშვილისთვის არსებობდა ნიჭიერი და უნიჭო სტუდენტი. არსებობდა კარგი და ცუდი ლექტორი. ჯავახიშვილს რა კავშირი უნდა ჰქონოდა მუშათა კლასთან ან გლეხებთან? როდესაც უმაღლეს სასწავლებელში კომკავშირლები შემორეკეს, დიდი მეცნიერი მათი მოყვანის წინააღმდეგი კი არ იყო, არამედ ამბობდა: ეს ხალხი ვერ შეძლებს იმ პროგრამის დაძლევას, რაც უნივერსიტეტშია დამტკიცებულიო. ზოგს საშუალო სკოლაც არ ჰქონდა დამთავრებული. ის იცავდა რუსეთის იმპერიის დროს არსებულ განათლების სისტემას, როცა პეტერბურგის უნივერსიტეტში აბიტურიენტებს მხოლოდ გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იღებდნენ. ეს იყო იმის წინაპირობა, რომ საუნივერსიტეტო პროგრამა დაეძლიათ. ივანე ჯავახიშვილი ამ პრინციპს იცავდა. მისი მოთხოვნა იყო, რომ უმაღლესი სასწავლებლის კარი საშუალო განათლების მქონეთ შეეღოთ. მაშინ გამოდიოდა, რომ უნივერსიტეტში მხოლოდ შეძლებული ფენის შვილები მოვიდოდნენ, ანუ, თავადების, აზნაურების, მღვდლების, ვაჭრების შვილები... ეს ხელისუფლებას არ უნდოდა. ხელისუფლების ინტერესებში მუშებისა და გლეხების მოყვანა შედიოდა.

— იყო თუ არა უკომპრომისო ივანე ჯავახიშვილი საბჭოთა წყობილების შეფასებისას?

— საბჭოთა წყობილება ყველა დიდ მეცნიერს — ივანე ჯავახიშვილს, შალვა ნუცუბიძეს, აკაკი შანიძეს, კორნელი კეკელიძეს ტირანიად მიაჩნდათ. ამაზე ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ ხმამაღლა შეფასებას ვერავინ გაბედავდა. თუმცა, შენს შინაგან რწმენას ვერ დამალავ, სადღაც მაინც წამოგცდება... ლექციაზე სტუდენტებთან შეიძლება თავი შეიკავო და არაფერი თქვა, მაგრამ პოზიცია სადღაც ,,გამოგააშკარავებს". უნივერსიტეტში ერთ-ერთი სხდომის დროს სტუდენტმა ივანე ჯავახიშვილი იმის გამო დაიბეზღა, რომ ივანეს ლენინის გარდაცვალების გამო სიხარული შეატყო. ასპირანტი ყალიჩავა სიტყვით გამოვიდა სხდომაზე: „რას წარმოადგენს წერეთელი და ჯავახიშვილი. მე ვიცი ერთ ერთი ფაქტი. როდესაც რუსეთმა, საბჭოთა ხელისუფლებამ დაკარგა ლენინი, მაშინვე ჩვენი გრიგოლ წერეთელი და ჯავახიშვილი მოგროვდნენ და ლაპარაკობდნენ, რომ გავკეთდით ხალხი, ლენინი მოკვტაო. ეს არის კონტრრევოლუციონერი, ის მეთაურობს იმას, ვინც ჩვენს წინააღმდეგ მოდის. დასკვნა ჩემი ასეთი არის, რომ ჯავახიშვილი და წერეთელი არის აშკარა მავნებლები" (სტენი დაცულია).

ყველა ჭკვიან კაცს უნდა გახარებოდა ლენინის, არა როგორც ადამიანის, არამედ როგორც ტირანისა და ამ ქვეყნის დამქცევის სიკვდილი. როდესაც ლენინი გარდაიცვალა, პეტერბურგს უწოდეს ლენინგრადი. მაშინ მიხეილ პოლიევქტოვს სადღაც, შეიძლება სრულიად შემთხვევით წამოსცდა: ეს ქალაქი პეტრე პირველის დაარსებულია და ლენინი რა შუაშიაო. ჩვენი პროფესურა ლექციებზე საბჭოთა წყობილებას ვერ შეებრძოლებოდა, მაგრამ მეგობართა წრეში, ცხადია, ისინი არ მალავდნენ თავიანთ განწყობასა და საბრძოლო სულისკვეთებას.

ივანე ფაქტებს არ მალავდა, ამიტომ იყო ის საშიში პოლიტიკური სისტემისათვის

— ივანე ჯავახიშვილის ისტორიულ წყაროებში თქვენთვის ყველაზე მეტად საინტერესო რა დეტალია?

— როგორც ისტორიკოსისათვის, მე, პირადად, დღესაც მაოცებს ერთი რამ. კაცი შეიძლება ერთ პრობლემას შეეხო და დაამუშაო. მაგრამ ქართველთა ეთნო-გენეზიდან დაწყებული საქართველოს მთელი ისტორია რომ გაიაზრო — ეს მხოლოდ ერთეულებს შეუძლიათ და ეს შეძლო ივანე ჯავახიშვილმა. ეს ადამიანი თითქოს მწვერვალზე იდგა და იქიდან ყველაფერს ერთნაირი სიზუსტით აღიქვამდა. ,,ქართველი ერის ისტორიის" ყველა წიგნი ეს იყო უდიდესი შრომის და აზროვნების შედეგი, მაგრამ მისი შემოქმედება ამით ხომ არ დამთავრებულა? ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, ქართული სამართლის ისტორია, ეკონომიკური ისტორია, ქართული პალეოგრაფია, ისტორიული გეოგრაფია... არ დარჩა საკითხი, მუსიკის ისტორიის ჩათვლით, ივანე ჯავახიშვილს არ გამოეკვლია. შეიძლება ადამიანს ღმერთმა გონი მისცეს, მაგრამ ადამიანის ხორციელი სხეული ბუნების კანონზომიერებას ემორჩილება. რაღაც პერიოდის შემდეგ ადამიანი ვერ უძლებს დიდ გონებრივ და ფიზიკურ დატვირთვას, მიუხედავად იმისა, რომ ტვინი შეიძლება მუშაობდეს. ივანე ჯავახიშვილს ღმერთმა არა მარტო გონება, მორალური და ფიზიკური გამძლეობაც მისცა. მისი პირადი წერილებიდან ჩანს, რომ ის ავად იყო, კუჭ-ნაწლავი აწუხებდა, მხოლოდ გამხმარ პურს ჭამდა, უკვე სისხლის დენაც ჰქონდა დაწყებული, მაგრამ ის მაინც მუშაობდა.

— როგორც ისტორიკოსი, ივანე ჯავახიშვილის მეთოდოლოგიას როგორ შეაფასებდით? მისი მეთოდოლოგია მარქსიზმ-ლენინიზმის მიმდევარმა ქართველმა მეცნიერებმა არაერთგზის დაგმეს იმის გამო, რომ ის მხოლოდ ფაქტებზე დაყრდნობით მუშაობდა და იყო ფაქტოლოგი, თითქოს განზოგადება არ შეეძლო... რატომ ებრძოდნენ მის მეთოდოლოგიას?

— ივანე ჯავახიშვილმა განათლება რუსეთში მიიღო და, პრაქტიკულად, ის იცნობდა ყველა იმ მეთოდოლოგიას, რომელიც მაშინ რუსულ საისტორიო სკოლაში არსებობდა. იგი საზღვარგარეთ გერმანიაში გაეიმგზავრა, რათა იქ შეესწავლა სხვადასხვა საკითხი და, მათ შორის, ევროპული ისტორიოგრაფიის დონე. ასე რომ, ივანე ჯავახიშვილი, როგორც ისტორიკოსი, ორი დიდი ისტორიოგრაფიული სკოლის — რუსულისა და დასავლეთევროპულის გავლენით ჩამოყალიბდა. მას უყენებდნენ ბრალდებას, რომ ის არის ფაქტოლოგი და ვერ განაზოგადებს. ბოლშევიკები იმავე ბრალდებებს ყველა დიდ რუს ისტორიკოსს უყენებდნენ.

რატომ არ უნდოდათ ფაქტოლოგია? ჯავახიშვილი ბრწყინვალედ აზოგადებდა მხოლოდ იმას, რაზეც ფაქტები მეტყველებდა. მას საერთოდ არ აინტერესებდა, ამ საკითხს როგორ უყურებდა მარქსი, ენგელსი, ბერია და სტალინი. მათთვის და ისტორიოგრაფიისათვის იმიტომ იყო ჯავახიშვილი საშიში, რომ არავითარ შემთხვევაში ანგარიშს არ გაუწევდა იმას, რაც ფაქტებიდან არ გამომდინარეობდა.

კომუნისტური ისტორიოგრაფიის პრინციპი კი რა იყო? — რაც ფაქტებიდან გამომდინარეობს, იქიდან უნდა აიღო ის, რაც ეთანხმება მარქსს, ენგელსს, სტალინს, რაც არა — უნდა დამალო. ივანე არ მალავდა. ამიტომ კომუნისტებს ფაქტოლოგები არ უყვარდათ. ფაქტოლოგია არის საწყისი ისტორიული მეცნიერებისა. საბჭოთა ისტორიოგრაფიის ნაკლი სწორედ ის იყო, რომ ისტორიკოსები არქივში მოძიებული 10 დოკუმენტიდან 7-ს ვერ აქვეყნებდნენ, რადგან პოლიტიკურ ხელისუფლებას უნდოდნენ ანგარიშს. ასე დამახინჯდა საბჭოთა ისტორიოგრაფია.

მე მახსოვს, სტუდენტობის და ასპირანტურაში სწავლის დროს ძალიან ბევრ დოკუმენტს ვერ ვაქვეყნებდით. იგივე, ამ სტენოგრამას ვინ გამოგაქვეყნებინებდა, თუნდაც, 80-იანი წლების ბოლომდე? ამ მასალებში ხომ საბჭოთა წყობილების მთელი ფიზიონომია ჩანს? ადრე ხომ საერთოდ ზედმეტი იყო ამაზე საუბარი — ყველაფერი გასაიდუმლოებული გახლდათ.

— რატომ არ გაანადგურეს ეს სტენოგრამები?

— არ იფიქროთ, რომ საბჭოთა წყობილების დროს რაიმე დოკუმენტი ნადგურდებოდა. ეს არის კომუნისტური წყობილების მხილების თვალსაზრისით შექმნილი ჭორი. განადგურებული, პრაქტიკულად, არაფერი არ არის. იყო სხვადასხვა კატეგორიის საიდუმლო არქივები, სადაც ეს დოკუმენტები ინახებოდა. თუ რაიმე დოკუმენტი შემთხვევით დაიკარგა, ეს სხვა საქმეა, მაგრამ არც ის დოკუმენტები ნადგურდებოდა, რომელიც ხელისუფლებას ხელს არ აძლევდა. ყველაფერი დაცულია და თქვენ წარმოიდგინეთ, ჯერ კიდევ არ დამდგარა ზოგიერთი დოკუმენტის გამომზეურების დრო.

შვილები პასუხს არ აგებენ წინაპრების საქციელზე

— წიგნის ბოლო ნაწილში თქვენ, ასე ვთქვათ, ირიბად ისვრით ქვას, როდესაც ჯავახიშვილის მოწინააღმდეგეების შთამომავლობაზე აკეთებთ აქცენტს. თქვენ ამბობთ, რომ ,,შვილები და შვილიშვილები პასუხს არ აგებენ მამამისა და პაპების ნამოქმედარის გამო. მიუხედავად ამისა, ყველას კარგად უნდა გვახსოვდეს, ჩვენს შემდეგ ჩვენი შთამომავლობა მოდის!"

დღეს განათლების სამინისტროში მუშაობენ სიმონ ჯანაშიასა და სანდრო დიდებულიძის შვილიშვილები. რას ამბობს ისტორია მათ წინაპრებზე ივანე ჯავახიშვილთან მიმართებაში?

— ყოველ შემთხვევაში, ნიკო ბერძენიშვილის, სიმონ ჯანაშიას, სიმონ ყაუხჩიშვილის, აკაკი შანიძის, სანდრო დიდებულიძის, შალვა ნუცუბიძის შთამომავლებს ეჭვის საბაბიც არ აქვთ, რომ მათზე საზოგადოებამ ცუდი იფიქროს. მათმა წინაპრებმა ყველაფერი გააკეთეს ჯავახიშვილის სიცოცხლეშიც და მისი სიკვდილის შემდეგაც, რომ დიდი ისტორიკოსის მეცნიერული მემკვიდრეობა გადაერჩინათ, არ ჩამკვდარიყო მისი სკოლის ტრადიციები. სტენოგრამიდან ცნობილი სხვა გამომსვლელების შთამომავლებს კი ნამდვილად აქვთ იმის საფუძველი, რომ დღეს უხერხულობის გრძნობა ჰქონდეთ. ამაში არც ივანე ჯავახიშვილია დამნაშავე და არც ამ წიგნის გამომცემლები. ჩვენ ვხელმძღვანელობდით პრინციპით — რომ შვილი და შვილიშვილი მამის და ბაბუის ნამოქმედარზე პასუხს არ აგებს, მაგრამ მამა და ბაბუა კი აგებენ შვილებზე პასუხს. ეს ისეთმა დიქტატორმაც კი აღიარა, როგორიც სტალინი იყო და გარკვეული პერიოდის შემდეგ თქვა: შვილებს ნუღა მოსთხოვთ პასუხსო. (ერთი პერიოდი კი შვილებსაც იჭერდნენ).

ისინი, ვინც ჯავახიშვილს ებრძოდნენ, ნამდვილი მეცნიერები არც ყოფილან. ჯავახიშვილი ყველაზე ავტორიტეტული იყო. ის იყო ხელმძღვანელი. **ნებისმიერი დიდი მეცნიერის მორალურ განადგურებას იმხელა ეფექტი არ ექნებოდა, როგორიც უნივერსიტეტის დამაარსებლის გატეხვას.** მისი დამხობით, თავისთავად დამხობილი იყო ნუცუბიძეც, შანიძეც, კეკელიძეც, დიმიტრი უზნაძეც და სხვები...

— მართალია ივანე ჯავახიშვილი დახვრეტას გადაურჩა, მაგრამ ცხოვრების ცუდი პირობები ჰქონდა...

— ეს უკვე ადგილობრივი ხელისუფლების დამსახურება იყო. 1924 წელს ის დაკავეს, უფრო სწორედ, თვითონ მივიდა მილიციაში იმის გამო, რომ მასთან სახლში ცხოვრობდა 1924 წლის აჯანყებაში გარეული მისი ნათესავი. მაგრამ სახლში მალე გაუშვეს. ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად და მეცნიერებათა აკადემიაში სტალინის ნებით აირჩიეს. ჯავახიშვილი წამებით არ მომკვდარა.

— ვინ გამოეხმაურა თქვენს წიგნს და ვის რა რეაქცია ჰქონდა?

— მე ცოტა სკეპტიკურად ვარ განწყობილი. ეს წიგნი დიდი მოცულობის გამოვიდა და, ალბათ, ამანაც იმოქმედა, რომ ის ცოტას აქვს წაკითხული. მე ვერც გავბედავდი, ჯავახიშვილის, როგორც ისტორიკოსის შეფასებას. მაგრამ რაც მოხდა უნივერსიტეტში იმ დროს, ეს ჩვენი ისტორიის სამარცხვინო ნაწილია და ის საზოგადოებისთვის ცნობილი უნდა გამხდარიყო.

არც ერთ დიდ იმპერიას ივანე ჯავახიშვილისნაირი პიროვნება არც დღეს მოსწონს და მაშინ, მით უფრო... ვფიქრობ, ივანე შემთხვევით გადარჩა.

არის ფასეულობები, რომელიც არც ერთ დიქტატორულ რეჟიმს არ მოსწონს და არიან ადამიანები, რომლებიც ვერ ცხოვრობენ ამ ფასეულობების გარეშე. სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება ივანე ჯავასიშვილიც.

18 ნოემბერს უნივერსიტეტში ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალების დღე აღინიშნა

18 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დიდი ქართველი მეცნიერის, პირველი ქართული უნივერსიტეტის დამაარსებლის ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალების დღე აღნიშნა.

თსუ-ს დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესიის მოძღვარმა მამა კახაბერმა უნივერსიტეტის ეზოში ივანე

ჯავახიშვილის საფლავთან სულის მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადა. მეცნიერის ხსოვნას პატივი მიაგეს მისმა შთამომავლებმა და ნათესავებმა, თსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა.

პანაშვიდის შემდეგ თსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი გიორგი ხუბუა ივანე ჯავახიშვილის შთამომავლებს და ნათესავებს შეხვდა. შეხვედრას თსუ-ს აკადემიური საბჭოს, წარმომადგენლობითი საბჭოსა და რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრები ესწრებოდნენ.

„1921 წელს, როცა საქართველოში წითელი არმია შემოვიდა, ივანე ჯავახიშვილი სტუდენტებს მოუწოდებდა, დაეტოვებინათ ლექციები და წასულიყვნენ ფრონტის ხაზზე. დღეს ეს ფრონტის ხაზი უნივერსიტეტშიც გადის. შესაძლოა, ვიღაცას კიდევ აქვს ნოსტალგია საბჭოთა წარსულისადმი და იმედიც, რომ აქ ის დრო დაბრუნდება, მაგრამ უნივერსიტეტი დაუბრუნდება ევროპის საგანმანათლებლო ორბიტას. სწორედ ეს იყო უნივერსიტეტის დამფუძნებლების გეგმა. დარწმუნებული ვარ, ივანე ჯავახიშვილს არასოდეს ჰქონია თვითკმაყოფილების გრძნობა და მუდამ ფიქრობდა უნივერსიტეტის წინსვლაზე. ჩვენც ამ ტრადიციების ერთგული ვართ და თამამად აღვნიშნავთ, რომ უნივერსიტეტს შეუძლია მიიღოს დროის გამოწვევა, ფეხი აუწყოს თანამედროვე მოთხოვნებს. დღეს აქ სასწავლებლად ახალგაზრდების საუკეთესო ნაწილი მოდის, რომელიც მთელ თავის სამომავლო იმედებს უნივერსიტეტს უკავშირებს. ჩვენ უფლება არა გვაქვს, სტუდენტებს იმედები გავუცრუოთ“, — ამ სიტყვებით მიმართა გიორგი ხუბუამ შეხვედრის მონაწილეებს.

რექტორის მრჩეველთა საბჭოს მხცოვანმა მეცნიერებმა: მზექალა შანიძემ, მარიკა ლორთქიფანიძემ, ოთარ ჯაფარიძემ და ჯუმბერ ჭუმბურიძემ ივანე ჯავახიშვილის ცხოვრების საინტერესო ეპიზოდები გაიხსენეს. ხოლო ივანე ჯავახიშვილის სიძემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, თსუ-ს რექტორის მრჩეველთა საბჭოს მოადგილემ, ალექსანდრე ბურკიტაშვილმა, 1988-89 წლებში როგორ ეწინააღმდეგებოდა კომუნისტური ხელისუფლება და თსუ-ს პროფესორთა ნაწილი იდეას, პირველი ქართული უნივერსიტეტი ივანე ჯავახიშვილის სახელობისა ყოფილიყო.

თამაზ გამყრელიძის თქმით, კარგია, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ კიდევ ერთ მნიშვნელოვან ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი — უნივერსიტეტმა ყოველწლიურად აღნიშნოს ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალების დღე.

ივანე ჯავახიშვილის შვილიშვილმა, თარხუჯ ჯავახიშვილმა გულისტკივილით აღნიშნა: „იმედია, დღევანდელი დღე მცირე როლს მაინც შეასრულებს იმ უაზრო და სულელური ჭორების გაქარწყლებაში, რასაც უნივერსიტეტის წინააღმდეგ ავრცელებენ, თითქოს პირველი და მეორე კორპუსები იყიდება და ივანე ჯავახიშვილის ცხედარი საფლავიდან უნდა ამოთხარონ. იქნებ ამ დღის შემდეგ ყველა დარწმუნდეს, რომ უნივერსიტეტის კაზინოდ გადაკეთებას და მისი დამფუძნებლების საფლავებიდან ამოღებას არავინ აპირებს“.

შეხვედრის მონაწილეები დაეთანხმნენ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, პროფესორ გიორგი ხუბუას და პროფესორ მზექალა შანიძის აზრს, რომ სრულიად ბუნებრივია, თუკი დღეს, მნიშვნელოვანი რეფორმების ეტაპზე, უნივერსიტეტში იქნება აზრთა სხვადასხვაობა და ცხარე დისკუსია. მთავარია, საუნივერსიტეტო საზოგადოებამ არ დაკარგოს საერთოეროვნული მიზანი — უნივერსიტეტი იყოს ისეთი, როგორიც მის დამფუძნებელს, ივანე ჯავახიშვილს ჰქონდა წარმოდგენილი.

თსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

გარეთ აფლასი, შიგნით – ათასი

ფიზიკოსები „ნაწილაკების რევოლუციას“ ამზადებენ

მაია ტორაძე

თუ გამოიცნობთ, რა შეიძლება იყოს „უცნაური“, „მომხიბლავი“ და „მშვენიერი“? მკითხველთა დიდი ნაწილი, ალბათ, გონების თვალს ქალბატონებს მიაპყრობს და ლოგიკურადაც, მაგრამ ამ შემთხვევაში მის განცვიფრებას შევძლებთ, რადგან ვეტყვით, რომ ასე ჰქვია დღეისათვის ცნობილი ელემენტარული ნაწილაკების – კვარკების სახეობებს, რომლებისგანაც აგებულია ყველაფერი ჩვენს გარშემო, ატომებიდან დაწყებული და გალაქტიკებით დამთავრებული. სწორედ მათი ბუნების და სამყაროში მოქმედი ძალების კვლევა გახლავთ ნაწილაკების ფიზიკის მიზანი, რომლის მიღწევის შემდეგ დაზუსტდება ჩვენი წარმოდგენები ბუნებაში არსებული უმარტივესი წარმონაქმნების, სამყაროს წარმოშობისა და განვითარების, მისი აღნაგობის შესახებ.

1964 წელს ორმა ამერიკელმა ფიზიკოსმა მიურეი გელმანმა და ჯორჯ ცვეიგმა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გამოთქვეს იდეა, რომ პროტონები, ნეიტრონები და იმ დროისათვის აღმოჩენილი ახალი ნაწილაკები – მეზონები შედგებიან რამდენიმე ტიპის უფრო მცირე ობიექტისაგან (ნაწილაკებისაგან). გელმანმა მათ კვარკები უწოდა, რომელთა არსებობა დაადასტურეს 30 წლის განმავლობაში ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა.

ნაწილაკები ძალიან მცირე ზომის არიან, ამიტომ მათი თვისებების შესასწავლად მეცნიერებს სჭირდებათ ამაჩქარებლები – სპეციალური ინსტრუმენტები ანუ უზარმაზარი მანქანები, რომელთაც შეუძლიათ ნაწილაკების აჩქარება ძალიან მაღალ ენერგიებამდე, სადაც ხდება მათი თვისებების დადგენა.

ევროპის ბირთვული კვლევების ცენტრში (CERN -ცერნი, ქ. ჟენევა, შვეიცარია) ამჟამად მიმდინარეობს დიდი ადრონული ამაჩქარებლის (კოლაიდერის - LHC) მშენებლობა. კაცობრიობის ისტორიაში იგი ყველაზე მძლავრი ამაჩქარებელი იქნება, რომელშიც მოხდება ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით მოძრავი პროტონების ორი ნაკადის აჩქარება 7 TeV ენერგიებამდე (სხვათა შორის, CERN-ში შეიქმნა ინტერნეტიც – World Wide Web (WWW) – „მსოფლიო ობობის ქსელი”, რომლის გარეშეც დღეს წარმოუდგენელია ნებისმიერ სფეროში საქმიანობა. თავდაპირველად კი მისი დანიშნულება იყო სხვადასხვა უნივერსიტეტსა და ინსტიტუტში მომუშავე ფიზიკოსებს შორის ინფორმაციის გაცვლის დაჩქარება).

კოლაიდერის ამაჩქარებელი რგოლის პარამეტრებია: რადიუსი 4.3 კმ, სიგრძე 27 კმ და მდებარეობს ორი ქვეყნის, შვეიცარიის და საფრანგეთის ტერიტორიაზე. მისი საშუალებით ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკაში ახალი ეტაპი დაიწყება. ამ ამაჩქარებელს გაცილებით უფრო მაღალი ურთიერთქმედების ენერგია და ნათება ექნება სხვა არსებულ მოქმედ ამაჩქარებლებთან შედარებით.

ქართველი ფიზიკოსები 1994 წლიდან მონაწილეობენ ექსპერიმენტ ATLAS-ში. ის არის ერთ-ერთი იმ 5 ძირითადი პროექტიდან (ALICE, ATLAS, CMS, LHCB, TOTEMM), რომელთა განხორციელებაც დაგეგმილია დიდ ადრონულ კოლაიდერზე. ATLAS-ი ფიზიკის დარგში არის ერთ-ერთი უდიდესი დღემდე არსებულ თანამშრომლობათა შორის. მასში მონაწილეობს 1800 ფიზიკოსი 34 ქვეყნის 150-ზე მეტი უნივერსიტეტიდან და ლაბორატორიიდან.

მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოება დიდი ინტერესით და გულისყურით ელოდება ექსპერიმენტის დაწყებას, რადგან ამ ექსპერიმენტის ფარგლებში, 21-ე საუკუნის პირველ მეოთხედში მნიშვნელოვანი აღმოჩენებია მოსალოდნელი. ექსპერიმენტის მნიშვნელობა უტოლდება კოსმოსურ კვლევებს.

ATLAS-ის დანადგარის აწყობა მის მუდმივ სამყოფელში – 100 მეტრის სიღრმეზე მდებარე შახტში მიმდინარეობს. დეტექტორის სიგრძე 42 მეტრია, რადიუსი 11 მეტრი და დაახლოებით 7000 ტონას იწონის. დანადგარ ATLAS -ის გაშვების ოფიციალურ თარიღად დადგენილია 2008 წლის დასასრული.

ATLAS -ის ექსპერიმენტში თანამშრომლობის (კოლაბორაციის) წევრის სტატუსით მონაწილეობს ქართული ჯგუფი თბილისიდან. ჯგუფი აერთიანებს ორ ინსტიტუტს – ე. ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტს (მონაწილეები – ლ. ჩიქოვანი, ა. ღონღაძე, ი. მანჯავიძე, ნ. შუბითიძე, ე. ცხადაძე, ვ. წულაია) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის და ინფორმატიზაციის ინსტიტუტს (მონაწილეები – გ. არაბიძე, ნ. გრიგალაშვილი, ი. მინაშვილი, მ. მოსიძე, ზ. სალუქვაძე, გ. ხორიაული, ჯ. ხუბუა, გ. ღლონტი, თ. ჯობავა). ჯგუფს 1994 წლიდან დღემდე ხელმძღვანელობს პროფესორი ჯემალ ხუბუა, რომელიც პარალელურად არის საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელის მოადგილე ქ. დუბნის (მოსკოვის ოლქი) ბირთვული კვლევების გაერთიანებულ ინსტიტუტში. იგი ამჟამად იმყოფება ხანგრძლივ მივლინებაში ქ. დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებულ ინსტიტუტში ბირთვული პრობლემების ლაბორატორიაში და არის ამ ლაბორატორიის მრავალ-ნაწილაკოვანი ადრონული პროცესების სამეცნიერო-ექსპერიმენტული განყოფილების უფროსი.

ამ განყოფილებაში პროფესორ ჯემალ ხუბუას ხელმძღვანელობით და ქართველი ფიზიკოსების მონაწილეობით (ი. მინაშვილი, ზ. სალუქვაძე, გ. არაბიძე, გ. ყორიაული) შეიქმნა დანადგარ ATLAS -ის ადრონული ტაილ კალორიმეტრის ცენტრალური ნაწილი (კასრი), რომლის სიგრძე 6 მეტრია, წონა 1350 ტონა, შიგა რადიუსია 2.28 მ. და გარე რადიუსი 4.25 მ. კასრის აწყობა წარმოადგენს უნიკალურ პროცესს მაღალი ენერგიების ფიზიკის პრაქტიკაში.

10 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო სემინარი (ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი რამაზ ბოჭორიშვილი). ამ სემინარზე პროფესორმა ჯემალ ხუბუამ წაიკითხა მოხსენება ადრონული კოლაიდერის მშენებლობის, ATLAS -ის ექსპერიმენტში გაერთიანებული ქართული ჯგუფის მონაწილეობისა და შეტანილი წვლილის შესახებ.

ჯემალ ხუბუა: ფუნდამენტური მეცნიერების მიღწევები განსაზღვრავს თანამედროვე ცივილიზაციის დონეს. ისეთ დარგებს, როგორიცაა ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკა, ბირთვული ფიზიკის სხვადასხვა სფერო, ასტრონომია და კოსმოლოგია, კოლოსალური მნიშვნელობა გააჩნია ბუნების შემეცნებაში. ცნობილმა ამე-

პროფესორი ჯემალ ხუბუა

რიკელმა ფიზიკოს-თეორეტიკოსმა რიჩარდ ფეინმანმა ერთხელ თქვა, რომ მაქსველის განტოლებებს კაცობრიობის ისტორიისთვის უფრო მეტი მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე საფრანგეთის რევოლუციას. თუ დააკვირდებით, მართლაც, ამ განტოლებების გარეშე არ იქნებოდა არც ელექტრონიკა და არც ცივილიზაცია, ანუ არც დღევანდელი კომფორტი და ცხოვრების პირობები.

ფუნდამენტური კვლევები გავლენას ახდენს მეცნიერების მომიჯნავე სფეროებსა და ტექნიკაზეც. მაგალითად, პირველი ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანები შეიქმნა იმისათვის, რომ ბირთვული ფიზიკის დარგში ჩატარებულიყო ურთულესი გამოთვლები. ბირთვული ფიზიკის პრინციპები საფუძვლად უდევს დაავადებათა რადიოიზოტოპურ დიაგნოსტიკას, მაღალი ენერგიების ფიზიკაში გამოყენებულ პრინციპებზეა შექმნილი რენტგენოდიაგნოსტიკის მეთოდები და ტომოგრაფია. პროტონებისა და მსუბუქი ბირთვების, იაფი და კომპაქტური ამაჩქარებლების შექმნას შეუძლია გადატრიალება მოახდინოს ონკოლოგიური დაავადებების თერაპიაში და ა.შ. ეს სია უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს.

ამიტომ, მიმაჩნია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ფუნდამენტურ მეცნიერებებს მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს. ამ სფეროში კვლევების დონე განსაზღვრავს სახელმწიფოს ინტელექტუალურ კლიმატს.

მე მიხარია, რომ საქართველო დუბნის JINR-ის დამფუძნებელ 18 ქვეყანასა და CERN-ის ATLAS კოლაბორაციის მონაწილე 34 ქვეყანას შორისაა. ეს მიუთითებს ქართველი მეცნიერების დიდ პოტენციალზე. ამ ორ საერთაშორისო ცენტრში, სადაც თავმოყრილია თანამედროვე მსოფლიო მეცნიერების მოწინავე იდეები და პროექტები, ქართველ მეცნიერებსაც უჭირავთ გამორჩეული ადგილი და თავიანთი წვლილი შეაქვთ ფუნდამენტური მეცნიერების განვითარებაში.

ATLAS ექსპერიმენტის ფიზიკის პროგრამაში ერთ-ერთ საინტერესო საკითხს წარმოადგენს ტოპ კვარკის ფიზიკა, რომელიც ფერმის ნაციონალურ ლაბორატორიაში (აშშ) 1995 წელს ტოპ კვარკის საბოლოო აღმოჩენის შედეგად წარმოიქმნა.

ტოპ კვარკის დეტალური შესწავლისათვის მრავალი მოტივი არსებობს. სტანდარტული მოდელის ფარგლებში ტოპ კვარკის მასის დიდი სიზუსტით გაზომვა ჰიგსის ბოზონის მასის ქვემოდან შემოსაზღვრის საშუალებას მოგვცემს. ტოპ კვარკი, დიდი მასის გამო, შესაძლებელია წარმოადგენდეს შესაფერის ობიექტს, ელექტროსუსტი სიმეტრიის დარღვევის ბუნების დასადგენად და ფერმიონების მასების გენერაციის შესასწავლად.

ახალი ფიზიკური შედეგების მისაღებად საჭიროა ტოპ კვარკის თვისებების დადგენა და დაბადების ალბათობის დეტალური გაზომვა. ტოპ კვარკის ზოგიერთი თვისება უკვე გამოკვლეულია ამაჩქარებელზე (ტევატრონზე) ფერმის ნაციონალურ ლაბორატორიაში. გაზომვების უმრავლესობა ტოპ კვარკის შემთხვევების მცირე სტატისტიკაზე ჩატარდა. ცნობილია, რომ მშენებარე დიდი ადრონული ამაჩქარებელი შეიძლება განხილულ იქნას როგორც „ტოპ კვარკის ფაბრიკა”, სადაც დღეში წარმოიქმნება დაახლოებით 80 000 ტოპ-ანტიტოპ კვარკული წყვილები.

კინემატიკურად დაშვებულია ნეიტრალური დენებით არომატის ცვლილებით მიმდინარე ტოპ კვარკის მრავალი იშვიათი მოდა. ამ დაშლებისადმი ინტერესი განპირობებულია სულ ცოტა, ორი მიზეზით: 1) სტანდარტული მოდელი წინასწარმეტყველებს იმდენად მცირე დაშლის ალბათობებს, რომ ასეთი, თუნდაც ერთეული შემთხვევების დამზერა დადასტურება იქნება ე.წ. „ახალი ფიზიკისა“ – სტანდარტული მოდელის მიღმა ფიზიკის არსებობისა; 2) დიდი მასის გამო, ტოპ კვარკმა შეიძლება მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს სტანდარტული მოდელის მიღმა ჰიგსის ნაწილაკების ძიებისას.

ნეიტრალური დენებით არომატის ცვლილებით მიმდინარე ტოპ კვარკის იშვიათი დაშლების შესახებ არსებული ექსპერიმენტული მონაცემები ჯერ-ჯერობით მცირეა. ადრონულ ამაჩქარებელზე ამ პროცესების შესწავლა და ექსპერიმენტის დაწყების შემდეგ დაშლების აღმოჩენა დიდი მეცნიერული მიღწევა იქნება.

1995 წელს ქართველმა ფიზიკოსებმა ლეილა ჩიქოვანმა (ე. ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი) და თამარ ჯობავამ (თსუ მეფიი) ATLAS ექსპერიმენტის მგრძნობიარობის (დამზერის შესაძლებლობის) შესწავლა დაიწყეს ნეიტრალური დენებით არომატის ცვლილებით მიმდინარე ტოპ კვარკის იშვიათი დაშლების წყვილური დაბადების შემთხვევებში.

ეს ძალიან შრომატევადი და რთული გამოკვლევა იყო, თანაც განსაკუთრებით ძნელად შესასრულებელი იმდროინდელი ენერგო-კრიზისის პირობებში. ამ სამუშაოების ჩატარება საჭიროებდა დიდ კომპიუტერულ სიმძლავრეებსა და დროს. მეცნიერებმა მუშაობა დაიწყეს ინსტიტუტებში არსებული პერსონალური კომპიუტერების გამოყენებით. 1996 წელს თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკისა და ინფორმატიზაციის ინსტიტუტში მწყობრში ჩადგა სათანამგზავრო კავშირი და ინტერნეტი, რამაც ქართველ ფიზიკოსებს თბილისიდან ინტერნეტის ქსელის საშუალებით ამ იშვიათი პროცესების მოდელირების საშუალება მისცა CERN-ის მძლავრ კომპიუტერებზე.

პირველად ლ. ჩიქოვანმა და თ. ჯობავამ თავისი შეფასებებით აჩვენეს, რომ ამ იშვიათი პროცესების დამზერა ATLAS ექსპერიმენტზე შესაძლებელია, რაც ექსპერიმენტის ამუშავების შემდეგ მიმანიშნებელი იქნება სტანდარტული მოდელის მიღმა „ახალი ფიზიკის“ არსებობისა, რამაც შეიძლება ძირეულად შეცვალოს ჩვენი წარმოდგენები სამყაროს აგებულების შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ ATLAS ექსპერიმენტმა ბიძგი მისცა ახალი ტექნოლოგიების განვითარებას, ამ დანადგარისათვის შეიქმნა უამრავი ახალი მასალა და შენაერთი. დიდი საერთაშორისო კორპორაციები აწარმოებენ დანადგარის აღჭურვას უახლესი, ძალიან სწრაფი ელექტრონიკით. ექსპერიმეტის სამართავად, მიღებული მონაცემების დამუშავებისათვის და ანალიზისათვის საჭირო იქნება ათასობით კომპიუტერი. დადგინდა, რომ მიღებული შედეგების დათვლისთვის 15-25 წლის განმავლობაში საჭირო იქნება გამოთვლითი-ინფორმაციული რესურსები, რომელიც არ გააჩნია არცერთ სამეცნიერო ცენტრს მსოფლიოში. დიდ ადრონულ ამაჩქარებელზე დარეგისტრირებულ ერთ შემთხვევას შეესაბამება დაახლოებით

ქართველი ფიზიკოსები კოლაიდერის გვირაბში (მარცხნიდან) ნუკრი გრიგალაშვილი, ედიშერ ცხადაძე, მაია მოსიძე, ლეილა ჩიქოვანი და თამარ ჯობავა.

100 მეგაბაიტი მეხსიერება, ხოლო თუ გავითვალისწინებთ მონაცემების მიღების სიხშირეს – 100-200 შემთხვევა წამში, მაშინ ნათელია, თუ რაოდენ დიდი ინფორმაციის გადამუშავებაა საჭირო. აქედან გამომდინარე, დამტკიცდა LCG (LHC Computing GRID) პროექტი, რომელიც გულისხმობს ექსპერიმენტული მონაცემების ანალიზის, დამუშავებისა და დათვლისთვის GRID ინფრასტრუქტურის შექმნას.

GRID წარმოადგენს ვირტუალურ სუპერკომპიუტერს, რომელშიც გეოგრაფიულად დაშორებული გამომთვლელი მოწყობილობები ერთობლიობაში ქმნიან მძლავრ გამომთვლელ გარემოს, სადაც გაერთიანებული შეიძლება იყოს ნებისმიერი კომპიუტერი.

თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკისა და ინფორმატიზაციის ინსტიტუტს დაგეგმილი აქვს პირველი GRID კლასტერის შექმნა და მისი დაკავშირება ცერნის GRID სისტემასთან. კლასტერი ანუ სეგმენტი ეს არის კომპიუტერული რესურსების გაერთიანება თავისი ფიზიკური და პროგრამული უზრუნველყოფით, რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებულია უფრო მაღალი სიჩქარის ინტერნეტთან. ამ ინფრასტრუქტურის შექმნა სასარგებლო იქნება ქართველი მათემატიკოსებისთვის, პროგრამისტებისთვის, ქიმიკოსებისთვის, ექიმებისთვის, ბიოლოგებისთვის და სხვა მეცნიერებისთვის, რომელთაც დასათვლელი აქვთ ისეთი ტიპის დიდი ამოცანები, რომლებიც მოითხოვენ დიდი სიმძლავრის გამოთვლით რესურსებს. შესაძლებელი იქნება GRID -ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში. სტუდენტები და დოქტორანტები შეძლებენ სხვადასხვა ამოცანის გადაჭრას.



CERN-ის არეალი

როგორც ვხედავთ განვლილი 10 წლის განმავლობაში ქართველმა ფიზიკოსებმა ბევრი გააკეთეს ATLAS ექსპერიმენტის მომზადების პროცესში სამუშაოების ყველა ფრონტზე, დაწყებული დანადგარის დეტექტორების შექმნით, აწყობით, მონტაჟით და დამთავრებული სხვადასხვა ფიზიკური პროცესების მოდელირებით და შესწავლით. ექსპერიმენტის დაწყებამდე (2008 წლის ბოლო) მათ კვლავ დაძაბული მუშაობის წლები ელით. დანადგარის ამოქმედების შემდეგ ისინი მონაწილეობას მიიღებენ მიღებული ექსპერიმენტული მონაცემების დამუშავებაში.

ქართველი ფიზიკოსების შრომა ATLAS ექსპერიმენტის კოლაბორაციის მიერ ყოველთვის იმსახურებდა ძალიან მაღალ შეფასებას და აღიარებას, რაც მათი თავდაუზოგავი და დიდი შრომის შედეგი იყო. რა თქმა უნდა, აუცილებელია ახალგაზრდა ფიზიკოსების ჩართვა 21-ე საუკუნის ამ ერთ-ერთ უდიდეს და ძალიან მნიშვნელოვან სამეცნიერო პროექტში. საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ფიზიკის და ინფორმატიკის მიმართულებების სტუდენტები, მაგისტრანტები, დოქტორანტები აქტიურად უნდა ჩაერთონ ამ ექსპერიმენტში, რათა ექსპერიმენტის გაშვებისათვის შეიძინონ აუცილებელი ცოდნა, რომ შემდგომ წარმატებით გაგრძელდეს ქართველთა მონაწილეობა ATLAS-ის პროექტში.

სხვათა შორის, ATLAS დეტექტორის შესასვლელ გვირაბში, კედელში ჩამონტაჟებულია კაფსულა, რომელიც 2100 წელს გაიხსნება. მასში მოთავსებულია ლაზერული დისკები, სადაც ჩაწერილია ნიუტონის შრომებიდან დაწყებული, ყველაზე ღირებული ინფორმაცია, რაც კი აქამდე კაცობრიობას დაუგროვებია. ეს არის შეტყობინება მომავალი თაობებისათვის. კაფსულის გახსნის დროისთვის უკვე ცნობილი იქნება, რა ცოდნა შესძინა კაცობრიობას ამ ექსპერიმენტმა.

იმედი ვიქონიოთ, რომ ცერნის დიდი ადრონული კოლაიდერი და მასზე დაგეგმილი ექსპერიმენტები გაამართლებენ მათ მშენებლობაში რამდენიმე ათეული მილიარდი დოლარის ოდენობით გაწეულ დანახარჯს. მსოფლიოს მრავალი ქვეყანა ელოდება ფუნდამენტურ აღმოჩენებს. გვჯერა, რომ გავხდებით ჰიგსის, სუპერსიმეტრიული ნაწილაკების, დამატებითი განზომილებების აღმოჩენის და ტოპ კვარკის იშვიათი დაშლების დამზერის მოწმენი და ამაში ქართული აგურიც იქნება.

ჩინეთის ამბიციური გეგმა – დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკას...

made in china

ანა კირვალიძე

პირველი გვერდიდან

მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ჩინეთი უკვე იწყებს უცხო ბატონობის უღლისაგან თავის დაღწევას. კერძოდ, 1911 წლიდან – მანჯურიელი მეფე-იმპერატორის ბატონობისაგან, ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მაოს მეშვეობით – იმპერიული ძალაუფლებისაგან. მაოს სიკვდილის შემდეგ, 70-იანი წლების დასასრულს დენგ სიაოპინი ქვეყანას დასავლეთისკენ უღებს კარს, რომლის დევიზიც შემდეგნაირად ჟღერს: ,,მნიშვნელობა არა აქვს კატა თეთრია თუ შავი. მანამ ის თაგვებს იჭერს, კარგი კატაა".

დღესდღეობით ჩინელი ფაბრიკის მუშები აწარმოებენ გაცილებით მეტ სამომხმარებლო პროდუქტს, ვიდრე მათი კოლეგები მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. ნებისმიერ პროდუქტზე ხშირად ვნახავთ წარწერას: **,,made in China"**, ისეთი ტრადიციული პროდუქტის ჩათვლით, როგორიცაა ლეგენდარული ამერიკული კედი – ,,Converse All Star". თუმცა დიდი ხანია უკვე, რაც ჩინელები მხოლოდ ფეხსაცმელს, ტანსაცმელს ან კიდევ პლასტიკურ სათამაშოებს აღარ ამზადებენ. კოლოსალური რაოდენობით მარაგდება მსოფლიო ბაზარი ჩინეთში დამზადებული ციფრული კამერებით, მობილური ტელეფონებით, კონდიციონერებით, ტელევიზორებით და ა.შ. მსოფლიო ბრუნვის 10%-ზე მეტი, მაღალი ტექნოლოგიების სექტორში, დღეს სწორედ ჩინეთში მზადდება. მსოფლიოში წარმოებული DVD-პლეერების 80% ჩინეთშია შექმნილი. მთელი დასავლური სამყაროს შოკირება მოახდინა ჩინეთის ფარგლებს გარეთ მანამდე სრულიად უცნობმა კომპიუტერების მწარმოებელმა Lenovo-მ, როდესაც გასულ წელს IBM-ისაგან იყიდა პერსონალური კომპიუტერების წარმოების უფლება და კომპიუტერების მწარმოებელთა სიაში მესამე ადგილი დაიკავა.

ამ დიდი აღმავლობისაგან სარგებელს პირველ რიგში ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილი იღებს: დედაქალაქი პეკინი, სანაპირო ქალაქები და მეგა-ქალაქი შანხაი. სურათები ყველგან მსგავსია; სწრაფად მზარდი ქალაქები (Boomtown) თავისი ცათამბჯენებით და ავტომაგისტრალებით. სხვაგვარადაა საქმე ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში – ცენტრალური ჩინეთის აგრარულ მხარეში, სადაც უამრავი ძველი ინდუსტრიული კომბინატი ჟანგდება, და, ასევე, ცენტრალური აზიის უდაბნოებში. აქ ადამიანთა უმრავლესობა ტოვებს თავის მამულებს და დიდ ქალაქებში მიდის სამუშაოდ.

თუმცა მათი გზები სულ უფრო და უფრო მოკლდება. ეკონომიკური საცრება უწყვეტად, ყოველ წელს დაახლოებით 80 კილომეტრით მიიწევს აღმოსავლეთისაკენ. დღეს ახალი ფაბრიკები შენდება არა შანხაიში, არამედ ქვეყნის ნაკლებადგანვითარებულ რეგიონებში, და ეს კეთდება სრულიად მიზანმიმართულად. „მეწარმეები მოლაპარაკებების გამართვას სრულიად სხვაგვარად შეძლებენ ღარიბ ქალაქებთან, ვიდრე აღმოსავლეთის განვითარებულ რეგიონებთან, რომლებიც შედარებით უკვე მაძღარნი არიან", – აღნიშნავს მალტე ბარტი, ჩინეთის პარტნიორი ჰამბურგის მეწარმეთა საბჭოში. რადგანაც ახალი ფაბრიკები ნიშნავს ახალ სამუშაო ადგილებს, ხოლო ახალი სამუშაო ადგილები უზრუნველყოფენ უფრო მეტ სიმდიდრეს. ამ ხედვას ჩინეთის მთელი მოსახლეობა იზიარებს, – აღნიშნავენ ექსპერტები.

ეკონომიკურ საოცრებას, რასაკვირველია, არა აქვს საქმე განსაკუთრებულ ჩინურ მენტალიტეტთან ან კონფუციანიზმთან. ,,უფრო მეტიც, კონფუციანიზმი უარყოფს მოგებასა და ვაჭრობას" – აღნიშნავს ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის თანამედროვე სინოლოგიის პროფესორი ბარბარა მითლერი. ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის სინოლოგი აქ სხვა მოტივებს ხედავს: ,,ჩინელებს სურთ, დაძლიონ თავიანთი ჩამორჩენილობა, როგორც ეს გვსურდა ჩვენ, გერმანელებს, 50-იან წლებში".

1978 წლიდან ქვეყნის მოსახლეობის საშუალო შემოსავალი მნიშვნელოვნად გაიზარდა, 134 იუანიდან 3255 იუანამდე (დაახლოებით 320 ევრო) 2005 წელს, ხოლო ქალაქის მოსახლეობის საშუალო შემოსავალი 345 იუანიდან 10493 იუანამდე (დაახლოებით 1030 ევრო) გაიზარდა.

ოფიციალური მონაცემებით, თითქმის 65 მილიონი ჩინელი უკვე ითვლება საშუალო შეძლებულ ფენად. ამავე მონაცემებით, მათი ყოველწლიური შემოსავალი შეადგენს 60 000-დან (დაახლოებით 6 000 ევრო) 500 000 იუანს (დაახლოებით 50 000 ევრო). ,,მზარდი კერძო დოვლათით ხორციელდება მიახლოება დასავლურ სამომხმარებლო მდგომარეობასთან", – აღნიშნავს აღმოსავლეთ აზიის კავშირის სავაჭრო ხელმძღვანელი ჰამბურგში მონიკა შთერქი. ქვეყანა დღეს უკვე წარმოადგენს ყველაზე დიდ ბაზარს მრავალი პროდუქტისათვის, შეფასებას იძლევა McKinsey -ის მრჩეველთა სახლი.

რეფორმის ყველაზე დიდ დამსახურებად ექსპერტებს სიღარიბის დაძლევა მიაჩნიათ. მსოფლიო ბანკის სტანდარტებით, სიღარიბის ზღვარი ერთ სულზე დღეში ერთ დოლარზე მეტი შემოსავალია, 80-იანი წლების დასაწყისიდან ყოველი მეორე ჩინელი გაჭირვებას გადაურჩა. ,,ეს არის წარმატება, რომელიც ჯერ არ ახსოვს კაცობრიობის ისტორიას", – აღნიშნავს დეპაკ ბატასალი – მსოფლიო ბანკის პეკინის ბიუროს შეფ-ეკონომისტი. – ,,ეს არის თანამედროვე ჩინეთის უდიდესი ტრიუმფი".

თუმცა მხოლოდ იაფი სამუშაო ძალა, რომელიც კერავს საფეიქრო ნაწარმს ან ფეხსაცმელს, ჯერ კიდევ, არ ქმნის ეკონომიკურ საოცრებას. ის ვინც DVD-პლეერს და მობილურ ტელეფონს ერთად აწყობს, ავტომობილს არემონტებს ან რაკეტებს ქმნის, საკმაოდ კვალიფიცირებული უნდა იყოს თავის სპეციალობაში. ჯერ კიდევ 20 წლის წინ ახალგაზრდა ინჟინრები იძულებულნი იყვნენ განათლება მიეღოთ აშშ-ში ან ევროპაში.

მაოს სიკვდილის შემდეგ, 1976 წელს, სიტუაცია განათლების სფეროში საკმაოდ უიმედო იყო. ინდუსტრიაში დასაქმებულების ზუსტად 2,6 პროცენტს ჰქონდა ინჟინრის თუ ტექნიკოსის დიპლომი. კულტურული რევოლუციის დროს ინტელექტუალებს ასმენდნენ, როგორც ,,მეცხრე კატეგორიის კლასების მტრებს". 90-იანი წლებიდან კი პარტიის კურსი შემდეგნაირად იცვლება: ,,ელიტის ხელშეწყობა ახლებურად აღზრდის ნაცვლად". ამის შემდეგ შრომის ბაზარზე გამოდის სულ უფრო მეტი საუნივერსიტეტო განათლების მქონე ახალგაზრდა, დაახლოებით 1500 უნივერსიტეტიდან და უმაღლესი სასწავლებლიდან.

ამჟამად ჩინეთში მომუშავე მეცნიერები მსოფლიო მწვერვალისათვის იბრძვიან. ჩინური სამეცნიერო პუბლიკაციებისა და ნაშრომების წილი საერთაშორისოდ დადგენილ მეცნიერულ ინდექსში (SCI), 5 წლის განმავლობაში 3,2 პროცენტიდან 5,5 პროცენტამდე გაიზარდა. დღეს ჩინელები აქტიურად თანამშრომლობენ მნიშვნელოვან საერთაშორისო პროექტებში:

ისინი მონაწილეობენ სატელიტური ნავიგაციის სისტემა – გალილეოში, რომელიც ექსპლუატაციაში 2008 წლიდან შევა და რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების სისტემა GPS-ის კონკურენტი გახდება.

ჩინელი მკვლევარები იაპონელ გამომგონებლებთან ერთად მუშაობენ მეოთხე თაობის მოძრავი რადიოკავშირის სტანდარტზე. UMTS-ის მემკვიდრემ მონაცემთა გადაცემის სიჩქარე ერთ წამში 100 მეგაბაიტზე მეტად უნდა გაზარდოს. რაც ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების გადაცემის შესაძლებლობას შეესაბამება.

ჩინელი ბიოტექნიკოსები მონაწილეობდნენ ადამიანისა და ბრინჯის გენების გაშიფვრაზე, რამაც ბრინჯის უფრო უხვმოსავლიანი ჯიშების გამოყვანისათვის გზა მოამზადა.

ბიოტექნიკოსები ჩინეთში მუშაობენ ახალ მიკროსკოპულად პატარა ჩიპებზე, რომლებიც შეძლებენ დაავადებების გამომწვევი მიზეზების, როგორიცაა, მალარითისთვის, H-ჰეპატიტის ვირუსი, გამოვლენას. 2008 წელს პეკინში ოლიმპიური თამაშების დროს დოპინგის მომხმარებელთა მხილება სწორედ ჩინეთში გამოგონებული ბიოჩიპებით უნდა განხორციელდეს.

იმისათვის, რომ დაძლიონ ქვეყანაში ენერგიის პრობლემები, მსოფლიოში მხოლოდ ჩინელი მკვლევარები მუშაობენ მაღალი ტემპერატურის ბირთვულ რეაქტორებზე.

ჩინურმა მეცნიერებამ თავისი ყველაზე სენსაციური წარმატება იზეიმა 2003 წელს, როდესაც კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟმა დედამიწას 14-ჯერ შემოუფრინა. შემდგომი ფრენა კოსმოსური ეკიპაჟით ორი წლის შემდგომ განხორციელდა: 2005 წლის შემოდგომაზე ფეი ხუნლონგმა და ნიე ჰაიშენგმა დედამიწას თითქმის 5 დღეში 75-ჯერ შემოუფრინეს.

პარტია გახარებულია და კვლავაც ზეიმობს. თავმჯდომარე ჰუ ძინტაომ ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიაში ვიზიტისას თავის მიმართვაში აქცენტი გააკეთა ჩინური ხასიათის ინოვაციებით ქვეყნის განვითარებაზე. ამის მაგალითია Enhanced Versatile Disc (EVD), DVD-ის ჩინური ალტერნატივა: მისი შექმნის ინიციატორი 1999 წლიდან სწორედ ხელისუფლება იყო.

იმ დროს, როდესაც დღეს მწარმოებლები დასავლეთში დებატებს მართავენ DVD-ის მემკვიდრე HD-DVD-ზე და Blu-ray-Disc-ზე, ჩინეთს აქაც ისევ და ისევ საკუთარი გზით წასვლა და საკუთარი ფორმატის განვითარება სურს.

დასავლეთისგან დამოუკიდებლობა ჩინეთისთვის არა მხოლოდ ფინანსურადაა ღირებული. ჩინეთის ინტერესს, დამოუკიდებელი კომპიუტერული სისტემა Linux-ზე, სხვა მიზეზები აქვს: Microsoft Windows-ი პროგრამულ კოდს საიდუმლოდ ინახავს, ამავდროულად შპიონაჟის საშიშროება იქმნება, Linux-ის პროგრამული კოდი კი პირიქით, ღიად ხელმისაწვდომია. ეს კი ნიშნავს, რომ პროგრამისტები შეძლებენ Linux-ის დაცვას შემოტევისა და შპიონაჟისაგან. იდეა ჩინეთს, იაპონიასა და სამხრეთ კორეას იმდენად მომხიბვლელი მოეჩვენათ, რომ 2003 წელს გადაწყვიტეს შეექმნათ საკუთარი აზიური Linux-ის ვერსია, სახელად ,,Asianux"-ი. უკვე ერთი წლის შემდეგ გამოვიდა პირველი ვერსია. სულ მალე კი მესამე ვერსია უნდა გამოვიდეს.

ჩინელი მკვლევარები თავის შრომებში ყველაზე მეტად ორიეტირებულნი არიან იმაზე, თუ რა წაიყვანს მათ ქვეყანას წინ, რა გახდის ეკონომიკას უფრო ძლიერსა და პრესტიჟულს: ხალხისთვის სასარგებლოა ის, რაც ეხმარება ეკონომიკას ან რაც პრესტიჟულია – ამის საუკეთესო მაგალითია ჩინეთის აქტიურობა კოსმოსში.

თუმცა არსებობენ მეცნიერები, რომლებიც პირიქით, უფრო პრაქტიკულ კვლევებს ახორციელებენ, მაგალითად „მწვანე" ბიოტექნოლოგიას.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი სასარგებლო მცენარეების მოსავლიანობის ოპტიმიზაციაა, რადგან ,,ერთი შვილის" პოლიტიკა ამჟამად იმდენად მკაცრად აღარ ტარდება, როგორც რამდენიმე წლის წინათ და ჩინეთის მოსახლეობა წელიწადში 8 მილიონი ადამიანით იზრდება.

ჩინელი ბიოტექნიკოსების ერთ-ერთ ძირითადი სფეროა ბრინჯის კვლევები. ამ კვლევების შედეგად ჩინეთში ბრინჯის მოსავლიანობა მარტო ერთი თაობის განმავლობაში თითქმის გაოთხმაგდა; 5,7 მილიარდი ტონიდან, რაც 1950 წელს დაფიქსირდა, 19,47 მილიარდ ტონამდე 2000 წლისათვის. ამისთვის ეროვნული კვლევისა და განვითარების ცენტრის დირექტორმა იუან ლონგპინგმა 2004 წელს მსოფლიო სასურსათო ორგანიზაციის ჯილდო მიიღო. სწორედ გენური მანიპულაციების წყალობით ღებულობს ჩინეთის სოფლის მეურნეობა გაორმაგებულ მოგებას.

თუმცა, სინგაპურისაგან განსხვავებით, სადაც გენური კვლევები – აგრეთვე საკმაოდ დელიკატური კვლევები ადამიანის გენზე, მნიშვნელოვან ეკონომიკურ ფაქტორად ითვლება, ჩინეთი არ წარმოადგენს გენეტიკური საოცრებების ქვეყანას, რომელიც იზიდავს ავანტიურისტებს. ,,ეთიკურად პრობლემატურ საკითხებზე ინტერესი ჩინეთში უფრო დაბალია", განმარტავს ოლე დორინგი, სინოლოგი, რომელიც მუშაობს კვლევით კავშირში – ,,კულტურის მომცველი ბიოეთიკა" და არის ავტორი წიგნისა ,,ჩინეთის ბიოეთიკის გაგება". ,,ჩინეთშიც ინსტრუქცია აწესრიგებს იმას, თუ რა უნდა გაკეთონ ბიოტექნიკოსებმა და რა არა" – აღნიშნავს იგი. მართალია, ნებადართულია ემბრიონალური უჯრედების კლონირება თერაპიული მიზნებისათვის, მაგრამ აკრძალულია ადამიანისა და ცხოველის ნაჯვარის შექმნა (ადამიანი-ცხოველი-ჰიბრიდი), ან გამრავლებისათვის კლონირება.

ოლე დორინგი ჩინეთის მეცნიერულ აქტივობაში ხედავს კიდევ ერთ დიდ სტანდარტულ უპირატესობას: მკვლევარები მუშაობენ ენთუზიაზმით – და ამას ევროპისა ან აშშ-ისაგან განსხვავებით არახელსაყრელ და ძალიან დაბალი ხელფასების პირობებში აკეთებენ. ექსპერტთა აზრით სახელმწიფომაც შეიტანა წვლილი იმაში, რომ შექმნილიყო ასეთი განწყობა. რასაკვირველია, ყველასთვის გასაგებია მიზანი, რომ უფრო მეტი ფულის ინვესტირება განათლებასა და მეცნიერებაში მოხდეს. სწორედ ამიტომ ხარჯები კვლევებზე ბოლო წლებში 20 პროცენტით გაიზარდა. 2005 წელს ხარჯები შეადგენდა 236,7 მილიარდ იუანს (დაახლოებით 24 მილიარდი ევრო), მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 1,3 პროცენტს (შედარებისთვის, გერმანიაში დღეისათვის კვლევებისათვის მთლიანი შიდა პროდუქტის 2,5 პროცენტი იხარჯება).

„Ex oriente lux" – მზე აღმოსავლეთიდან მოდის, – ეს ფრაზა ამართლებს ტრადიციული საწარმო "სიმენსის" შემთხვევაშიც, რომლის ჩინურმა ფილიალმა ახალი ტიპის კომპიუტერული ტომოგრაფი შექმნა, პაციენტის სამგანზომილებიან სურათს რომ ქმნის.

დღეს მსოფლიოში მრავალი ექსპერტი ცდილობს ახსნას ჩინეთის ეკონომიკური საოცრების საიდუმლოება. ზოგიერთი მაგანი მარტივად ცდილობს ამოცანის გადაჭრას, და ჩინურ ხასიათზე მიუთითებს. სინოლოგი ოლე დორინგის აზრით, „ამ ყველაფერს ხელს უწყობს კლიმატი, რომელსაც წინ მიყავს ინოვაციების მთელი კულტურა, ეს კლიმატი კი უაღრესად ჩინურია". ჯერ კიდევ 2500 წლის წინათ, კონფუცმა ჩამოაყალიბა: ,,ისწავლო და ცოდნა ყოველთვის გამოიყენო, ნუთუ ეს არ არის სასიხარულო?"

ამ თვალსაზრისს თანამედროვე ჩინეთიც იზიარებს და შესაბამის სიმაღლეზე აყენებს თავის მიზანს: ერთ დროს წამყვანი მეცნიერების ქვეყანას სურს კვლავ დაიკავოს ის ადგილი, რაც მისი აზრით უდავოდ ერგება: ჩინეთს სურს მოექცეს მწვერვალზე. არსებობს დროში გაწერილი გეგმაც: 2050 წლამდე ჩინეთს სურს გაუსწროს აშშ-ს, – განმარტა ჩინეთის სახალხო კრებამ 2006 წლის გაზაფხულზე.

პუბლიკაცია ეყდნობა ჟურნალ „Bild der Wissensihaft"-ის სტატიებს

ექსპერტის კომენტარი

ნოდარ ხადური,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სრული პროფესორი, მაკროეკონომიკის პროგრამის ხელმძღვანელი

– დღეს მსოფლიოში ყველა საუბრობს ჩინეთის ეკონომიკურ საოცრებაზე, ექსპერტები ცდილობენ თავისებურად ახსნან ამ ეკონომიკური საოცრების მოტივები. თქვენ რაში ხედავთ ამ უნიკალური ზრდის საიდუმლოს?

– დავიწყოთ იმით, რომ ეკონომიკაში სასწაულები არ ხდება. ის, რაც ჩინეთმა უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში შეძლო, ასეულობით მილიონი ჩინელის დაუღალავი შრომით იქნა მიღწეული და არავითარი „ჯადოსნური ჯოხი" თუ სხვა სასწაულმოქმედი ზღაპრული ნივთი ჩინელებს არ გააჩნიათ. ამდენად, ჩემი აზრით, უფრო კორექტულია საუბარი იმ რეალურ ეკო-

მე-10 გვერდზე

ჩინეთის ამბიციური გეგმა – დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკას...

მეცხრე გვერდიდან

ნომიკურ (და არა მხოლოდ ეკონომიკურ) ბერკეტებზე, რომლებსაც ჩინეთი დასახული მიზნის მისაღწევად იყენებდა და დღემდე იყენებს. ცხადია, ჩინეთში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები მსოფლიოს მრავალი მეცნიერის ინტერესის სფეროს განეკუთვნება. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, მათ შორის სრული კონსენსუსი არ მიღწეულა და ამდენად „ჩინური რეცეპტიც" სრულად „გაშიფრული" არ არის, მაგრამ გარკვეული გენერალური ხაზი ნათლად იკვეთება.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩინური ეკონომიკური რეფორმები, რომლებიც გრადუალური, თანდათანობითი გარდაქმნების ქრესტომათიულ მაგალითად გამოდგება, ჩინეთის კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებით დაიწყო და დღემდე ხორციელდება. ჩინეთი სწორედ კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებით იქცა გლობალურ კაპიტალიზმში ყველაზე უფრო სწრაფად ინტეგრირებად ქვეყნად.

ცხადია, ჩამორჩენილი და ნახევრად მოშიმშილე ჩინეთი, მხოლოდ პარტიული ბოსების გადაწყვეტილებით არ გადაქცეულა მსოფლიოში ერთ-ერთ წამყვან ინდუსტრიულ ქვეყანად. თუმცა, როგორც უკვე ვთქვი, ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. პოლიტიკურმა სტაბილურობამ, რაც ჩინურ პოლიტიკურ გარემოს ახასიათებს და პარტიული იდეალებისადმი ერთგულებაში და ერთპარტიულ მმართველობაში გამოიხატება, ეკონომიკის განვითარებისათვის ხელშემშლელი პოლიტიკური ფაქტორების მავნე ზემოქმედება ნულს მიუახლოვა.

ჩინეთმა თავის დროზე კარგად შეუხამა ერთმანეთს მბრძანებლურ-ადმინისტრაციული და საბაზრო ეკონომიკის პრინციპში შეუთავსებელი თვისებები. კერძოდ, ჩინეთის უზარმაზარ ტერიტორიაზე გამოიყო ჩინური მასშტაბებისათვის უმნიშვნელო რაიონები, სადაც თავისუფალი ეკონომიკური ზონები შეიქმნა. ჩინეთში თანდათან მოხდა ეკონომიკის საბაზრო პრინციპებზე გადაყვანა. ამ პროცესში ყველაზე დიდ შემაფერხებელ ფაქტორად დაძაბული სოციალური ფონი გვევლინება. სწორედ ის ფაქტორი, რომ სოციალურ უკმაყოფილებას არ მიეცა „ამოხეთქვის" საშუალება და ჩინეთმა შეინარჩუნა „დიადი კაპიტალიზმის მშენებლობის გზა", სწორედ მმართველი კომუნისტური პარტიის დამსახურებაა.

ჩინეთის ეკონომიკა თითქმის 25 წლის განმავლობაში წელიწადში საშუალოდ 10%-ით იზრდება. მარტივი გეომეტრიული პროგრესი ცხადყოფს, რომ ამ ხნის განმავლობაში ეკონომიკა რეალურ გამოსახულებაში 12-ჯერ მაინც გაიზარდა. იმის გათვალისწინებით, რომ ჩინეთში მსოფლიოს ყოველი მე-5 ადამიანი ცხოვრობს, ეკონომიკის მასშტაბების წარმოდგენა არ უნდა გაგვიჭირდეს.

ჩინეთის მოსახლეობის დაახლოებით 75% სოფლად ცხოვრობს, ეს ფაქტი კი იმაზე მეტყველებს, რომ მნიშვნელოვანი ზრდა ჩინეთის სოფლის მეურნეობაში უნდა ხდებოდეს, თუმცა ეს სფერო სტაგნაციას განიცდის და ჩვენთვის ხელმისაწვდომი სტატისტიკური ინფორმაციიდან ჩანს, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წილი ჩინეთის მთლიან შიდა პროდუქტში დაახლოებით 60%-დან 35%-მდე შემცირდა.

ამ ყველაფრის მიზეზი კი ჩინურ ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ინვესტიციებია. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ვთქვით, ჩინეთში ცხოვრების დონე ძალიან დაბალია, ჩინეთის ხელისუფლების გადაწყვეტილება ურყევია, მთლიანი შიდა პროდუქტის 40%, ნაცვლად იმისა, რომ მოხმარებაზე მიიმართოს, ინვესტირებას ხმარდება.

უიაფესი მუშახელი და პოლიტიკურად სტაბილური გარემო უცხოური ინვესტიციისათვის ძალიან მიმზიდველი აღმოჩნდა. ინვესტორმა იცის, რომ მის მიერ ინვესტირებული არცერთი ცენტი პოლიტიკური რისკის გამო არ დაეკარგება. ამასთან, თუ ამერიკაში, ან ევროპაში დამსაქმებელი საშუალო განთლების მქონე მუშას წელიწადში დაახლოებით 20 ათას დოლარს უხდის, ჩინეთში რეფორმების პირველი ათწლეუ-

ნოდარ ხადური, ექსპერტი

ლების განმავლობაში გაცილებით უფრო კვალიფიცირებული მუშახელი 8-10-ჯერ უფრო იაფი ღირდა. შრომის ფასი ჩინეთში დღესაც საკმოდ დაბალია, რაც, უპირველეს ყოვლისა, შრომის ბაზარზე ჭარბი მიწოდებით აიხსნება. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის მთავრობა მკაცრ დემოგრაფიულ პოლიტიკას ახორციელებს, რათა შრომის ბაზარზე მომავალში მაინც შეზღუდოს შრომის მიწოდება, ჩინეთი იაფი მუშახელით არა მარტო ჩინეთის ბაზარს, არამედ პრაქტიკულად მთელ მსოფლიოს და მათ შორის საქართველოსაც კი „ამარაგებს".

ჩინური რეფორმების წარმატების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად მეცნიერთა ნაწილი „ოკეანისგაღმელ" ჩინელებსაც მიიჩნევს. რომლებიც აშშ-ში მნიშვნელოვან მენეჯერულ პოსტებზე მოღვაწეობდნენ და დაბრუნდნენ ჩინეთში, სადაც საბაზრო ეკონომიკის ანბანის შესწავლა აღარ დაჭირდათ. მენეჯერთა ამ კადრებს არ ჰქონდათ გეგმიურ ეკონომიკაში მუშაობის გამოცდილება, როცა უბრალო ჩინელის „სუნთქვის გრაფიკიც" კი პეკინში, ჩვენებური გოსპლანის მსგავს სტრუქტურაში იყო შედგენილი, მაგრამ კარგად იცოდნენ თავისუფალი ბაზრის კანონები.

და კიდევ ერთი, ჩინეთი გადაურჩა საბჭოთა კავშირში გამეფებულ „გიგანტომანიას", ჩინეთში უფრო მცირე საწარმოები იყო და, ცხადია, მცირე საწარმოს რეფორმირება უფრო ადვილია, ვიდრე გიგანტისა.

მეორე მსოფლიო ომის დროს ჩინეთის თავმჯდომარე მაო ძე დუნი იაპონიასთან ბრძოლის დროს მივიდა ასეთ საინტერესო დასკვნამდე, რომ თუ იაპონია დაიპყრობდა ჩინეთს და თითო ჩინურ სოფელში ერთ იაპონელ ჯარისკაცს მაინც ჩააყენებდა, ჩინური სოფლების ნახევარზე მეტი ოკუპანტი ჯარისკაცის გარეშე დარჩებოდა. ამდენად, მაომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მცირე საწარმოები გაეფანტა მთელი ჩინეთის ტერიტორიაზე და არ მოეხდინა მათი კონცენტრაცია. ამასთან ჩინეთის რეგიონები ე.წ. „თვითკმარი" უნდა ყოფილიყო, ანუ ყველგან უნდა ყოფილიყო საათის, ველოსიპედის, საკვების წარმოება. ჩინეთში ფოლადსაც კი პატარა „ეზოს ღუმელებში" ადნობდნენ. ცხადია, ეს აბსოლუტურად არაეფექტიანი იყო და დანაკარგები უდიდესი იყო, მაგრამ რეფორმირება და მათი პრივატიზება გაცილებით მარტივად განხორციელდა.

ეს ყოველივე, და კიდევ ბევრი ფაქტორი დაედო საფუძვლად იმას, რომ დღეს უკვე აღარ არის საუბარი 2 ან 3-პოლუსიან ეკონომიკაზე (აშშ-ევროპა-იაპონია) და უკვე საკმაო სიფრთხილით იყურებიან პეკინისაკენ.

– როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, კლიმატის შექმნა, რომელიც აბსოლუტურად ჩინური ხასიათისაა და რომელსაც წინ მიყავს ინოვაციების მთელი კულტურა, გარკვეულწილად სახელმწიფოს დამსახურებაცაა. როგორ ფიქრობთ, რამდენად შესაძლებელია ჩვენს ქვეყანაში მსგავსი კლიმატის შექმნა, თუნდაც სახელმწიფოს მხრიდან და შეიძლება თუ არა საქართველოში რეფორმების ე.წ. ,,ჩინური'' გზით განხორციელება?

– კამათი იმაზე, შესაძლებელია თუ არა ჩინური რეფორმების საქართველოში იმპლიმენტაცია, მიმდინარეობს მას შემდეგ, რაც საქართველო ეკონომიკური რეფორმების გზას დაადგა. სხვადასხვა მეცნიერის მოსაზრება მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ცხადია, არიან ადამიანები, რომლებიც მიზანშეწონილად მიიჩნევდნენ გრადუალიზმის ეკონომიკური რეფორმების მთავარ იდეოლოგიად გამოყენებას, და არიან მათი მოწინააღმდეგეებიც. თუ ხმამაღლა ნათქვამი არ გამომივა, ვიტყვი, რომ მე ვერ წარმომიდგენია საქართველოში ჩინური რეფორმების გატარება და შევეცდები მოკლედ დავასაბუთო ეს მოსაზრება.

ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი იმაზე, თუ რა იყო ჩინური რეფორმების წარმატების საფუძველი. რომ არ განვმეორდეთ, მხოლოდ რამდენიმე არგუმენტს მოვიყვან.

პირველი, რეფორმების განხორციელება დაიწყო საქართველომ და არა საბჭოთა კავშირმა. ამასთან, საბჭოთა ეკონომიკის სტრუქტურა მკვეთრად განსხვავდებოდა ჩინური სტრუქტურისაგან. თუ ჩინეთმა აქცენტი „თვითკმარი" რეგიონების შექმნაზე აიღო და მცირე საწარმოების მეშვეობით შექმნა სოციალისტური ჩინური ეკონომიკის ხერხემალი, საბჭოთა კავშირმა აქცენტი გიგანტურ საწარმოებზე აიღო და ამდენად მათი რეფორმირება უფრო რთული იყო. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ სსრკ ტერიტორიულად უფრო დიდი იყო, ვიდრე ჩინეთი „დიადი საბჭოეთი" ეკონომიკური კოოპერაციის ნიმუშად ითვლებოდა, კერძოდ კი, საწარმო თბილისში ვერ შეძლებდა მუშაობას თუ იგი მჭიდროდ არ ითანამშრომლებდა კამჩატკის, ბალტიისპირეთის, შუა აზიის საწარმოებთან. საბჭოთა კავშირის ნგრევამ და შემდგომ საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა (საომარი მოქმედებები, კრიმინალური ბუმი და ა.შ.) საქართველოს ტერიტორიაზე არსებული გიგანტური საწარმოები ჯართის გროვად აქცია.

საქართველოში მშპ-ს დიდი ნაწილი მოხმარებაში მიდიოდა, ცვეთა მკვეთრად აღემატებოდა ინვესტირებას, რამაც კაპიტალაღჭურვის დონე მკვეთრად შეამცირა.

მენეჯერთა ნაკლებობა. პრაქტიკულად რეფორმის პირველ წლებში საწარმოები ძველი დირექტორების ხელში აღმოჩნდნენ, რომელთა უდიდესი ნაწილი ბიზნესს „ჩალიჩთან" აიგივებდა და მოსკოვში ქართული ღვინითა და კონიაკით ნედლეულის და გასაღების ბაზრის შოვნა სისხლში ჰქონდა გამჯდარი.

და ყველაზე მნიშვნელოვანი, არასტაბილური პოლიტიკური გარემო. ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფდა დასახული მიზნების შესრულებას, იმდენად არამყარი და მყიფე იყო. ამასთან მიზნები თანხვედრილი კი არ იყო, არამედ ხშირად რადიკალურადაც კი განსხვავდებოდა.

როგორც პროფესორი ვლადიმერ პაპავა ამბობს, ჩინური რეფორმების მსგავსი რეფორმების განხორციელების „თეორიულად საუკეთესო და პრაქტიკულად ერთადერთი შესაძლებლობა, პოლიტიკური თვალსაზრისით, იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდგომი უახლოესი პერიოდი იყო". სტალინი კი, მოგეხსენებათ, კარგა ხნის გარდაცვლილი იყო, როცა საბჭოთა კავშირში, ხოლო შემდეგ დამოუკიდებელ საქართველოში რეფორმების განხორციელება დაიწყო.

– ჩინური ეკონომიკური საოცრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელი ფაქტორია მეცნიერული კვლევების ორიენტაცია უშუალოდ ქვეყნის განვითარებაზე, ისეთი ტიპის მეცნიერულ კვლევებზე, რაც უფრო ძლიერსა და პრესტიჟულს გახდის ჩინეთის ეკონომიკას, როგორ შეაფასებდით ამ საკითხთან დაკავშირებით მდგომარეობას საქართველოში? არსებობს თუ არა ჩვენთანაც მეცნიერული კვლევების ამგვარი სტანდარტი, და თუ არა, როგორ შეიძლება იქნას იგი დანერგილი?

– მეცნიერება ზოგადად და გამოყენებითი მეცნიერება კონკრეტულად ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ქვაკუთხედია. სამწუხაროდ, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა ამ ეტაპზე არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მეცნიერების ყველა დარგი თანაბრად განვითარდეს. მეცნიერების ის დარგები, რომელთა კვლევები ბიზნესისათვის საინტერესო და მომგებიანია, თავად ბიზნესის მიერ იქნება დაფინანსებული, რაც შეეხება ფუნდამეტურ კვლევებს, ამ ეტაპზე ცხადია მათი დაფინანსება სახელმწიფოს კომპეტენციაა.

– უკანასკნელ წლებში საკმაოდ მომრავლდა საქართველოში ჩინური სავაჭრო ცენტრების რიცხვი, თუ არსებობს ოფიციალური მონაცემი, კონკრეტულად რა პროცენტს შეადგენს ქვეყანაში შემოსული ჩინური პროდუქციის წილი, და რითი შეიძლება იყოს ის მომგებიანი (ან პირიქით) ქვეყნისთვის?

– ჩინეთი არ შედის საქართველოს უმთავრესი სავაჭრო პარტნიორების რიცხვში. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საქართველოდან ექსპორტირებულია დაახლოებით 470 მლნ. აშშ დოლარის პროდუქცია, საიდანაც ჩინეთში ექსპორტირებულია 5,5 მლნ. დოლარის საქონელი, რაც შეეხება იმპორტს, აქ მდგომარეობა ასეთია: საქართველოში შემოტანილია 1,6 მლრდ. დოლარის საქონელი, საიდანაც ჩინეთზე 41 მლნ. აშშ დოლარის საქონელი, ანუ მთელი იმპორტის 2,6% მოდის. ეს მაჩვენებლები არ არის დიდი და როგორც უკვე ვთქვი, ჩინეთი არ შედის ჩვენი მთავარი საგარეო-ეკონომიკური პარტნიორების რიგში. მიუხედავად ამისა, კიდევ ერთხელ ცალსახად უნდა ითქვას, რომ ერთი რამ სრულიად ცალსახაა – თუ ჩვენ გვინდა, ქართული ეკონომიკა კონკურენტული იყოს, ნებისმიერი დამატებითი კონკურენტის გამოჩენა ჩვენი ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ადგილობრივი მწარმოებელი იძულებული იქნება გააუმჯობესოს საკუთარი პროდუქციის ხარისხი, რათა კონკურენტულ ბრძოლაში გადარჩეს. ეს კი პროგრესის აუცილებელი პირობაა.

გზავნილი უცხოეთიდან

ყველაზე ბედნიერები მსოფლიოში

2006 წლის იანვარში ,,World Happiness Survery"-მა კიდევ ერთხელ აცნობა საზოგადოებას, თუ რომელი ერია მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი.

პირველი ადგილი წილად ხვდა ბანგლადეშს.

„ფულს არ მოაქვს ბედნიერება" – დაახლოებით მსგავსი კომენტარები კეთდება ყოველწლიურად ამ გამოკითხვის შედეგების შესახებ. 2003 წელს ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, ყველაზე ბედნიერი ქვეყანა მსოფლიოში ნიგერია იყო. საკმაოდ მაღალ პოზიციებს იკავებდა ინდოეთიც, ხოლო, რაც შეეხება ისეთ მდიდარ ქვეყანას, როგორიცაა შვეიცარია, ყოველთვის ბოლო ადგილზე ხვდებოდა.

შედეგები თავისთავად განსაცვიფრებელია, თუმცა, შესაძლოა, ის სულაც არ შეესაბამება სიმართლეს. ფსიქოლოგებმა შეადგინეს პირველი „ბედნიერების მსოფლიო რუკა", სადაც ყველაზე ბედნიერ ერებს შორის ინდოეთი ასოცდამეხუთე ადგილს იკავებს, შვეიცარია – მეორეს, პირველზე კი დანიაა.

ლესტერის უნივერსიტეტის ფსიქოლოგმა ადრიან ვაითმა გააანალიზა 100 სხვადასხვა კვლევა, რომლებშიც მსოფლიო მასშტაბით ბედნიერებისა და კმაყოფილების შესახებ 80 000 პიროვნების გამოკითხვის შედეგები იყო განხილული (კვლევები ჩატარებული იყო UNESCO-ს, CIA-ისა da WHO-ს მიერ). გამოკითხვებში ფასდებოდა მონაცემები ჯანმრთელობის, კეთილდღეობისა და განათლების შესაძლებლობების შესახებ.

შედეგი ნაკლებად განსაცვიფრებელი აღმოჩნდა: ყველაზე ბედნიერად ის ადამიანები თვლიან თავს, რომლებიც ჯანმრთელნი არიან, რასაც მოსდევს კეთილდღეობა და განათლება.

დღემდე მიიჩნევდნენ, რომ აზიურ ქვეყნებში განსაკუთრებით ბედნიერი ადამიანები ცხოვრობენ, რადგან მათი კულტურა კოლექტიურ იდენტობაზეა აგებული. თუმცა სწორედ ეს ქვეყნები იკავებენ ფსიქოლოგების მიერ ჩატარებულ ამ კვლევაში შედარებით უფრო დაბალ ადგილებს. მაგალითისთვის: ჩინეთი იკავებს 82-ე ადგილს და იაპონია 90-ე ადგილს.

ისეთი კატეგორიების გვერდით, როგორებიცაა: ჯანმრთელობა, კეთილდღეობა და განათლება, ღირებულია აგრეთვე პატარა, მცირედ დასახლებულ ქვეყანაში ცხოვრება.

აშკარაა, რომ კაპიტალიზმი და ინდივიდუალიზმი სულაც არ არის მავნე ჩვენი კეთილდღეობისათვის.

მსოფლიოს 20 ყველაზე ბედნიერი ერი:

1. დანია
2. შვეიცარია
3. ავსტრია
4. ისლანდია
5. ბაჰამა
6. ფინეთი
7. შვედეთი
8. ბუტანი
9. ბრუნეი
10. კანადა
11. ირლანდია
12. ლუქსემბურგი
13. კოსტა რიკა
14. მალტა
15. ნიდერლანდები
16. ანტიგუა და ბარბუდა
17. მალაზია
18. ახალი ზელანდია
19. ნორვეგია
20. სეიშელი...

სხვა ქვეყნები:

23. აშშ
35. გერმანია
41. უკრაინა
62. საფრანგეთი
82. ჩინეთი
90. იაპონია
125. ინდოეთი
167. რუსეთი

გოლო სამი ბედნიერი ქვეყანა:

176. კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა
177. ზიმბამბვე
178. ბურუნდი

გალაკტიონოლოგია ფრთებს შლის

გალაკტიონის დაბადების 115 წლისთავს თსუ-ში სამეცნიერო სესია მიეძღვნა

შურთხია გეროშვილი

შთამომავლობას თვითონ შეუდგინა პროექტი, რომელსაც შეფარული ირონიით თუ სერიოზულობით „გალაკტიონოლოგია“ უწოდა. პოეტის თითქმის ყველა წინასწარმეტყველება ახდა: დღეს ქუჩასაც ჰქვია მისი სახელი და ძეგლიც დავუდგით, წიგნებიც დაიწერა და მისი ტომებიც გამოიცა და როგორც გალაკტიონის დაბადების 115 წლისთავისადმი მიძღვნილ სემინარზე აღნიშნეს, „გალაკტიონოლოგია ფრთებს შლის...”

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ სტუდენტებით სავსე დარბაზს პოეტის შემოქმედებაზე საკუთარი მოსაზრება გაუზიარა. მისი თქმით, გალაკტიონის პოეტური მემკვიდრეობა ყველას თანაბრად ეკუთვნის, რადგან ყოველი თაობა თავისებურად ითვისებს ,,პოეტთა მეფის” უკიდეგანო ლირიკას. „ხშირად აღნიშნავენ და ეს პრეტენზიები უნივერსიტეტის მისამართითაც გაისმის, რომ შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი — ზოგადად ქართველი მწერლების შემოქმედება და მოღვაწეობა დღეს სათანადოდ აღარ ისწავლება. ამ მხრივ, შესაძლოა, იყოს პრობლემები, მაგრამ მე ვერ წარმომიდგენია ქართელი კაცი, რომელსაც რომც არ ასწავლო, მან თვითონ არ მოიძიოს გალაკტიონის ლექსები. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ გალაკტიონის შემდგომ თაობებში ასრულდა ის, რასაც პოეტი ნატრობდა სიცოცხლეში — ყოფილიყო სალიტერატურო პროცესის წარმმართველი. „რა საჭიროა სიტყვები, მჯერა!“ — ურთიერთობის ეს უმაღლესი ფორმა, რაც ადამიანებს ერთმანეთთან უნდა აკავშირებდეთ, დასამკვიდრებელია ჩვენში“.

აკადემიკოსმა რისმარგ გორდეზიანმა მოხსენებაში — „გალაკტიონი და ანტიკურობა” კვლევის საინტერესო დეტალებზე შეაჩერა ყურადღება. „გალაკტიონის ლექსებში აისახა საქართველო — თავისი ისტორიით, გეოგ-

რაფიით, კულტურით, მაგრამ საინტერესოა ის ფაქტი, რომ მის პოეზიაში არანაკლები სისრულით აისახა მსოფლიო კულტურა. გალაკტიონი ითვისებს ანტიკურ პოეზიას და, ფაქტობრივად, თავისი შემოქმედების ფონდად აქცევს მას. ამით იგი ხდება არა მარტო ეროვნული, არამედ მსოფლიო პოეტი.”

ცნობილია, რომ ,,მსოფლიო პოეტი” აკაკის და ილიას მემკვიდრედ თვლიდა თავს. პროფესორმა ლადო მინაშვილმა სამეცნიერო სესიაზე ვრცლად მიმოიხილა გალაკტიონის დამოკიდებულება მეცხრამეტე საუკუნის მწერლობასთან. მისი აზრით, გალაკტიონმა აღადგინა წინაპართა საფლავების პატივის მიგების ტრადიცია. „მთაწმინდის მთვარე“ მისი საპროგრამო ლექსია, რომელიც კონკრეტულად ასახავს მის დამოკიდებულებას კულტურული მემკვიდრეობისადმი. მას სულიერი ნათესაობა აკავშირებდა ბარათაშვილთან. გალაკტიონი აფასებდა ილიას და მის განუზომელ მისიას — „წიწამურში რომ მოკლეს ილია, მაშინ ეპოქა დამთავრდა დიდი.” — წერდა ის. გალაკტიონს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა აკაკისადმი. ცნობილია, რომ იგი იმთავითვე ბაძავდა მგოსანს.

თამარ ბლიაძე აღნიშნა, რომ საქართველოში გალაკტიონოლოგიის ოთხი ცენტრი არსებობს: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გალაკტიონის სემინარი, ლიტერატურის ინსტიტუტის გალაკტიონოლოგიის მეცნიერული უჯრედი, ჟურნალ ,,ჩვენი მწერლობის” ლიტერატურული სალონი და ქუთაისის უნივერსიტეტის გალაკტიონის შემსწავლელი ჯგუფი. მისი თქმით, გენიოსის პოეზია ამოუწურავი სალაროა და, თავის მხრივ, საზოგადოებას შესთავაზა „ლურჯა ცხენების” ახლებური წაკითხვა და სცადა ამ ურთულესი ლექსის სიმბოლურ ლაბირინთში შეღწევა. ,,იქნებ ჩამავალი მზით ნაფერი” სამუდამო მხარე სრულიადაც არ არის რაღაც მისტიკური, მიღმიერი სამყარო და არც მკვდართა საუფლოა, არამედ ოდენ ის რეალობა, ანუ, ლირიკოსის თვალით დანახული ეპოქისმიერი სინამდვილეა, პოეტის ოცნების ხორცშესხმის გზაზე გადაულახავ ბარიერად რომ ქცეულა?” — თუ მკითხველი ჩათვლის, რომ ამ ჰიპოთეზასაც აქვს მეცნიერული არსებობის უფლება, ჩემს მიზანს მიღწეულად ჩავთვლი“, — განაცხადა ქალბატონმა თამარმა.

პროფესორმა ზურაბ ჭუმბურიძემ ის დრო გაიხსენა, როდესაც მეგობრებთან ერთად, მაშინდელი უნივერსიტეტის ლიტერატურის წრის წევრებმა პოეტი პოეზიის საღამოზე დაპატიჟეს. „როდესაც დარბაზში შემოვიდა, ახალგაზრდებმა წინ ყვავილები გაუფინეს, ვძღეროდით „მრავალჟამიერს,” ამაღელვებელი წუთები იყო, თვითონაც კმაყოფილი დარჩა“.

პროფესორმა რეზო მიშველაძემ აღნიშნა, რომ გალაკტიონის პოეზიის გრძნეულება კვლავ შეუსწავლელია და მის პოეზიაში მუსიკა პირდაპირი მნიშვნელობით შეგვიძლია გავიგოთ. მან ახალგაზრდებს ჩვეული არტისტულობით წაუკითხა ,,ლურჯა ცხენები,'' ,,სარკოფაგიდან დგება მუმია'' და თავადვე გაოცებულმა იკითხა: ხედავთ, სიტყვები როგორ უჯერებენ გალაკტიონს?..

ფრიად საგულისხმო იყო დამსწრე საზოგადოებისათვის იმის გაგება, რომ ბაირონის საერთაშორისო საზოგადოების თავმჯდომარის, პროფესორ ინესა მერაბიშვილის მიერ გალაკტიონის ლექსების ინგლისურ თარგმანს ლონდონსა და თითქმის მთელ დასავლეთ ევროპაში დიდი ინტერესით კითხულობენ. ქალბატონი ინესას თქმით, გალაკტიონი ითარგმნებოდა მიახლოებული შინაარსით და იკარგებოდა მთავარი, რის გამოც „გალაკტიონი ხელიდან გვისხლტებოდა“. საგულისხმოა, რომ ცნობილმა ანგლისტმა, ბაირონის პოეზიის მკვლევარმა და მთარგმნელმა გამოაქვეყნა მონოგრაფია „გალაკტიონის ენიგმები“.

გალაკტიონის უკანასკნელი დღეები

ეს დღეები ყველაზე მძიმე იყო პროფესორ ნოდარ ტაბიძისთვის. ერთგული ძმისშვილი მოთმინებით იტანდა გენიოსის, მაგრამ ახირებული ბიძის ყოველ კაპრიზს.

„გენიოსის ცხოვრება შელამაზებას კი არ მოითხოვს, არამედ — ახსნას. ამიტომ ვთვლი, რომ თავი და თავია ფაქტების დაფიქსირება, შემდეგ კი შეგვიძლია ეს ფაქტები სხვანაირად წავიკითხოთ”, — აღნიშნა ბატონმა ნოდარმა, რომელმაც ავბედით დღეებში დაწერილი დღიურები წაიკითხა... 1959 წლის 16 და 17 მარტი... სამკურნალო კომბინატი... გალაკტიონის უმძიმესი ფიზიკური მდგომარეობა... ხვნეშა... ბარბაცი... და ბოლოს ტელეფონის ავბედითი წვრილი...

„გალაკტიონი ზეცას გაფრინდა, ზედმეტია იმაზე საუბარი, რომ მას ძალუმად უყვარდა სიცოცხლე, მომავლით სუნთქავდა, იმ დღეებში ნაირნაირ გეგმებს აწყობდა. მაშ, რა მოხდა? — გონებას წამით გადაეკრა ბინდი, როგორც მედიცინა ამტკიცებს. მსგავს ავადმყოფებს ემართებათ ასე. განსაკუთრებით მაშინ, როცა სიმთვრალე-სიფხიზლის ზღვარზე დგებიან... ამიტომაც იყო საჭირო საოცარი ყურადღება და სიფხიზლე. წამიერი გამორთვა და ყველაფერი დაიმსხვრა. დიახ, ეს არ ყოფილა თვითმკვლელობა. გალაკტიონი ადრე დაადგა თვითმოსპობის გზას... მან ვერ სძლია საშინელ სენს... გალაკტიონმა ზუსტად იცოდა, რას იტყოდა მასზე შთამომავლობა“.

გალაკტიონის საარქივო მასალა 25 წიგნად გამოვა

პრეზენტაცია გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში

პირველი გვერდიდან

გამოცემის პირველ 12 წიგნში განაწილებულია სხვადასხვა ავტორთა ლიტერატურული წერილები და სამეცნიერო გამოკვლევები გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაზე. 25-ვე წიგნს თან ერთვის გალაკტიონის ავტოგრაფთა სრული აღწერილობანი, ლექსთა მკვეთრად განსხვავებული ვარიანტები და შენიშვნები, ლექსებისა და პოემების ანბანური და პირთა საძიებლები. ოცდახუთტომეულში გამომცემლებმა თავი მოუყარეს პოეტის დღიურებს, უბის წიგნაკებს, ლიტერატურულ ეტიუდებს და წერილებს, ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებს, პიესებს, პოემების პროზაულ ვარიანტებს, პირად მიმოწერას, განცხადებებს, გამოსვლებს, წიგნებზე მინაწერებს, ოლღა ოკუჯავას, ოლღა დარიუსის და ნინო კვირიკაძის დღიურებსა და ჩანაწერებს, რომლებიც ნათელს ჰფენენ პოეტის პირად ცხოვრებასა და ურთიერთობებს. მათი უმნიშვნელოვანესი ნაწილი პირველად ქვეყნდება.

„1959 წლის 19 მარტს მწერალთა სასახლეში ყველა კარი ღია იყო. ნაგვიანევი ზაფხულის ცრიატი დღე იდგა და მთელ ქალაქში ჯერ არსად ყვაოდა ატამი... გალაკტიონის კუბოსთან აფეთქებული ნუშის ტოტები ჩავაწყე მაღალ ლარნაკში...“ მაშინ ასე გამოხატა მადლიერება. გალაკტიონის პირველ წიგნს, რომელსაც წითელი გარეკანი აქვს, ახლაც სათუთად ინახავს. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის დირექტორს, პოეტ იზა ორჯონიკიძეს კიდევ ერთხელ მიეცა შესაძლებლობა, ერთგულება დაემტკიცებინა გალაკტიონისათვის, რადგან, როგორც ის თავის ერთ წერილში წერს, „უნდა ვიყოთ ღირსნი გალაკტიონთან შეხვედრისა“.

ეს ღირსეული შეხვედრა კი ნამდვილად შედგა. ქართული საზოგადოება უპრეცენდენტო მოვლენის მომსწრე გახდა — ლიტერატურის მუზეუმში 16 ნოემბერს გალაკტიონის დაბადების 115 წლისთავის აღსანიშნავად ცამეტი ტომის პრეზენტაცია გაიმართა (გალაკტიონი 17 ნოემბერს დაიბადა). როგორც ქალბატონმა იზამ აღნიშნა, პოეტს ისეთი გულშემატკივრები გამოუჩნდნენ, რომლებმაც ჯანმრთელობაც კი შესწირეს ოცდახუთტომეულის მომზადებას. .„მართალია, წიგნების გამოცემის იდეა მე მეკუთვნოდა, ვაპირებდი იმ „უცნობი“ გალაკტიონის გაცნობას საზოგადოებისთვის, რომელიც საქართველოში მხოლოდ ვახტანგ ჯავახაძისთვის, რეზი თვარაძისა და კიდევ რამდენიმე ადამიანისათვის იყო ცნობილი, როდესაც მაშინდელმა „მაგთი ჯგუფის“ ხელმძღვანელმა გიორგი ჯოხთაბერიძემ დახმარება შემომთავაზა, გადავწყვიტეთ, ეს შანსი ხელიდან არ გაგვეშვა. თუმცა „საწყალ“ გალაკტიონს ბედი როდის ჰქონია. ჯოხთაბერიძე დაიჭირეს და წიგნის გამოცემაც შეფერხდა. მან მხოლოდ 20 000 ლარის გადმორიცხვა მოასწრო, რომელიც მოსამზადებელ სამუშაოს მოხმარდა. ამის შემდეგ ბატონმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა გამოიღო ხელი, მან დიდი და კარგი საქმე გააკეთა, საკმაოდ დიდი თანხა გადმოგვირიცხა, რომელიც 13-ტომეულს და რჩეულის გამოცემას მოხმარდა. ბევრი ვიარეთ, თუ ცოტა ვიარეთ, ოთხი წელიწადი გამოვიარეთ და აქამდე მოვედით.”

როგორც ქალბატონმა იზამ აღნიშნა, გამომცემლები შეეცადნენ, გამოესწორებინათ ყველა ის შეცდომა, რომლებიც უხვად იყო წინა გამოცემებში. მისი თქმით, ძველ 12-ტომეულში გალაკტიონის თარგმანები მის ნაწარმოებებადაა მიჩნეული. განსაკუთრებით გაჭირდა სათუო თარიღების დადგენა. „ურთულესი პრობლემა იყო ხელნაწერებში გარკვევა. პოეტი „ნ“-ს და „წ“-ს ისე უცნაურად წერდა, რომ ამის გამო სხვა გამოცემებში უამრავი შეცდომაა. ცნობილია ისიც, რომ იგი როგორც მოესურვებოდა, ისე აწერდა ლექსებს თარიღებს. მაგალითად, „დროშები ჩქარა!“ სულაც არ ეძღვნებოდა ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას. ასეთი უზუსტობები მრავლად არის და მას საფუძვლიანი შესწავლა სჭირდებოდა. თეიმურაზ დოიაშვილი და ვახტანგ ჯავახაძე ექვსი თვის განმავლობაში არ გამოსულან არქივიდან და ლიტერატურის მუზეუმის თანამშრომლებთან ერთად უზარმაზარი სამუშაო გასწიეს“.

მსახიობი მურმან ჯინორია გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში

ვახტანგ ჯავახაძე ახალ „უცნობზე” მუშაობს

25 წელია, რაც ვახტანგ ჯავახაძეს „გალაკტიონი სჭირს“. თავიდან პატარა წერილის დაწერას აპირებდა, უნდოდა გამომცემლები გაეფრთხილებინა, თუ როგორი პასიური იყო გალაკტიონი, როგორც ავტორი. იგი თანახმა იყო, გაესწორებინათ მისი ტექსტები და შეეცვალათ თარიღები. ჯერ კიდევ მაშინ დაინტერესდა, არქივში მოენახა ტექსტები. „არქივმა ისე შემიტყუა, რომ პირველად პატარა წიგნი დავწერე, შემდეგ მეორე ვარიანტი შევადგინე, მერე მესამე... უნდა ითქვას, რომ 25 წელი გალაკტიონის ცხოვრების შესწავლას მოვანდომე. 2007 წელს გამოვა ჩემი მეოთხე 700-გვერდიანი წიგნი, რომელიც ნამდვილად საბოლოო ვარიანტი იქნება.

უცნაური ცხოვრება ჰქონდა, „დამალული“, გალაკტიონმა დაგვიტოვა ისეთი არქივი, რომელსაც ქართულ სინამდვილეში ანალოგი არ მოეძებნება. მქონდა ბედნიერება, ლიტერატურის მუზეუმის თანამშრომლებთან ერთად მემუშავა ამ არქივში. გული მწყდება, რომ ყველაფერი ეს დამთავრდა. ამ მასალების გაცნობა მნიშვნელოვანია მომავალი თაობებისათვისაც, რადგან ყველას, ვინც მის პოეზიას ეზიარება, „თავისი“ გალაკტიონი ჰყავს. მან ბევრი საიდუმლო ამოგვიხსნა, კითხვის ნიშნებიც ბლომად დაგვიტოვა. მიმაჩნია, მისი ჭეშმარიტი მკითხველები ჯერ არ დაბადებულან.!“

ვახტანგ ჯავახაძე იყო მისი ერთერთი გამოცემის რედაქტორი. „ეჩქარებოდა წიგნის გამოსვლა, დაიდებდა წელზე ხელს, ვითომ სტკიოდა და მეუბნებოდა — „დამიჩქარე, ძამიკო, და მე ვიცი შენი პატივისცემაო“. სამწუხაროდ, იმ წიგნის გამოცემას ვერ მოესწრო — („დღეს უნდა გადავვარდე, თორემ ცუდ ხასიათზე ვარ“ დღიურიდან ვერ მოესწრო თავისი გაორებული ცხოვრების უკანასკნელ სიხარულს“. წიგნი ერთი თვის შემდეგ დაიბეჭდა.

რჩეული

ქალბატონმა იზა ორჯონიკიძემ ისიც გაუმხილა საზოგადოებას, რომ გალაკტიონის „რჩეული“ მისი გემოვნებით არის შედგენილი. ის იყო „უცნობი“ ცხოვრებაში, მაგრამ უფრო ამოუცნობი — მისი შემოქმედება. „მე ავიხდინე ოცნება და შევადგინე „ჩემი“ გალაკტიონი. თქვენც შეგიძლიათ იგივე გაკეთოთ, ბევრს აქვს ამის საშუალება, მაგრამ სხვისი კრიტიკა ურჩევნია საქმის კეთებას. რჩეულს დავით წერედიანის ესსე — „მუსიკა უპირველეს ყოვლისა“ აქვს წამძღვარებული.

აღსანიშნავია ისიც, რომ ლიტერატურის მუზეუმში ინახება გალაკტიონის უნიკალური ფოტომასალა. „პოეტს უყვარდა პოზირება და ფოტოგადაღებები, დიდი არტისტი ბრძანდებოდა. მუზეუმში მისი 1500-მდე ფოტო ინახება. ჩვენ საუკეთესოები შევარჩიეთ და თითო წიგნს 24 ფოტო დავურთეთ. ასევე დაიბეჭდება მისი ნახატები, რომლებიც უმეტესად ლექსებს ერთვის. იშვიათად ხატავდა ცალკე ფურცლებზე. ძალიან შთამბეჭდავია ავტოპორტრეტი, რომელშიც კარგად ჩანს მისი სულიერი მდგომარეობა“, — განაცხადა ქალბატონმა იზა ორჯონიკიძემ.

ლიტერატურის მუზეუმში შეკრებილ საზოგადოებას მსახიობმა მურმან ჯინორიამ კიდევ ერთხელ გაუცოცხლა გალაკტიონი.

პრეზენტაციიდან მომავალს ისევ ვახტანგ ჯავახაძის მონაყოლი მახსენდებოდა: „ოცნებად ჰქონდა გადაქცეული დიდი ერთტომეული, ხატავდა და წერდა. ერთი ლექსის ვარიანტი ასე დაუმთავრებია:

„მალე გამოვა ჩემი
უზარმაზარი წიგნი“.

რა სად როდის

უცნაური ფენომენის, „ბოროტების ღერძის“ ალმოჩენამ, თანამედროვე კოსმოლოგია ძლიერი გამოცდის წინაშე დააყენა. სამყაროს ჩვეული, უკვე ჩამოყალიბებული სურათი, როგორც ჩანს, საფუძვლიანად გადაიხედება. ნასამ უკვე გამოყო თანხები ხუთწლიანი პროგრამისათვის, რომელიც ამ ფენომენს შეისწავლის.

ფონური მიკროტალღური გამოსხივების ახალმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ „დიდი აფეთქებისა“ და შემდგომ სამყაროს ჩამოყალიბების ტრადიციულ თეორიას, ამ ახალი ფაქტების ახსნა უჭირს. მეცნიერ-მკვლევართა ერთი ნაწილი აცხადებს, რომ თეორიებისა და ფაქტების შეუსაბამობა უფრო და უფრო თვალში საცემი ხდება. უპირველეს ყოვლისა, ამ თეორიით შეუძლებელია დღევანდელი სამყაროს ტემპერატურის, გაფართოებისა და გალაქტიკების არსებობის ახსნა. პრობლემები უფრო და უფრო მრავლდება. სულ ცოტა ხნის წინ აღმოაჩინეს კაშკაშა ვარსკვლავთა სარტყელი, რომელიც იმდენად ახლოსაა ანდრომედას გალაქტიკის ცენტრთან, სადაც მეცნიერების აზრით „შავი ხვრელი“ მდებარეობს, რომ იქ ამ სარტყლის არსებობა უბრალოდ გაუგებარია. ასეთივე წარმონაქმნი ჩვენს გალაქტიკაშიც დაფიქსირდა.

კოსმოლოგთა ყველაზე დიდი რეაქცია კი ნასას ზონდის, vramp-ის მონაცემებმა გამოიწვია, რასაც „ბოროტების ღერძი“ შეარქვეს. ამ აპარატით შეკრებილმა ინფორმაციამ მეცნიერებს საშუალება მისცა მიკროტალღური გამოსხივების ტემპერატურის გადანაწილების მცირე ფლუქტუაციების დეტალური გეგმა შეედგინათ. დღესდღეობით იგი აბსოლუტურ ნულზე 2,73 გრადუსით უფრო მაღალია და ზეცის სხვადასხვა მონაკვეთზე ერთმანეთისგან გრადუსის მემილიონედი ნაწილით განსხვავდება. პირველი ასეთი გეგმა იგივე ნასას აპარატ, სოვეს მონაცემების მიხედვით შეიქმნა, მაგრამ მისი მონაცემები vramp-ის მონაცემებს 35-ჯერ ჩამორჩება, მთლიანობაში კი ორივე გეგმა ერთმანეთში კარგად ეწერება.

„ბოროტების ღერძი“ ლონდონის იმპერიალ-კოლეჯის კოსმოლოგმა, ჟოაო მაგუეიომ იმ უცნაურ ფენომენს შეარქვა, რომელიც კოსმოსური ტელესკოპით აღმოაჩინა. „ცივი“ და „თბილი“ მონაკვეთები ზეციურ სფეროში შემთხვევით კი არა, გეგმაზომიერად აღმოჩნდა განლაგებული. კომპიუტერულმა მოდელირებამ დაადასტურა, რომ ფლუქტუაციები ამდაგვარად მხოლოდ პატარა სამყაროს ფარგლებში შეიძლებოდა გადანაწილებულიყო.

„სტანდარტული მოდელის“ დამცველებს თავისი პოზიციები აქვთ. კალიფორნიის უნივერსიტეტის კოსმოლოგს,



კრის ვალეს მიაჩნია, რომ ჭეშმარიტ ფონს შეიძლება ზეციური სფეროს ზოგიერთ მონაკვეთში გალაქტიკების კონცენტრაცია ამახინჯებდეს, თუმცა გალაქტიკების ასეთი თავისებური განლაგების თეორია არადამაჯერებლად გამოიყურება.

ჟოაო მაგუეიოს კი „ბოროტების ღერძის“ აღმოჩენა საინტერესო მოვლენად მიაჩნია. „სტანდარტული მოდელი მახინჯი და უთავბოლოა, — განაცხადა მან. — ახალმა თეორიამ ყველა შეკითხვას უნდა გასცეს პასუხი, ეს კი იოლი არ იქნება“.

***

ბრიტანეთის საქველმოქმედო და ბუნების დაცვის ორგანიზაციებმა აფრიკის კონტინენტის კლიმატური პიროგები შეისწავლეს და სენსაციური განცხადება გამოაქვეყნეს. მათი მონაცემებით აფრიკაში გლობალური დათბობის ნიშნები უკვე აშკარად იგრძნობა და თუ ექსტრემალური ზომები არ მიიღეს, კატასტროფა გარდაუვალი იქნება.

ორგანიზაციამ, რომელსაც სახელად „კლიმატის ცვლილებისა და განვითარების პრობლემათა სამუშაო ჯგუფი“ ქვია, ასევე თავისი ანგარიში გამოაქვეყნა და კატეგორიულად მოითხოვა კლიმატისთვის უვნებელი განვითარების მოდელის შემუშავება. უმთავრესად, რა თქმა უნდა, საქმე ატმოსფეროს მავნე ნარჩენებით დაბინძურებას ეხება.

მიუხედავად იმისა, რომ კლიმატი აფრიკაში ყოველთვის არასტაბილური იყო, უკანასკნელი მონაცემებით ცვლილება მაინც სახეზეა. ტემპერატურა ზოგადად 0,5 გრადუსით, ზოგ რეგიონში კი (კენია) 3,5 გრადუსითაც კი გაიზარდა. თანაც სამხრეთი მხარე უფრო გვალვიანი, ეკვადორის მიმდებარე ტერიტო-

რია კი უფრო ნოტიო გახდა. „თუ ასე გაგრძელდა ადამიანები გვალვისა და წყალდიდობის საშინელებათა შორის ხაფანგში მოექცევიან. ოცი წლის შემდეგ კილიმანჯაროზე ალბათ თოვლი აღარ იქნება“, — განაცხადა ერთ-ერთმა ეკოლოგმა.

***

კოლუმბიის პატარა ქალაქ არაკატაში უცნაური რეფერენდუმი ჩედგა. ამ ქალაქში ცნობილი მწერალი გაბრიელ გარსია მარკესი დაიბადა, ამიტომ მერიამ, ტურისტების მოზიდვის მიზნით გადაწყვიტა ქალაქისთვის სახელი გამოეცვალა და ამიერიდან „არაკატა — მაკონდო“ დაერქმია. შეგახსენებთ, რომ

მაკონდო ის ადგილია, სადაც მარკესის გახმაურებული რომანის „მარტოობის ასი წელი“, მოქმედება მიმდინარეობს.

არაკატას მერმა განაცხადა, ყოველ წელს ჩვენთან მარკესის შემოქმედების ორი ათასამდე თაყვანისმცემელი ჩამოდის, მაგრამ რუკაზე მაკონდოს გაჩენა, ტურისტების რიცხვს ერთიორად გაზრდისო.

მერიის იდეა ბევრმა არ გაიზიარა. მიუხედავად ამისა, რეფერენდუმი მაინც ჩატარდა და სავალალოდ დასრულდა. ქალაქის 22000 მაცხოვრებლისგან მასში მონაწილეობა მხოლოდ 3600 მიიღო და რეფერენდუმი არ შედგა.

თავად გაბრიელ გარსია მარკესს, რომელიც მეხიკოსა და ლოს-ანჟელესში ცხოვრობს და არაკატაში ოცი წელია არ ჩასულა, არავითარი კომენტარი არ გაუკეთებია.

***

დიდი ბრიტანეთის ცნობილმა აუქციონმა jefferys-მა გასაყიდად ადოლფ ჰიტლერის მიერ დახატული აკვარელი გამოიტანა. ეს ფლამანდიური პეიზაჟი მან პირველი მსოფლიო ომის დროს დახატა. ექსპერტებმა ტილო შეისწავლეს და ორიგინალად აღიარეს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჰიტლერმა თავისი კარიერა მხატვრობით დაიწყო და თავის მომავალს ფერწერაში ხედავდა, თუმცა მხატვარი მისგან არ გამოვიდა. ახლაც, ამდენი წლის შემდეგ, ექსპერტებმა ისევ დაადასტურეს, რომ ტილოს არავითარი მხატვრული ღირებულება არა აქვს და მხოლოდ ისტორიული თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი.

ეს ფლამანდიური პეიზაჟი ბელგია-

ში, ერთ-ერთი სახლის სხვენზე აღმოაჩინეს. ამავე აუქციონმა, ამ ცოტა ხნის წინ, დიქტატორის კიდევ ერთი ტილო, ჰოლანდიელი ფოსტალიონის პორტრეტი გაყიდა.

***

ცნობილმა ამერიკელმა მწერალმა, ჯონ აპდაიკმა, სამოცდათოთხმეტი წლის ასაკში, ახალი, რიგით ოცდამეორე რომანი, „ტერორისტი“ დაწერა. ეს რომანი ახალგაზრდა, ნახევრად ეგვიპტელი, ნახევრად ამერიკელი ბიჭის, აჰმედის ცხოვრებას აღწერს. საქალაქო სკოლამ მას ისეთი შეგრძნება გაუჩინა, თითქოს ირგვლივ მხოლოდ ეშმაკები ეხვია, რომელთაც მისთვის რწმე-

ნის წართმევა სურდათ. მუსულმანმა ფანატიკოსმა იმამმა კი, რწმენის ძალით, იგი მთლიანად დაიმორჩილა. ამიტომ აჰმედი ტერორისტად გადაიქცა.

აპდაიკისათვის ეს აშკარად „უცხო“ თემაა. თავადვე აღიარა ასაფეთქებელი მოწყობილობა თვალითაც არ მინახავს და მწირი ინფორმაცია ინტერნეტიდან ამოვკრიფეო. გარდა ამისა, რომანში არაბული ტრანსლიტერაციის პასაჟებსაც ვხვდებით, რაც თავისთავად უცხო მოვლენაა.

ახალი წიგნი „11 სექტემბრის რომანად“ გამოაცხადეს. კრიტიკოსების აზრით ის ნამდვილი შედევრია, რადგან შესანიშნავად არის გახსნილი იმ ახალგაზრდებისა ფსიქოლოგიური ხაზი, რომლებსაც ტერორისტთა რიგებში ითრევენ.

***

სულ ცოტა ხნის წინ, კომპოზიტორი ენდრიუ ფლოიდ ვებერი, გახმაურებული მიუზიკლების — „იესო ქრისტე, სუპერვარსკვლავი“ და „კატები“ — ავტორი, მიხეილ ბულგაკოვის რომანის „ოსტატი და მარგარიტას“ მოტივებზე ახალი მიუზიკლის შექმნას გეგმავდა. „ეს ჩემი კარიერის ყველაზე ამბიციური პროექტი იქნება, რად-

გან ამ ცნობილი რომანის მუსიკალური ვერსიის შექმნა დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებულიო“, — განაცხადა მან. ახლა კი, როგორც ჩანს, აზრი შეიცვალა და „ანა კარენინაზე“ ალაპარაკდა. მისივე თქმით, ლიტერატურულ პირველწყაროზე უფლების აღება ჯერ ვერ შეძლო, მაგრამ მიუზიკლზე მუშაობა უკვე დაწყებული აქვს.

მასალა მოამზადა
მანანა მიქელაძემ

კონსულტანტი	ნინო კაკულია
ტექნიკური რედაქტორი	გივი შეყილაძე
პასუხისმგებელი მდივანი	მანანა ჯურხაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	რუსუდან ონეზაშვილი

რედკოლეგიის წევრები:
გია მაჩაბელი, ზაზა ფირალიშვილი, ვახტანგ გურული, ნინო ჩიხლაძე, ნოდარ ხადური, თემურ ნადარეიშვილი

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ.1

22 10 34
www.tsu.ge
@newspaper@tsu.ge

ხელოვნება

ევრიპიდე ბერძნულად უნდა მოისმინო

სპექტაკლი სტუდენტებმა წარმოადგინეს

შურთხია ბეროშვილი

„საბერძნეთის მონა ვარ და მსხვერპლად უნდა შევეწირო მამულს“, „გშვენის, რომ სამშობლოს გულისთვის არ ებრძვი ღმერთს!“, „ადამიანო, შენი ხვედრია, გიხაროდეს, ან წუხდე!“ ეს სიტყვები ლამაზად ჟღერს ბერძნულ ენაზე. ამიტომ კლიტემნესტრა, იფიგენია, აგამემნონი და აქილევსი ქოროსთან ერთად ბერძნულად გადმოგვცემდნენ ამ ტრაგიკულ, მაგრამ ამაღლებულ ამბავს. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის ანტიკური დრამის სტუდია „ოდეონმა“ წარმოადგინა ევრიპიდეს ტრაგედიის „იფიგენია ავლისში“ რემიერა.

სპექტაკლის რეჟისორმა გულიკო ბუთხუზმა, გაგვიმხილა, რომ ამ პიესის სცენაზე განხორციელებით დიდი ხნის ოცნება აისრულა. „ჯერ კიდევ 2000 წელს ჩვენი სტუდიის ჩამოყალიბება რეალური იყო. სტუდენტები ძალიან ბევრს შრომობენ, თვითონ თარგმნიან პიესებს. ამ ნაწარმოებზე მუშაობა ერთი წელია მიმდინარეობს, ყველაფრის სულისჩამდგმელი, რა თქმა უნდა, ბატონი რისმაგ გორდეზიანია. ჩვენი ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა და შედეგად მივიღეთ მშვენიერი სპექტაკლი ბერძნულ ენაზე, რომელსაც შემეცნებითი მნიშვნელობაც აქვს“. გულიკო ბუთხუზის თქმით, ანტიკური ტრაგედიის დადგმა ბევრ სირთულესთან იყო დაკავშირებული. „დიდი დრო დავუთმეთ მეტრულ საზომებზე მუშაობას და პლასტიკურ მონახაზებს, თავიდან გავაკეთეთ ბწკარედული თარგმანი. სპექტაკლი შემცირებული ტექსტითაა წარმოდგენილი, მაგრამ სიუჟეტი არ დაგვირღვევია. ჩვენი „მსახიობები“ დიდი ენთუზიაზმით მუშაობდნენ და შედეგსაც მივაღწიეთ.“

სპექტაკლი მუსიკალურად გააფორმა თამარ ჭეიშვილმა, რომელიც დიდი ხანია მუშაობს თემაზე „მუსიკა ანტიკურობაში“. მან პარალელურად ადმინისტრაციული სამუშაოებიც იტვირთა.

პრემიერაზე მოწვეული სტუდენტები, მშობლები და პედაგოგები დაუფარავი გატაცებით ისმენდნენ სტუდენტთა მიერ ძველ და ახალ ბერძნულ ენაზე მოყოლილ საოცარ ისტორიას. პიესა სინქრონული თარგმანის თანხლებით მიმდინარეობდა, მაგრამ იფიგენიას (ნინო გრიგორიანი), დედოფალ კლიტემნესტრასა (რუსუდან ოდილავაძე) და აქილევსის (ეკატერინე ქავთარაძე) მშვენიერ ისტორიას თარგმანი არ სჭირდება, ბერძნებმა მდიდარი ტროა უნდა დალაშქრონ და მოტაცებული დედოფალი ელენე უნდა დაიბრუნონ. იფიგენია გრძნობს ბედის გარდაუვალობას და იღებს გადაწყვეტი-

ლებას — ნებით შეეწიროს სამშობლოს. „უკან დარჩა სიძნელეები, დამავიწყდა, რა რთული იყო ტექსტზე მუშაობა, თავს ნამდვილ მსახიობად ვგრძნობდი სცენაზე, თუმცა კაცის როლი მერგო“, — გახარებული გვიზიარებს თავის შთაბეჭდილებას ახალი ბერძნული სპეციალობის მესამე კურსის სტუდენტი სალომე მეტრეველი, რომელიც პიესაში აგამემნონის როლს ასრულებს.

„ანტიკური დრამის სტუდიის“ ჩამოყალიბება ჩვენი ფაკულტეტის მხრიდან სერიოზული განაცხადია. სურვილი გვაქვს, ამ სცენაზე ჩვენმა სტუდენტებმა წარმოადგინონ ბერძნული და რომაული დრამატურგიის ნიმუშები. დღეს შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ახალგაზრდებმა მშვენივრად გაართვეს თავი ამ ურთულეს ტრაგედიას. ჩვენ ეს გვახარებს და იმედს გვიტოვებს, რომ სტუდიას დიდი მომავალი ექნება“, — განაცხადა პროფესორმა რისმაგ გორდეზიანმა.

დრამის სტუდენტური სტუდიის რეჟისორის გულიკო ბუთხუზის თქმით, რომ არა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის თანადგომა, პიესა ვერ განხორციელდებოდა. „ისეთ მშვენიერ კოსტუმებსა და რეკვიზიტებს გარკვეული თანხა სჭირდება, მაგრამ ამის გამო არავითარი დაბრკოლება არ შეგვქმნია“.

შეკითხვა რედაქტორატს

უნივერსიტეტის კორპუსებში განთავსდა საფოსტო ყუთი წარწერით — ,,შეკითხვა რედაქტორატს”, რისი საშუალებითაც შეგიძლიათ მოგვაწოდოთ თქვენი ხედვა, შეკითხვა, აზრი, განწყობა...

გაზეთ ,,თბილისის უნივერსიტეტში” ნახავთ პასუხს ყველა თქვენს შეკითხვაზე!

საკონტაქტო ტელეფონები:

რექტორის მისაღები	22-51-07
რექტორის მოადგილის მისაღები	29-08-25
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური	23-03-80
საერთო განყოფილება (კანცელარია)	23-39-16; 22-59-44
სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახური	29-08-46; 25-08-13
სტუდენტთა მომსახურების განყოფილება	91-27-91
საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი	22-56-79
სამუზეუმო სამსახური	29-08-42
დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური	25-08-13; 25-36-18

ფაკულტეტების დეკანატები:

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი	29-08-07
ჰუმანიტარული ფაკულტეტი	22-21-08
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	29-05-94
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი	30-45-36
იურიდიული ფაკულტეტი	22-37-10
მედიცინის ფაკულტეტი	94-34-54